საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№033 (12 103)
10 თებერვალი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

2:0 გვაქვს წყვილი მოგება, გვინდა წყვილში მოგება



ირაკლი ლაბაძე

ლადო ჩიხლაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ზვიად შათირიშვილი

დევისის თასის მატჩში საქართველოს ნაკრები პირველი დღის შემდეგ 2:0 დანინაურდა პორტუგალიასთან და პროგრამამინიმუმის შესასრულებლად, ანუ ევროაფრიკის პირველ ჯგუფში დასარჩენად ერთი მოგება აკლია. დღეს ირაკლი ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეს წყვილთა, შესაძლოა, გადამწყვეტი მატჩი აქვთ. თამაში 4 საათზე დაიწყება, ნახევარი საათით ადრე კი გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება...

11

I ევრო-აფრიკული ზონა

I წრე. 9-11 თებერვალი. თბილისი, სპორტის სასახლე

საქართველო-პორტუგალია 2:0

ირაკლი ლაბაძე - რუი მაჩადო 7:5, 6:3, 7:6
ლადო ჩიხლაძე - ფრედერიკო ჟილი 6:3, 7:6, 6:7, 6:4
დღეს, 16 საათიდან
ჩიხლაძე, ლაბაძე - გასტაო ელიაში, ჟილი



დემეტრაძე, ახალი ბოსმანი

ქართველი ფორვარდი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგას უჩივის

3

კლაუსზე ნანყენი არ ვარ

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

რას წერენ საქართველოსა და თურქეთის მატჩზე

თურქებმა ალიარეს: ჩვენს ნაკრებს ღირსეული წაგება არ შეუძლია

2

TURKISH DAILY NEWS

მაგის ჩიტია ტოპმოდელი, მაკლიშმა რომ გაშიფროს?

სპეციალისტის აზრი საქართველო-თურქეთის მატჩზე

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

2

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

თურქეთთან მატჩი სპეციალისტის თვალით.
ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

მაგის ჩიტია ტოპმიოლერი, რომ მაკლიშმა გაშიფროს?

ძოძუაშვილს სუსტი დისციპლინა და პროვოკაცია აშინებს

რევაზ ძოძუაშვილი

თურქეთის ნაკრებთან შეხვედრის ჟურნალისტური ანალიზი ოპერატიულად შემოგთავაზეთ. გუშინდელ ნომერში მატჩი თავად კლაუს ტოპმიოლერმა გაარჩია. დღეს კი თქვენ წინაშეა სპეციალისტის მოსაზრება. ისე, ქართველი მწვრთნელები კოლეგების შეფასებას, უმრავლეს შემთხვევაში, ერიდებიან ხოლმე. ამ მხრივ, რევაზ ძოძუაშვილი იშვიათი გამონაკლისია. გთავაზობთ ინტერვიუს "ოლიმპის" მთავარ მწვრთნელთან.

- რას გვეტყოდით საქართველო-თურქეთის მატჩზე?

- პირველ რიგში იმას, რომ შოტლანდიასთან შესარჩევის წინ ჩვენს ნაკრებს ნაყოფიერი გენერალური რეპეტიცია გამოუვიდა, თანაც ესოდენ ძლიერ მეტოქესთან. თამაშში ნათლად წარმოჩნდა ჩვენი პლუსებიც და მინუსებიც. ურუგვაისთან მატჩის დარად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ წამყვანი ფეხბურთელების გარეშეც კი საქართველოს ნაკრებს შეუძლია ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებისთვის ბრძოლა. აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტიც: ნაკრებში უკვე იმ დონეზეა კონკურენცია, რომ ძირითადი ბირთვის არყოფნის მიუხედავად, მოთამაშეები არა მარტო სასტარტო შემადგენლობაში, არამედ სათადარიგოთა სკამზეც გვყავს. ამას ლომაიას, გოგუასა და აშვეთიას მაგალითზე ვამბობ. გამოჩნდა ისიც, რომ კლაუს ტოპმიოლერმა ის ტაქტიკური სქემა მოსინჯა, რომელიც გლაზგოში უნდა გამოიყენოს. ანუ, ჩვენი გუნდის თამაში დაცვიდან იყო აგებული. ახლა კი მთავარია, ეს სქემა შოტლანდიაშიც ავამუშაოთ. თუმცა ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: შოტლანდიაში ისეთი კარგი მსაჯობა არ იქნება, როგორიც თურქეთთან იყო.

- თვლით, რომ მსაჯობა მიკერძოებული იყო?

- მასპინძლის მისამართით მსაჯებს ყოველთვის აქვთ გარკვეული სიმპათიები. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. სპორტში ეს დაუწერელი კანონია და ამას უნდა შევეგუოთ. იგივე ვნახეთ თურქებთან მატჩშიც. მაგრამ სხვაგვარად ნუ გამიგებთ: მიუხედავად მსაჯების კეთილგანწყობისა, საქართველოს ნაკრების დამსახურებულ გამარჯვებაში ოდნავი ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. 24 მარტს შოტლანდია მასპინძლის როლშია და მზად უნდა ვიყოთ, რომ მსაჯების სიმპათიაც მისკენ იქნება.

- ზემოთ ჩვენი გუნდის პლუს-მინუსები ახსენეთ. იქნებ დააკონკრეტოთ...

- ჩვენი სიძლიერე რამდენიმე მომენტში წარმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, მონდომება, ენთუზიაზმი, ბრძოლის ჟინი უნდა აღვნიშნო. აშკარაა, რომ ტოპმიოლერმა გუნდს საბრძოლო სულისკვეთება ჩაუნერგა. ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ სისუსტეებზეც უნდა ვთქვათ. ერთია სათამაშო და მეორე - სპორტული დისციპლინა მოედანზე. თუ ამას ახლავე არ მივაქცევთ ყურადღებას, მერე, შეიძლება, გვიანი იყოს. კინკლაობის დრო და სურვილი საქართველოს ნაკრებს არ უნდა ჰქონდეს. არაერთხელ დარჩენილა ჩვენი გუნდი კაცნაკლული. ამიტომ, სპორტული დისციპლინა უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიყვანოთ. მწვრთნელის მხრიდან ეს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს.

- ნაკრების ფეხბურთელები ამბობენ, რომ ის კინკლაობა თურქების პროვოცირებული იყო...

- ...კი, მაგრამ შენ ნუ აჰყვები. ამას გამართლება არ აქვს.

- ჩვენი გუნდიდან ვის გამოყოფდით?

- უმთავრესად, მეკარე ლომაიას. რომ არა მისი საიმედო თამაში, რეაქცია და ის "მკვდარი ბურთი", შეიძლება, ვერც მოგვეგო. მე ვიტყოდი, ლომაია ამ მატჩის გმირი იყო. თუმცა ეს სულაც არ აკნინებს საგოლე კომბინაციას, რაც გოგუასა და სირაძის დამსახურება იყო.

- ბევრმა აღნიშნა, რომ მარჯვენა ფლანგი სუსტად გამოიყურებოდა...

- საერთო ჯამში, ჩვენი გუნდი მაინც კარგად წარმოჩნდა. გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთსა და უკრაინაში მოსაპარეზე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებსაც სეზონი ჯერ არ განუახლებიათ და თავიანთ კლუბებში მოსამზადებელ შეკრებებს გადიან. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩვენი ფეხბურთელების ერთმა ნაწილმა ვერ აჩვენა ის თამაში, რაც შეუძლია... თქვენი კითხვა კონკრეტულად მარჯვენა ფლანგს ეხებოდა... შაშიაშვილი, რომელიც მართლაც სანაკრებო დონის ფეხბურთელია, ჩვეულ ფორმაში არაა და ჯერ ვერც იქნება. და თუ რატომ, ამაზე უკვე ვთქვი. შაშიაშვილს დაცვაში სხვადასხვა პოზიციებზე თანაბრად შეუძლია თამაში. იტალიასთან ტოპმიოლერმა მარცხენა ფრთაზეც გაამწესა და თავი არც იქ შეურცხვენია, პირიქით. ის ცენტრშიც კარგად თამაშობს. ისე, მე თუ მკითხავთ, შაშიაშვილის ადგილი დაცვის ცენტრშია. სხვათა შორის, ცქიტიშვილზეც თქვეს, ვერ ითამაშაო. ლევანი შემქმნელ ფეხბურთელად წარმოგვიდგენია. თურქეთთან მატჩში ცქიტიშვილის გვერდით იმდენი შემტევი ნახევარმცველი იყო, რომ მას, უმეტესწილად, ჩამშლელის ფუნქციის შესრულება უწევდა. თუმცა რასაც ჰქვია შეტევაში აქტიური მონაწილეობა, ამაში ცოტა მოიკოჭლებდა, ისე ვერ გაისარჯა, როგორც იტალიასთან. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ის ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია და თუ სიტუაცია ითხოვს, ლიდერის როლის შესრულებაც შეუძლია.

- კარგად წარმოჩნდა დავით სირაძეც...

- დიახ, სირაძე, კინაღამ დაგვავიწყდა... მან ისე ითამაშა, თითქოს ნაკრების სტაჟიანი წევრი ყოფილიყოს. იგივე შეიძლება ითქვას ზაალ ელიავაზეც. კარგია, რომ ტოპმიოლერმა მას შანსი მისცა. ის არ მომეწონა, რომ კინკლაობაში ჩაერია, თუმცა ეს საყვედური მარტო მას არ ეკუთვნის.

- ბევრი აღნიშნავს, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაცვიდან ბურთის სწრაფად, ერთი შეხებით ამოტანა ისწავლეს...

- მე კი იმას გეტყვით, რომ ამაზე ხაზგასმა, ცოტა არ იყოს, სირცხვილია. როგორ შეიძლება, ნაკრების ფეხბურთელმა ეს არ იცოდეს? არის შემთხვევები, როცა მატჩის მსვლელობა ერთი შეხებით თამაშს მოითხოვს, ზოგჯერ კი ბურთის დაჭერა, ასე ვთქვათ, თრევაა საჭირო... ნაკრების მოთამაშემ ყველა ეს კომპონენტი კარგად უნდა იცოდეს.

- საგოლე კომბინაციაზე რას იტყოდით?

- კლასიკური შესრულება იყო. გამოჩნდა, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელები ამაზე სპეციალურად ამუშავა. და საერთოდაც, იგრძნობა, რომ ტოპმიოლერი სტანდარტულებს დიდ ყურადღებას უთმობს. ეს ხომ სერიოზული რეზერვია.

- შოტლანდიელთა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა თურქეთთან ჩვენი მატჩის ვიდეოფირი რომ ნახოს, ბოლომდე გავიშიფრებით?

- მაგის ჩიტია ტოპმიოლერი? ამით, შოტლანდიელთა თავკაცს სულაც არ ვაკნინებ, უბრალოდ, კლაუსის კვალიფიკაციას გავუსვი ხაზი. რამდენადაც ვიცი, მაკლიშის ასისტენტი ესწრებოდა ამ თამაშს, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ ბოლომდე გაგვშიფრონ. დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერმა კოზირები შეინახა. თუნდაც ის ფაქტი, რომ გლაზგოში კალაძე, კობიაშვილი და არველაძე დაგვემატებიან, ტაქტიკური ვარიანტი ისედაც შეიცვლება. მჯერა, კლაუსს უკვე მომზადებული ექნება რამდენიმე მონახაზი... მაგრამ ერთი რამის მაინც მეშინია...

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ პროვოკაცია არ მოგვიწყონ და კაცნაკლულნი არ დაგვტოვონ. ამას გარდა, სერიოზულად უნდა მოვემზადოთ მეორე სართულზე ბრძოლისთვისაც. მიხვდით, ალბათ, რატომაც. თუმცა ტოპმიოლერს ჩემგან ამის შეხსენება არ სჭირდება.

- რა შედეგს ელით გლაზგოს მატჩში?

- ჯერ ერთი, რომ იმედი მაქვს, საბრძოლო შემადგენლობა გვეყოლება და იმ დროისთვის ბიჭები უკეთეს ფორმაში იქნებიან. თუკი ისეთივე მონდომებით იბრძოლებენ, როგორც ეს თურქეთთან მატჩში იყო, და ამაში ეჭვის შეტანა არც შეიძლება, მინიმუმ ფრეს მაინც მივაღწევთ.

დავით ცაბაძე

IN THE 45th YEAR AS TURKEY'S ENGLISH DAILY
TURKISH DAILY NEWS

საქართველო-თურქეთის გამოხმაურება

თურქული პრესა: ჩვენს ნაკრებს ღირსეულად წაგება არ შეუძლია

სიმართლე გითხრათ, როცა თურქეთის საუკეთესო ინგლისურენოვან გაზეთ "თურქიშ დეილი ნიუსში" 7 თებერვლის ამხანაგურ მატჩზე სტატიის სათაურს, "თურქეთი "მეგობრულ" მატჩში მარცხდება", მოვკარი თვალი, მეგონა, ქართველთა არასტუმართმოყვარეობასა და არაობიექტურ მსაჯობაზე იქნებოდა საუბარი, მაგრამ თურქმა ჟურნალისტმა იოზგურ ქორქმაზმა გამაკვირვა... შესაშური ობიექტურობით. ვფიქრობ, მთელი სტატია საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის:

"ფათიჰ თერიმმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის რეკორდი მოხსნა, თუგაი ქერიმოღლუ 1175-დღიანი განშორების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა, მაგრამ ოთხშაბათის მატჩი მაინც ბოლო წუთებზე მომხდარი ინციდენტებით დაგვამახსოვრდება. შესაძლოა, თურქეთს და საქართველოს ახლო ურთიერთობები აქვთ დიპლომატიაში, მაგრამ ოთხშაბათს მოედანზე მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ზუსტად იმ დღეს, როცა თურქეთის ნაკრები საქართველოს გუნდს ეთამაშებოდა, თბილისში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტს ხელი თავად პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მოაწერა. ეს რკინიგზა ჩვენს ქვეყანას ენერგიით მდიდარ აზერბაიჯანთან და საქართველოსთან დააკავშირებს. ერდოღანი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კამერების წინ ერთმანეთს ულიმოდნენ, თუმცა საღამოს ფათიჰ თერიმის ბიჭები მზად იყვნენ, ქართველებთან მოედანზე ებრძოლათ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მას შემდეგ, რაც თერიმი ხელახლა ჩაუდგა ნაკრებს სათავეში, გუნდის დევიზი გახდა - "არ შევეგუოთ მარცხს", ოღონდ, ძალიან ცუდი ინტერპრეტაციით. თურქეთის ნაკრების ფეხბურთელებს არ შეუძლიათ ღირსეულად წაგება. მათი აზრით, მუჯლუგუნებით და პროვოკაციებით ფონს გასვლა შესაძლებელია. როცა 75-ე წუთზე მათ ქართველთაგან გოლი გაუშვეს, ფეხბურთი სულ დაივიწყეს. მოედანზე ატყდა ჩხუბი, რომლის ინსპირატორი "ფენერბაჰჩეს" ყოფილი მცველი სერვეთ ჩეთინი იყო, 93-ე წუთზე კი ნახევარმცველმა მეთინ თიუმერმა საშინელი დარტყმა მიაყენა მეტოქეს (ელიავას - ნ. ნ.). როგორც ჩანს, თურქებზე ვერანაირი ჯარიმა, დისკვალიფიკაცია ვერ მოქმედებს, მთავარია, ისინი "კაცებად" გამოჩნდნენ.

მატჩის შემდეგ, თერიმმა, როგორც სჩვევია, ყველაფერი ქართველ ფეხბურთელებს, მათ ფანებს და რეფერის დააბრალა - ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ რამეს დააშავებდნენ, საბერძნეთთან მატჩისთვის დაისჯებოდნენ, ასე რომ, ისინი მშვიდად თამაშობდნენო. თერიმი სამართლიანობის პარტიის (DYP) ლიდერის მეჰმეთ აგარის მეგობარია. ასე რომ, მას არც პოლიტიკური მესიჯის გაგზავნა დავიწყებია. ერთმა თურქმა რეპორტიორმა მას ჰკითხა - რას ფიქრობთ, თურქეთის ჰიმნის დროს ზოგიერთი ქართველი ფეხზე რომ არ ადგაო, თერიმმა უპასუხა: "ადამიანი უნდა ადგეს ფეხზე, როცა მეტოქის ჰიმნი ჟღერს. ჩვენ მათ ჰიმნს პატივი ვეცით და ტაშიც დავუკარით".

ოთხშაბათის ინციდენტმა ყველას გაგვახსენა 2005 წლის ნოემბერი და შვეიცარიასთან მატჩი, რომელმაც ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დაგვტოვა. თურქეთის ნაკრები 24 მარტს საბერძნეთს ხვდება. გვახსოვდეს, რომ უმცირესი ინციდენტის შემთხვევაშიც კი ფიფა სასტიკად დაგვსჯის".

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჯიჯული შევინარჩუნეთ

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მოპოვება - გიხაროდენ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 7 თებერვალს მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა არაოფიციალურ ჩათვლაში. არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონს (UFWC.co.uk) უკვე კარგა ხანია ავლენენ, პროფესიული კრივის პრინციპით, ათვლა კი XIX საუკუნიდან, პირველი საერთაშორისო მატჩიდან ინგლისი - შოტლანდია, იწყება. ჩვენები "მსოფლიოს ჩემპიონები" ამ ტიტულის მფლობელი, ურუგვაელების 2:0 ძლევით გახდნენ. ტიტულის შესანარჩუნებლად, **კლაუს ტოპმიოლერის** ნაკრებს ფრეც ჰყოფნიდა, თუმცა საქართველოს ნაკრებმა **დავით სირაძის** გოლით მოიგო 1:0 თურქეთთან. ახლა, 24 მარტამდე, საქართველოს ნაკრების შოტლანდიურ ვიზიტამდე, მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და ტიტულს ფრის შემთხვევაშიც ვინარჩუნებთ. მორიგი სატიტულო ბრძოლა "ჰემპდენ პარკზეა".

UFWC ყველა დროის რეიტინგსაც აჯამებს, სადაც 36-ე ადგილზე ვართ (2 ქულა). ამ რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზე სწორედ "ჩემპიონობის" პრეტენდენტი შოტლანდიაა 85 ქულით. მეორე ადგილზე ინგლისია (74 ქულა), მესამეზე - არგენტინა (50).

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

შოტლანდია. რას წერენ ჩვენზე

ტოპმიოლერმა მაკლიში გააკვირვა

შოტლანდიური პრესის მთავარი ყურადღება იტალია-შოტლანდიის 28 მარტის მატჩისადმია მიპყრობილი. სქოთები ამტკიცებენ, რომ ბარის სტადიონზე უსაფრთხოების ნორმები სათანადოდ არ იქნება დაცული და მატჩის ჩატარებას სხვა სტადიონზე მოითხოვენ. თუმცა აგერ უკვე შოტლანდია-საქართველოს მატჩის შესახებაც გაჩნდა ინფორმაციები.

"თურქეთთან საშინაო მატჩში მოულოდნელი მოგებით კლაუს ტოპმიოლერმა და მისმა გუნდმა ალექს მაკლიში და შოტლანდიის ნაკრები გააკვირვა. ამით ტოპმიოლერმა ერთგვარად გამოიწვია კიდეც შოტლანდიელთა ახალი ბოსი, რომელსაც სურს, 24 მარტს, ევრო-2008-ის შესარჩევი ციკლი წარმატებით განაახლოს. ქართველებმა თურქეთი წმყვანი ვარსკვლავების, კაპიტან კახა კალაძის, ვიცე-კაპიტან ლევან კობიაშვილისა და ტოპმეგოლე შოთა არველაძის გარეშე დაამარცხეს.

დავით სირაძის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა ერთადერთმა გოლმა, "ჰემპდენ პარკზე" სტუმრობის წინ ქართველებს ფრთები შეასხა.

"თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. რაღა თქმა უნდა, შედეგითაც. ჩვენმა გუნდმა ყველა რგოლში კარგად ითამაშა. საიმედოდ გამოიყურებოდა ჩვენი ორივე მეკარე. რაც მთავარია ჩვენ ხალხის გახარება შევძელით", - აღნიშნა საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმოილერმა.

მართალია საქართველოს ნაკრებს 4 მატჩში 3 ქულა აქვს და ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეა, ჯგუფის ლიდერი გუნდისთვის იოლი მეტოქე ნამდვილად არ უნდა იყოს", - წერს შოტლანდიური "დეილი რეკორდი".

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

კლაუსზე ნაწყენი არ ვარ

კლაუს ტოპმიოლერმა თურქეთთან ამხანაგური შეხვედრისთვის ალექსანდრე იაშვილს ეროვნულ ნაკრებში არ უხმო. "ფრაიბურგის" ფორვარდის პროგრესი სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, რაც მას ეროვნულ გუნდში დაბრუნების საფუძვლიან იმედს აძლევს. იაშვილს გერმანიაში გუშინ საღამოს დავუკავშირდით, საკლუბო კარიერაზე გავესაუბრეთ და ცხადია, გვერდი არც სანაკრებო თემას ავუარეთ.

- პირველი წრის ბოლო ტურიდან მოყოლებული, შესამჩნევი პროგრესი გვაქვს. ჯერ იყო და კობლენცში მოვიპოვეთ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, რასაც ტრადიციული პორტუგალიური შეკრება მოჰყვა. ეს პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენეთ, ყველა ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯა და შრომა სათანადოდ დაგვიფასდა. სეზონის მეორე ნახევარში ქულებს უკვე სტაბილურად ვაგროვებთ.

- საკუთარი თამაშით, ალბათ, კმაყოფილი ხართ.

- დიახ, ბოლო მატჩებში გუნდს დიდი სარგებელი მოვუტანე. განსხვავებით პირველი წრის რამდენიმე შეხვედრისგან, მეორე წრის საწყის ტურებში გულშემატკივართა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დავიმსახურე. საერთოდაც, "ფრაიბურგის" თითოეული ფეხბურთელი დღესდღეობით გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე შემოდგომაზე.

- გუნდის ხელმძღვანელობა რა მიზნებს გისახავთ?

- სეზონის დაწყებამდე პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებას ვგეგმავდით, მაგრამ შემდეგ ისე წაგვივიდა საქმეები, რომ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი გახდა. საბედნიეროდ, ამ ამოცანას მაინც გავართვით თავი რიგიანად და ბოლო ტურებში მოპოვებული ქულების წყალობით, ვფიქრობ, გავარდნის საფრთხე აღარ დაგვემუქრება. აი, პირველ ბუნდესლიგაზე კი რა გითხრათ, ლიდერებს საკმაო სხვაობით ჩამოვრჩებით...

- როგორ ფიქრობთ, ოთარ ხიზანეიშვილი მალე შეძლებს "ფრაიბურგის" ძირითადში მყარი ადგილის მოპოვებას?

- რომ არა გაუთავებელი ტრავმები, ოთარს სასტარტოში დამკვიდრების პრობლემა არ შეექმნებოდა. ბოლო ტურებში მან შესანიშნავად ითამაშა, გოლიც გაიტანა და როგორც ვიცი, კვირას, "მიუნხენ 1860-თან" უპრინციპულეს დაპირისპირებაში იგი პირველივე წუთებიდან ითამაშებს. ერთი ეგაა, კვლავ მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ არა მგონია, ამან მოედანზე გასვლაში ხელი შეუშალოს.

- სეზონის ბოლოს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი გეწურებათ. ალბათ, გუნდის გამოცვლას გეგმავთ.

- დიახ, "ფრაიბურგში" საკმაო დრო გავატარე და მსურს, ახალ კლუბში მოვსინჯო ძალები. მაქვს რამდენიმე საინტერესო ვარიანტი, რომელთა დასახელებასაც ახლა მოვერიდები. ისე კი, გეტყვით, რომ კარიერას აუცილებლად გერმანულ გუნდში გავაგრძელებ.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ფოლკერ ფინკეს კონტრაქტი მაინც გაუხანგრძლივონ.

- დიახ, ეს "ფრაიბურგის" მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ფინკე სეზონის ბოლოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დატოვებს, მაგრამ სულაც არაა გამორიცხული, ჩემპიონატის მაღალ ადგილზე ჩამთავრების შემთხვევაში, მან მუშაობა გააგრძელოს. სხვათა შორის, "ფრაიბურგის" პროგრესი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ფინკეს წასვლის ამბავი გახმაურდა. მე და ჩემი თანაგუნდელები ფოლკერს უდიდეს პატივს ვცემთ, მისმა პრობლემებმა ბრძოლის ჟინი შეგვმატა. ყველას ძალიან გვინდა, რომ მან პოსტი შეინარჩუნოს.

- საქართველო-თურქეთის ტელეტრანსლაციას თვალს ადევნებდით.

- რა თქმა უნდა. ამ გამარჯვებით ძალიან გავიხარე. სტადიონზე შესანიშნავი ატმოსფერო იყო. ნაკრებმა ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და გულშემატკივრებს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. კარგა ხანია, ეროვნული სტადიონი არ გავსებულა.

- შოტლანდიაში როგორი შანსები გვექნება?

- თამამად ვიტყვი, რომ გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენს გუნდს შოტლანდიელებზე ბევრად ძლიერი შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს. მთავარია, ამ მატჩს მინიმალური საკადრო პრობლემებით შევხვდეთ. ფარერებთან საშინაო შეხვედრას რაც შეეხება, ბუნებრივია, იგი ულაპარაკოდ უნდა მოვიგოთ.

- "ფრაიბურგის" საკლუბო ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ბუნდესლიგაში ჩატარებული შედეგიანი შეხვედრების მიუხედავად, ნაკრებში გამოძახების იმედი არ გქონდა...

- ვიგულისხმე თურქეთთან მატჩი და არა ზოგადად, ჩემი სანაკრებო კარიერა. იმთავითვე გადაწყვეტილი იყო, რომ კლაუსი თურქეთთან სხვა თავდამსხმელებს გამოსცდიდა. ბუნებრივია, ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ გუნდს მიღმა რჩება, გულდაწყვეტილი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტოპმიოლერზე ნაწყენი ვარ. კარგად მესმის, რომ კონკურენცია ნაკრებს სასიკეთოდ წაადგება. შოტლანდიასა და ფარერებთან თბილისურ მატჩში კი, იმედი მაქვს, გუნდს დავჭირდები და თავს არ დავზოგავ იმისთვის, რომ ბიჭებთან ერთად ქართველი ქომაგი მეც გავახარო. ცხადია, სულაც არ ვფიქრობ, რომ ნაკრებში ადგილი დაჯავშნული მაქვს. საამისოდ დიდი შრომა დამჭირდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

დემეტრაძე, ახალი ბოსმანი

უკრაინა სკანდალების მორევშია გახვეული. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტები, **გრიგორი სურკისი** და **რინატ ახმეტოვი** ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეასკდნენ.

ამ ბრძოლის ანარეკლი გახლდათ ერთი კვირის წინ ატეხილი მორიგი სკანდალი, როდესაც ფედერაციის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ 16 მოთამაშე დოპინგის ხმარებაში ამხილეს. მინიშნება იყო ახმეტოვის სამფლობელოზე, რომელშიც "შახტარის" გარდა, დონეცკის "მეტალურგიც" შედის. დონეცკელებმა თავის მხრივ, განცხადება გააკეთეს და გვარების დაკონკრეტება მოითხოვეს.

ეს, რაც ჩვენ ნაკლებად გვეხება. აი, მეორე სკანდალი, რომელმაც გუშინ უკრაინა შეძრა, სწორედ რომ ჩვენთვისაა საინტერესო. მისი გმირი საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძეა**.

ტელეკომპანია "უკრაინის" სპორტული გადაცემა "სპორტული მოვლენები" ავრცელებს ინფორმაციას, რომ დემეტრაძე უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიული ფეხბურთის ლიგას უჩივის. მან სასამართლოში უკვე შეიტანა სარჩელი და ამ ორგანიზაციების მიერ მოწონებული პროექტის გაუქმება მოითხოვა. პროექტი უკრაინის ჩემპიონატში ლეგიონერებზე კვოტის დაწესებას ითვალისწინებს.

დემეტრაძემ ეს ნაბიჯი უკრაინის კონსტიტუციაზე დაყრდნობით გააკეთა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ქვეყანაში ოფიციალურად იმყოფება, უკრაინის მოქალაქეების მსგავსი უფლებებით სარგებლობს. ბუნებრივია, იგულისხმება შრომითი უფლებები.

სასამართლო საკითხის განხილვას 20 თებერვალს აპირებს. შესაბამისი წერილები უკვე გადაეგზავნათ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიული ფეხბურთის ლიგას. თუკი სასამართლომ ქართველის სარჩელი დაკმაყოფილა, მაშინ უკრაინულ ფეხბურთში დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება.

ძნელი სათქმელია, რამ აიძულა ქართველი ფორვარდი ეს ნაბიჯი გადაედგა და იურისპრუდენციაში გარკვეულიყო. ფაქტია, რომ ამ ნაბიჯით უკრაინაში ბოსმანის როლის შესრულება დაიკისრა.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 335 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭცელად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

გაახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჩიხურა

არის და აღარც არის

თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, საჩხერის "ჩიხურა" სეზონის მეორე ნახევარს დუბლშემადგენლობით ჩაატარებს და შესაბამისად, მხოლოდ იმისთვის ითამაშებს, რომ ეროვნულ ჩემპიონატს შუა გზაზე სამარცხვინოდ არ გამოეთხოვოს.

გუშინ საჩხერეში კლუბის დირექტორატის სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. პრინციპში, მისი საჭიროება არც ყოფილა, რადგანაც დამფინანსებელს, უფრო სწორად კი, აწ უკვე ყოფილ დამფინანსებელს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

გუნდის უფროსის, **ბადრი ბრეგვაძის** თქმით, მეორე წრეში "ჩიხურას" ღირსებას ფარმკლუბის, ანუ "ჩიხურა 2"-ის წევრები დაიცავენ. რაც შეეხება პირველი ლიგის ბინადარ "ჩიხურა 2"-ს, იგი ამიერიდან ბუნებაში აღარ იარსებებს. რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ისევ და ისევ, ყბადაღებული უსახსრობა გახდა.

"ჩემპიონატიდან ახლა გასვლა ჩვენი მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი საქციელი იქნებოდა. სამწუხაროდ, სხვა გზა არ დაგვრჩა, დღევანდელი მონაცემებით, ბრძოლისუნარიანი გუნდის შენახვა არ ხერხდება. ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ამ ძალებით უმაღლესში ადგილი შევინარჩუნოთ, მაგრამ ლიგის აუტსაიდერებთან საკმაო უპირატესობის მიუხედავად, ესეც ძალიან მეეჭვება. აქვე გეტყვით, რომ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა მზადება უკვე დაიწყეს.

იმედი საბოლოოდ ჯერაც არ გადაგვინურავს, იქნებ დაფინანსების საკითხი ზაფხულში მაინც გადაწყდეს დადებითად და მომავალი სეზონისთვის დავისახოთ მაღალი მიზნები.

ხვიჩა ქასრაშვილის დატოვების უდიდესი სურვილი კი გვაქვს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ იგი უმოტივაციო გუნდში მუშაობას დათანხმდება. ესეც არ იყოს, პირველ წრეში იგი მაღალ ხელფასს იღებდა და არა მგონია, ამიერიდან მისი შრომის სათანადოდ ანაზღაურება შევძლოთ. პირადად

ხვიჩა ქასრაშვილი

მე მწვრთნელად დაბრუნებას არ ვაპირებ, თუ ხვიჩამ დაგვტოვა, მას რომელიმე ადგილობრივი სპეციალისტი შეცვლის. რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს უმაღლეს ლიგაში ადგილის გაყიდვის შესახებ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი რამ არ იგეგმება" - განაცხადა ბრეგვაძემ.

ამის შემდეგ თავად ხვიჩა ქასრაშვილს შევეხმიანეთ, რომელსაც გუშინ საღამოსთვის იმედი ბოლომდე არ ჰქონდა გადაწურული. *"ცოტა ხნის წინ "ჩიხურას" ვიცე-პრეზიდენტმა* ***კახა გელბახიანმა*** დამირეკა, რომელმაც მითხრა, რომ ახალ ინფორმაციას ფლობს და ბრძოლისუნარიანი გუნდის შენარჩუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. მას პირადად შევხვდები და ამის შემდეგ უკვე ყველაფერი ნათლად მეცოდინება.

ფული ჩემთვის პირველხარისხოვანი არასდროს ყოფილა, მთავარი სპორტული ინტერესებია. თუ ახალგაზრდული შემადგენლობის მიუხედავად, რაიმე მიზნისკენ მისწრაფებასა და შემართებას დავინახავ, ნებისმიერ შემთხვევაში გავაგრძელებ მუშაობას, ხოლო თუ დავინახავ, რომ გუნდი უმაღლესში ასპარეზობას მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით განაგრძობს, რამდენიც უნდა გადამიხადონ, დამრჩენი არ ვარ" - გვითხრა ქასრაშვილმა.

"ჩიხურასთან" დაკავშირებული ყველა კითხვის ნიშანი ალბათ დღეისთვის მოიხსნება, ჩვენის მხრივ კი შეგახსენებთ, რომ გუნდი ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. წლის პირველ ოფიციალურ მატჩს საჩხერელები 18 თებერვალს, თასის მეოთხედფინალში ბოლნისის "სიონის" წინააღმდეგ გამართავენ.

ლევან ჯანეზაშვილი

ტორპედო

ისევ ვისოლის მოლოდინში

თბილისური შეკრების შემდეგ, რომელიც ქუთათურებმა დაგეგმილზე სამი დღით ადრე დაასრულეს, „ტორპედომ" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება საკუთარ ბაზაზე განაგრძო. დიდთოვლობის გამო, ტორპედოელებს რამდენიმე ვარჯიში გაუცდათ, თუმცა გამოდარებასთან ერთად სამუშაო პროცესი საღორიის საწვრთნელ ბაზაზეც განახლდა. ბოლო სამი დღეა გუნდთან ერთად არ იმყოფებიან მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** და მისი თანაშემწე **ზაზა ზამთარაძე**. ცნობილია, რომ ისინი დედაქალაქში გუნდის მეპატრონეებს შეხვდნენ და „ტორპედოს" მომავალზე ესაუბრნენ. მათ არყოფნაში ტორპედოელებს **მიხეილ კვერნაძე** ავარჯიშებს. კიკნაძე და ზამთარაძე გუნდს დღეს შეუერთდებიან. „ტორპედოსა" და „ვისოლის" ურთიერთობა დღემდე არ გარკვეულა. რიონისპირელები კვლავ დაფინანსების მოლოდინში არიან და იმედი აქვთ, რომ სეზონის განახლებამდე ამ პრობლემას საბოლოოდ მოევლება. როგორც შევიტყვეთ, სწორედ უსახსრობა გახლდათ დედაქალაქიდან „ტორპედოს" ნაადრევად წამოსვლის მიზეზი. ქუთაისელები ვერც ამხანაგური მატჩების სიმრავლით დაიკვეხნიან. აქამდე მათ მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარეს „ზესტაფონთან" და „ლოკომოტივთან" 0:1 დამარცხდნენ, „ამერის" გადახალისებულ გუნდს კი 5:4 მოუგეს. 11 თებერვალს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი არის დაგეგმილი, რომელშიც რიონისპირელები გორის „დილას" უმასპინძლებენ.

უკვე შეიძლება ითქვას, რომ „ტორპედო" სეზონის მეორე ნახევარს საკმაოდ სახეცვლილი შეხვდება. გუნდიდან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი წავიდა **გამეზარდაშვილის, ბერუაშვილისა** და **გივი ჩხეტიანის** შემდეგ „ტორპედო" **გიორგი კრასოვსკიმ** და **ზურაბ მუშკუდიანმაც** დატოვეს. კრასოვსკი აზერბაიჯანულ „გილანში" გადავიდა, მუშკუდიანის ახალი ნავსაყუდელი კი ჯერჯერობით უცნობია. ყველა ეს ფეხბურთელი „ტორპედოს" მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა და მათი წასვლა გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება. ქუთაისურ გუნდში შევსებაც არის, რიონისპირელთა რიგებში ვარჯიშობს ბათუმისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **კახა მახარაძე**, რომელიც ვარჯიშებზე საკმაოდ კარგად გამოიყურება და მისით მწვრთნელებიც კმაყოფილები არიან. „ტორპედოში" დაბრუნდნენ მცველები **დავით ხურცილავა** და **რატი ბარბაძე**, გაცილებით ადრე მივიდა გუნდში ვეტერანი **კახა კვეტენაძე**. ამათ გარდა, ქუთათურებმა კიდევ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი **კილასონია** და **ვალერი ჯობაშვილი** დაიმატეს. საუბარია ვეტერანი **გია ჩხაიძის** გადმობირებაზეც, თუმცა ჯერჯერობით მისი საკითხი გასარკვევია.

შექმნილი ვითარების მიუხედავად გუნდის ხელმძღვანელობა ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ „ტორპედოს" სპონსორობის საკითხი მალე გადაწყდება. გუნდის უფროსის **პაპუნა მელაძის** თქმით, ფინანსური მდგომარეობის მხრივ უკეთესობა იგრძნობა და სავარჯიშო პროცესებიც შეუფერხებლად მიმდინარეობს. „ტორპედოსა" და „ვისოლის" ურთიერთობა კი უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს.

დავით კოხრეიძე
ქუთაისდან

ზესტაფონი

ფრე აზიელებთან

ზესტაფონი–პიუნდაი 1:1

ზესტაფონი: **ჯალაღონია , საჯაია, თოდუა, ონიანი, ჩხეტიანი, სანტოსი, ნ. კვასხვაძე, ფიფია, იონანიძე, ვიეირა, ჭელიძე**
შეცვლაზე ითამაშეს: **ნოზაძე, ღონღაძე, ჯანელიძე, ხიდეშელი.**

9 თებერვალს "ზესტაფონმა" თურქულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო შეხვედრა აზიის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ სამხრეთკორეულ "ჩონბუკ ჰიუნდაი მოტორსთან" გამართა.

"ზესტაფონის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მატჩმა თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. მეტოქე ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული და მკაცრი სათამაშო დისციპლინით გამოირჩეოდა.

და მაინც, იმერლებმა თავიდან მოიპოვეს უპირატესობა და ერთადერთი გოლიც პირველ ტაიმში გაიტანეს: **ედიკ საჯაიას** გადაცემით **გიორგი ჭელიძემ** ისარგებლა და მე-20 წუთზე ანგარიში გახსნა – 1:0.

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, ორივე გუნდს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა კორეელებმა უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს და ტაიმის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს. მეტოქეთა მცდელობის მიუხედავად, მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

დღეს იმერლები სამშობლოში ბრუნდებიან. აზიის ჩემპიონებთან მატჩი ზესტაფონელთათვის ბოლო იყო თურქულ შეკრებაზე. ხვალ კლუბი სამშობლოში დაბრუნდება, სადაც გააგრძელებს მზადებას სეზონის განახლებისათვის.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაუგრძნობენ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და "ფრაიბურგის" ფეხბურთელს ალექსანდრე იაშვილს, ბაბუის გარდაცვალების გამო.

საქართველოსა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციები სამძიმარს უცხადებენ გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დურმიშხან ჩხაიძეს დედის გარდაცვალების გამო.

სიონი

ახალწვეულები გაფორმდნენ

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყველა ის ახალი ფეხბურთელი, რომელიც დსთ-ის თასის შემდეგ, სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებელი პერიოდი ბოლნისის "სიონის" შემადგენლობაში დაიწყო, ჩემპიონატის ბოლომდე ქვემოქართლელთა ღირსებას დაიცავს. კლუბის გენერალური მენეჯერის, **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, ყველა მათგანთან სეზონის ბოლომდე დაიდო ხელშეკრულება.

მათგან ყველაზე ადრე "სიონს" **ვიტალი დარასელია** და **ლევან სილაგაძე** შეუერთდნენ, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონთა ღირსება მოსკოვში დაიცვეს. მათ უცხოურ კლუბებში მოწყობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ შესაფერისი ვარიანტი ვერ იპოვეს და თავისი მომავალი ბოლნისელებს დაუკავშირეს. მეკარე **ზურაბ მამალაძის** გასინელება კი თანამეგობრობის თასამდე იყო გადაწყვეტილი.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ "სიონს" **ზურაბ ექონია, შოთა ბაბუნაშვილი** და **ლევან კორღალიძე** შეუერთდნენ და საბოლოოდ, გუნდში საკმაოდ ძლიერმა კონტინგენტმა მოიყარა თავი. ერთი ეგაა, ბოლნისელებმა საზღვარგარეთული შეკრება ვერ გაიარეს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ამის მიუხედავად, "სიონი" მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

გამომდინარე იქედან, რომ ჩემპიონატში ლიდერებს საკმაო სხვაობით ჩამორჩება, "სიონს" ევროარენაზე გაღწევის მეტი შანსი თასის გათამაშებიდან უნდა ჰქონდეს. მით უფრო, რომ მეოთხედფინალში დაუძლურებულ "ჩიხურას" ხვდება.

შეგახსენებთ, გუნდი თბილისში, სასტუმრო "ლიზიშია" შეკრებილი, ვარჯიშებს კი 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე ატარებს.

ლევან ჯანეზაშვილი



გიორგი ლომაია

ლეგიონერი

ვებერი ლომაიათი კმაყოფილია

საქართველო-თურქეთის მატჩში ერთ-ერთი გამოსარჩევი ფიგურა ქართველთაგან **გიორგი ლომაია** იყო. დიდწილად მისი დამსახურებაა, ჩვენს კარში გოლი რომ არ გასულა. ლომაიასა და **მიხეილ აშვეთიასთან** დაკავშირებით გერმანულ ვებგვერდზე საინტერესო ცნობა მოვიძიეთ.

"საქართველო-თურქეთის მატჩის შემდეგ "კარლ ცაისის" ფეხბურთელები გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია იენას დაუბრუნდნენ. გუნდის მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ვებერი თურქეთთან მატჩში ქართველების თამაშით დაინტერესდა და კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეს კი ესაუბრა.

"მინგესთან სატელეფონო საუბარი მქონდა. მაინტერესებდა, თუ როგორ ითამაშეს ლომაიამ და აშვეთიამ. როგორც მინგემ მითხრა, ლომაიამ მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა და ორჯერ შესანიშნავად გაისარჯა. აშვეთიამ კი მატჩის ბოლო 18 წუთი დაყო მოედანზე და დროის ამ მონაკვეთში თამაშის გამწვავებაც შეძლო. ასე რომ, მინგესთან საუბრის შემდეგ, ჩვენს ორივე ფეხბურთელზე დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა", - წერს გერმანული ვებგვერდი.

სხვათა შორის, მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში "კარლ ცაისი" ესენის "როტ ვაისს" (თეთრ-ნითლები) ეთამაშება და ქართველები, სავარაუდოდ, სასტარტოში იქნებიან.

დავით ცაბაძე

სავარაუდო ტრანსფერი

თურქეთში ვენტსპილსისთვის

თბილისის "დინამოს" ყოფილმა მცველმა **დავით გიგაურმა,** შესაძლოა, კარიერა ლატვიურ "ვენტსპილსში" გააგრძელოს. ეს რომ მოხდეს, ფეხბურთელმა თავი უნდა მოაწონოს კლუბის ხელმძღვანელობას. ამის შანსი გიგაურს ანთალიაში მიეცემა, სადაც ლატვიელები შეკრებას გადიან.

გიგაურის დამატება რუსთავის "ოლიმპსაც" სურდა, მაგრამ ამ ვარიანტის გამოჩენისთანავე, ფეხბურთელმა რუსთაველებს უარი უთხრა, თუმცა არა საბოლოო. ტრანსფერის ჩაშლის შემთხვევაში, მცველი მეორე წრეს "ოლიმპში" გაატარებს.

როგორც გაირკვა, "დინამოსა" და "ვენტსპილსს" შორის, წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობს, მთავარია ლატვიელთა მწვრთნელს მოეწონოს ქართველი მცველი.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერი

მარცხი ბოლოს

"ამერი" დღეს ანთალიიდან თბილისში გამოემგზავრება. გუნდმა მომზადების თურქული ეტაპი დაასრულა. გუშინ თბილისურმა გუნდმა ბოლო საკონტროლო მატჩი ლიხტენშტაინის თასის მფლობელთან, შვეიცარიის მეორე ლიგელ "ვადუცთან" გამართა და მოულოდნელად 2:3 დამარცხდა.

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი (კაკაშვილი 46), ჩიკვილაძე, დოლიძე, დობროვოლსკი (მესხი 46), ბოლქვაძე (გაბისკირია 46), ჯელაძე (ნიკოლაიშვილი 77), პეტრიჩეკიჩი (ჩიმაკაძე 46), დავითაშვილი.

გუნდის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა. მანამდე "ვადუცს" მომენტი არ შეუქმნია. მეტიც, მათ კარში მსაჯმა ორი ბურთი არ ჩათვალა.

შესვენების შემდეგ კი ლიხტენშტაინელები ერთი "პერიოდი" სამბურთიანი უპირატესობითაც დაწინაურდნენ. "ამერმა" მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხა.

ჩიმაკაძემ ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. თავის მხრივ კი, მეტოქემ მომენტებით სანიმუშოდ ისარგებლა და 57-ე, მე-60 და 78-ე წუთებზე "ამერის" კარი აიღო. ეს კიდევ არაფერი, **ზურაბ ქვაჩახიას** რომ არ ევაჟკაცა, თბილისელები მეოთხე გოლსაც ვერ ასცდებოდნენ – მასთან პირისპირ გასულ მეტოქეს აჯობა.

თბილისელები ბოლოსღა გამოცოცხლდნენ და ბოლო ათი წუთი "ვადუცის" კართან შტურმი მოაწყვეს და ორი ბურთიც გაიტანეს - 81-ე წუთზე **სულიკო დავითაშვილმა** გაიტანა, 83-ზე კი **გრიგოლ დოლიძემ გიორგი ნიკოლაიშვილის** გადაცემით იხერა.

მერაბ მამულაშვილი

პეტრიაშვილი ფიფამ აფრიკაში გაუშვა

პლატინის არჩევა ყველასთვის სასურველია

დავით პეტრიაშვილი ფიფა-უეფაში პოზიციებს იმყარებს. უეფას დირექტორს ახლახან დამატებითი უფლება-მოსილებანი ჩააბარეს. უეფას კულისებში კარგად გარკვეულია და პლატინის არჩევის შემდგომ შექმნილ ვითარებაზე ვესაუბრეთ:

- როგორც შევიტყვეთ, უეფამ სტადიონების უსაფრთხოებისა და მატჩების ორგანიზაციული საკითხების კოორდინატორად დაგნიშნათ...

- უფრო ზუსტად გეტყვით, რაც ხდება. უეფამ დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება, რომელიც სტადიონებზე ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას ითვალისწინებს. პროგრამა ლექციების ჩატარებას გულისხმობს და მე ვარ უეფას მიერ შერჩეული ერთ-ერთი ლექტორი. უეფაში კი ისევ დირექტორი ვარ.

- უეფას კომიტეტში აღარ მუშაობთ?

- არა, რადგან დელეგატობასა და დირექტორობას დიდი დრო მიაქვს.

- თქვენი აზრით, რა შეიძლება პლატინის მოსვლით ევროპულ ფეხბურთში შეიცვალოს?

- ძალიან ბევრი რამ. თქვენ რა გაინტერესებთ?

- საქართველოსთვის რა შეიცვლება? მას ძველი პრეზიდენტიც დაუდგა გვერდში და ახალიც. წესით, ეს ჩვენს მდგომარეობაზეც უნდა აისახოს, თუ ვცდებით?

- პლატინი პატარა ქვეყნების უეფას სამუშაო პროცესში ჩართვას ემხრობა. მისი არჩევა ფეხბურთისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. არ მინდა ამ სიტყვის ხმარება, მაგრამ ფაქტხაც ვერ გავექცევით - უეფაში ერგვარი სტაგნაცია შეინიშნებოდა. ეს შიდა სტრუქტურებიდან უფრო ჩანდა. არ ვამბობ, რომ იუჰანსონი ცუდი პრეზიდენტი იყო, მაგრამ ბევრი რამ იყო შესაცვლელი.

თანაც პლატინი ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო და მისი გამარჯვება ძალიან გამიხარდა. რომ ამბობენ, მარტო ფეხბურთელი იყოო და ეჭვით უყურებენ მის პერსპექტივას, ძალიან მაოცებს. 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა და შესანიშნავ ორგანიზატორად გამოავლინა თავი. ანუ, ფეხბურთშიც გამოიჩინა თავი და მენეჯმენტშიც.

მისი პრეზიდენტობა ყველა სფეროს შეეხება. ვგულისხმობ სანაკრებო, საკლუბო, საკომიტეტო სფეროებს, ყველაფერს აბსოლუტურად.

განსაკუთრებული ცვლილებები ჩვენნაირი პატარა ქვეყნების მიმართაა მოსალოდნელი. პლატინი არ ყოფს ქვეყნებს ელიტურ და მეორეხარისხოვნად. მისთვის ასეთი პრინციპი მიუღებელია.

- როგორც შევიტყვეთ, უეფას გარდა, ფიფაშიც ახალი დავალებები მიგიღიათ და აფრიკაში გაგზავნიან. დავაკონკრეტოთ, ასეთი რა დავალებაა?

- ფიფამაც დაიწყო სტადიონების შემოწმება და აფრიკის რვა ქვეყანა უნდა მოვიაროთ: სიერა-ლეონე, ეთიოპია, ერიტრეა, სუდანი, ეგვიპტე და ა.შ.

მერაბ მამულაშვილი

თარგამაძე ფრაიბურგშია

საქართველოს 19-ნლამდელთა ნაკრებისა და თბილისის "დინამო 2-ის" ფეხბურთელი **დავით თარგამაძე** გერმანიაშია და მეორებუნდესლიგელ "ფრაიბურგში" ვარჯიშობს.

თარგამაძემ გერმანელთა ყურადღება გასულ წელს მიიპყრო, რის შემდეგაც გასინჯვაზე მიიწვიეს. **ფოლკერ ფინკეს** ქართველი ნახევარმცველი ძალიან მოენონა და მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

ერთადერთ პრობლემას თარგამაძის ასაკი წარმოადგენს. იგი 17 წლისაა და კონტრაქტის გაფორმების უფლება არ გააჩნია. ამის მიუხედავად, "ფრაიბურგმა" დათო მაინც მიიწვია. დანარჩენს მისი საუბრიდან შეიტყობთ:

"ჯერ კონტრაქტის გაფორმების უფლება არ გამაჩნია. თუმცა ჩემი მოწვევა საჭიროდ ჩათვალეს, 18 წლის აგვისტოში გავხდები და მანამდე, მხოლოდ საკონტროლო შეხვედრებში თუ ვითამაშებ. ამის მიუხედავად, "ფრაიბურგმა" ამჯობინა ჩავსულიყავი და ძირითად გუნდთან ერთად მევარჯიშა. ეს ჩემთვისაც მისაღებია. ნახევარი წელი ფიზიკურად მოვლონიერდები და გუნდსაც შევეჩვევი."

მერაბ მამულაშვილი

იტალია შოტლანდიას უმასპინძლებს

"შეხვედრა ბარშია დანიშნული, სტადიონი უსაფრთხოების ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ თამაში, შეიძლება, სხვა ქალაქში გადაიტანონ...

იტალიურ ფეხბურთში არსებული საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, სპორტის მინისტრი **ჯოვანა მელანდრი** დარწმუნებულია, რომ შოტლანდიის ნაკრებთან ევრო 2008-ის მომდევნო შესარჩევ შეხვედრას იტალია მაინც უმასპინძლებს. შეხვედრა, რომელიც 28 მარტს უნდა გაიმართოს, ფედერაციას ბარის „სან ნიკოლაზე" ჰქონდა დანიშნული, მაგრამ ეს სტადიონი მთავრობის მიერ კატანიური არეულობების შემდეგ მიღებული დეკრეტით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ახალ ნორმებს არ პასუხობს. *„შეშინდა დაგარწმუნოთ, რომ საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობას აუცილებლად შევძლებთ* – განაცხადა მინისტრმა „სქაი სპორტთან" საუბრისას – *აქ იგულისხმება როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონის შეხვედრები და ასევე უცხოელი გულშემატკივრების სტადიონზე მიღება."*

იტალიის მთავრობის წარმომადგენლებს უეფას ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა აქვთ დაგეგმილი, სადაც სტადიონებზე უსაფრთოებისა და გულშემატკივრების დაშვების საკითხები იქნება განხილული. შესაძლებელია, რომ ფედერკალჩომ შოტლანდიასთან შეხვედრის ადგილი შეცვალოს და ისეთ ქალაქში გადაიტანოს, სადაც სტადიონი ახალ მოთხოვნებს პასუხობს. ამასთან დაკავშირებით, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ საკუთარ ფანებს მოუწოდა, რომ სიტუაციას გაგებით შეხვედროდნენ. *„ჩვენ კვლავ ველით ცნობებს იტალიიდან, კვლავ გაურკვეველია შეხვედრის ადგილი, რაც ჩვენს ფანებში აღშფოთებას იწვევს. ათასობით გულშემატკივარი გეგმავს, რომ ნაკრებს იტალიაში გაჰყვეს და უქომაგოს – თქვა ასოციაციის პრესმდივანმა - სტადიონთან დაკავშირებით არსებობს ბევრი ჰიპოთეზა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ვიცით, რომ უეფა და იტალიის ფედერაცია ამ დღეებში შეხვდებიან და სხვადასხვა ვარიანტს განიხილავენ, თუკი გადაწყდა, რომ ბარი შეხვედრას ვერ უმასპინძლებს."*

გუნდი	მიდიან	მოდიან	მზადება
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?)**	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო)** ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), **ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო)**	თბილისი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო),**	**კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი)**	თბილისი, თურქეთი
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი,** სილაგავა, სევასტოპულო	**მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი),** კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე**	**რ. ონიანი (ოლიმპი),** ლეანდრო, ჟონატასი	თბილისი, თურქეთი
დინამო	**ამბროზიო (გრემიო),** ბობოხიძე (ზარია), ახალაია, **ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?)** ნავალოვსკი (ოლიმპი), ნერგაძე, გიგაური	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი)** კრშკო (ფილინა), **ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია),** სირბილაძე	ბაკურიანი, ანთალია
ტორპედო	**ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)**	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), **კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა,**	ქუთაისი, თბილისი
ს

ონი | **სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი** | **მამალაძე (ჩიხურა) სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ვქონია, კორლალიძე** | დსთ-ის თასი, თბილისი |
დოჯომოტივი	**ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი**	**სოსელია, ნუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)**	ურეკი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე**	**კვერნაძე, კიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა)**	ბორჯომი
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	**ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი),** ქემოკლიძე, თედორაძე (ჩიხურა)	თბილისი, გურჯაანი
ჩიხურა	ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა	—	—
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყეპია**	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	ბათუმი
დიღა	ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), **მამესნარაშვილი (მწვრთნელი)**	ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია	გორი, თბილისი
ჰეხეთი	**ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია),** ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, ნუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი)** მედოევი, ე. მერებაშვილი,	თელავი

დღეს

სოსიედადი-რეალი
ბეგისი-სევილია

ხვალ

სელტა-ესპანიოლი
ხეგაუე-ვალენსია
სევილია-ოსასუნა
ლევანტე-რეკრეატივო
მალიორკა-სარაგოსა
ვილიარეალი-დეპორტივო
ბარსელონა-რასინგი
ათლეტიკო-ბილბაო

ESPANEETI. PRIMERA DIVIZIONI. XXII TURIS WINA

ბექჰემი ბრუნდება

მარკა გვაუწყებს, რომ თუ რეალი ისევ დამარცხდება, კაპელოს მიჩელი შეცვლის

"ლევანტესთან" ნამატჩევს განრისხებულმა პუბლიკამ კლუბს ობსტრუქცია მოუწყო. მწვრთნელის გარდა, ინჩასები პრეზიდენტ **რამონ კალდერონის** გადადგომასაც დაჟინებით ითხოვდნენ.

დონ ფაბიომ **რონალდო** მოიშორა. მისი მოთხოვნით, გუნდმა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი. ექვსი მატჩია, განაცხადში ვერ ხვდება **დევიდ ბექჰემი**. მწვრთნელი ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებს. კრიზისი კი ღრმავდება. სან სებასტიანში გამგზავრების წინ კაპელომ პრეს-კონფერენცია ჩაატარა და თქვა, რომ ბექჰი განაცხადში ბრუნდება: *"როცა ამერიკელებთან კონტრაქტი გააფორმა, ვეჭვობდით, რომ ძველებური ენთუზიაზმით ვერ ივარჯიშებდა, მაგრამ ეჭვი არ გამართლდა. დევიდი ნამდვილი პროფესიონალია, თავდაუზოგავად შრომობს და გუნდში ამიტომაც ბრუნდება. მას რამდენჯერმე ვესაუბრე. კმაყოფილები ვართ ჩვენც და ისიც."*

რამდენიმე დღის წინათ ბექჰემმა "მარკას" განუცხადა: *"მინდა, გუნდს დავეხმარო, მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს. ერთი სული მაქვს, როდის გავალ მინდორზე. არ ვიცი, მათამაშებენ თუ არა, მაგრამ ვარჯიშს ძველებური შემართებით გავაგრძელებ. მინდა, "რეალს" ამაღლებული განწყობით გამოვეთხოვო."*

ბექჰემის მსგავსად, თავ-თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები უმთავრდებათ **ხავიერ სავიოლასა** (ბარსელონა) და **რობერტო აიალას** (ვალენსია), მაგრამ მწვრთნელებს მათი შემადგენლობიდან ამოგდება აზრად არ მოსვლიათ. კაპელოს საქციელი სულ მთლად ალოგიკური და უსაფუძვლო იყო. ბექჰემმა "რეალის" მაისურა უკანასკნელად 7 იანვარს, "დეპორტივოსთან" მატჩში მოირგო. ის თამაში მადრიდელებმა 0:2 დათმეს. მეორე დღეს მთელ მსოფლიოს მოედო ამბავი მისი საარაკო ლოსანჯელესური კონტრაქტის შესახებ.

გადავინაცვლოთ "რეალის" მეტოქის ბანაკში. მართალია, სამეფო კლუბი გასაჭირშია, მაგრამ მის ოპონენტებს კიდევ უფრო ცუდად აქვთ საქმე. "სოსიედადმა" ამ სეზონში ჩატარებული 21 შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგო. ისინი ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებიან და უსაფრთხო ზონისგან 8 ქულა ჰყოფთ. საინტერესო ინფორმაცია: "სოსიედადის" თავდამსხმელი **დარკო კოვაჩევიჩი** "რეალისთვის" გოლების გატანის სპეციალისტია. მას არცერთი სხვა ესპანური კლუბი არ დაუმწუხრებია იმდენჯერ, რამდენჯერაც მადრიდული გრანდი...

მცირე კრიზისი აქვს გათამაშების ლიდერ "ბარსელონასაც". მან ბოლო ექვსი თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო, მაგრამ კატალონიელებს ორი ლიდერი - **სამუელ ეტოო** და **ლიონელ მესი** დაუბრუნდათ. ეტოომ, რომელმაც ბოლო ორ სეზონში 50 გოლი გაიტანა, "ოსასუნასთან" გასულ უქმეებზე რამდენიმე წუთი ითამაშა. ეს მისი პირველი მატჩი იყო უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ "რასინგის" წინააღმდეგ მას უფრო მეტი დრო მიეცემა. ეტოო: *"ჩემი მიზანია, ისევ ის ფეხბურთელი გავხდე, რომელიც ტრავმამდე ვიყავი. ამისთვის ბევრი შრომა დამჭირდება. არ დაგიმალავთ, ჯერ ვერ დავძლიე შიში, რომ მუხლის ტრავმა თავს შემახსენებს."*

განაცხადში იქნება **ლეო მესიც**, მაგრამ უცნობია, გარისკავს თუ არა **ფრანკ რიიკაარდი** მის ძირითადში დაყენებას. საეჭვოა **რონალდინიოს** ასპარეზობა. ორი დღის წინანდელ ვარჯიშზე მას მუხლი გაუსივდა.

მეტოქე "რასინგს" ორი წამყვანი თავდამსხმელი - **პედრო მუნიტისი** და **ნიკოლა ჟიგიჩი** არ ეყოლება. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან...

საინტერესო თამაშს უნდა ველოდოთ "კოლისეოზე", სადაც "ხეტაფე" "ვალენსიას" მიიღებს. **ბერნდ შუსტერის** გუნდმა "ღამურები" სამეფო თასიდან დაითხოვა, შინ კი ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ წააგო. ხეფატელებს მერვე ადგილი უკავიათ. მათზე ხუთი საფეხურით წინ იმყოფებიან ვალენსიელები, რომლებსაც ბოლო რვა თამაშში შვიდი მოგება აქვთ...

"ბეტისსა" და "სევილიას" დერბი აქვთ. გასულ უქმეებზე ლუის ფერნანდესის შეგირდებმა მწვრთნელის ყოფილი კლუბი, "ბილბაო" დაამარცხეს (2:1) და ცხრილში მდგომარეობა გაიუმჯობესეს. მართალია, **ხუანდე რამოსის** გუნდი მეორე ადგილს ინარჩუნებს, მაგრამ წელს ხუთი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო და თანაქალაქელისგანაც დიდ ბრძოლას უნდა ელოდოს. თებერვლის დასაწყისში ისინი ესპანეთის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი უგოლოდ დასრულდა. ამჯერად რამოსი უფრო გახსნილ ფეხბურთს წინასწარმეტყველებს: *"ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება. "სევილია" ცხრილის სათავეში დარჩენას აპირებს. საამისოდ კი სამი ქულა გვჭირდება."* სევილიელებს პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი **ფრედრიკ კანუტე** ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა, რომელსაც აქტივში 16 გოლი აქვს, საზარდულის ტრავმის გამო, წინა ტურის მატჩიც (სოსიედადთან 0:0) გამოტოვა...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	21	12	7	2	43-18	43
2. სევილია	21	13	3	5	41-21	42
3. ვალენსია	21	12	3	6	32-18	39
4. რეალი	21	12	2	7	28-18	38
5. ათლეტიკო	21	10	6	5	27-17	36
6. სარაგოსა	21	10	5	6	33-22	35
7. რეკრეატივო	21	10	3	8	31-28	33
8. ხეტაფე	21	9	5	7	18-14	32
9. რასინგი	21	7	8	6	20-24	29
10. ვილიარეალი	21	8	5	8	20-26	29
11. ოსასუნა	21	8	3	10	27-26	27
12. ესპანიოლი	21	6	8	7	19-24	26
13. დეპორტივო	21	6	8	7	16-25	26
14. ბეტისი	21	6	6	9	23-28	24
15. მალიორკა	21	6	5	10	18-29	23
16. ბილბაო	21	5	7	9	24-30	22
17. სელტა	21	5	7	9	23-30	22
18. ლევანტე	21	5	7	9	19-30	22
19. სოსიედადი	21	2	8	11	12-27	14
20. ხიმნასტიკი	21	3	4	14	21-40	13

ITALIA. SERIA A. XXIII TURIS WINA

ევრორეკორდი ცარიელი ტრიბუნების წინ?

ხვალ

აგალანგა-ლაციო
(უმაყურებლოდ)
კიევო-ინტერი
(უმაყურებლოდ)
ფიორენტინა-უდინეზე
(უმაყურებლოდ)
მესინა-კატანია
(უმაყურებლოდ)
მილანი-ლივორნო
(უმაყურებლოდ)
კალიარი-სიენა
პალერმო-ეფპოლი
რომა-პარმა
სამპდორია-ასკოლი
ტორინო-რევჯინა

22-ე ტურის გამოტოვების შემდეგ, სერია A ხვალ უალენდრით დაგეგმილი 23-ე ტურით განახლდება. ათივე შეხვედრა 15 საათზე გაიმართება. თებერვლის ბოლომდე აღარ იქნება არც შაბათისა და არც ღამის თამაშები. ამას გულისხმობს საგანგებო დეკრეტი, რომელიც იტალიის მთავრობამ კატანიაში მომხდარი მოვლენების შემდეგ მიიღო. ათიდან ხუთი შეხვედრა ხვალ ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდება იმის გამო, რომ სტადიონები უსაფრთხოების ნორმებს ვერ აკმაყოფილებენ. აიკრძალა სტუმარი გუნდის ტიფოზებისთვის ბილეთების ჯგუფურად მიყიდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, თუ „პარმის" „ულტრასს" რომის „ოლიმპიკოზე" თავისი გუნდის ქომაგობა უნდა, ბილეთი ინდივიდუალურად უნდა იყიდოს და შეიძლება, „რომას" გულშემატკივრებს შორის აღმოჩნდეს. გარდა ამისა, აიკრძალა პეტარდებისა და ტრანსპარანტების ტრიბუნებზე შეტანა. ერთი სიტყვით, იტალიის სტადიონებზე ძალიან განსხვავებული ატმოსფერო იქნება იმასთან შედარებით, რაც აქამდე იყო და ძნელი სათქმელია, რა ეფექტს მოახდენს ეს ყველაფერი ფეხბურთელების განწყობასა და ზოგადად თამაშზე. ბევრმა უკვე გამოთქვა პროტესტი, ტიფოზების გარეშე ფეხბურთი ფეხბურთი აღარაა და ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა ვითამაშოთო.

დაუმარცხებელი „ინტერი" „კიევოს" მოედანზე ითამაშებს. „ნერაძურის" ზედიზედ 14 შეხვედრა აქვს მოგებული და თუ ხვალ მე-15 მოიგო, ევრორეკორდს გაიმეორებს. წამყვან ევროპულ ჩემპიონატებში რეკორდი სწორედ რომ ზედიზედ მოგებული 15 მატჩია. ამის გაკეთება ორმა გუნდმა შეძლო - **დი სტეფანოს** „რეალმა" 60-იანი წლების დასაწყისში და „ბაიერნმა" ამ ოთხი წლის უკან. **იბრაჰიმოვიჩმა** თავის ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და უცნობი რჩება, ითამაშებს თუ არა ხვალ ძირითადში. საბოლოო პასუხს ექიმები შეხვედრის წინ იტყვიან. შვედის არყოფნის შემთხვევაში, **ადრიანოს** მენყვილე **კრესპო** ან **კრუსი** იქნება. სხვა მხრივ **მანჩინის** ყველა მოთამაშე მწყობრში ჰყავს. წლების წინათ **დელ ნერის** „კიევო" „ინტერს" ყოველთვის სისხლს უშრობდა, მაგრამ გუნდი სადღეისოდ მძიმე მდგომარეობაშია და გადარჩენისთვის იბრძვის. ბოლო სამ საშინაო შეხვედრიდან ვერონელებმა ორი მოიგეს და ბოლოს ფრე 0:0 ითამაშეს.

ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში მოუწევს „მილანსაც", რომელიც „ლივორნოს" მასპინძლობს. ყველა მოუთმენლად ელის **რონალდოს** გამოჩენას, მაგრამ **ანჩელოტი** არ ჩქარობს და მის სათადარიგოთა სკამზე გამწესებას აპირებს. ძირითად შემადგენლობაში **ჯილარდინო-ოლივეირას** წყვილი ითამაშებს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ შეხვედრის ბოლო 15-20 წუთში „ფენომენის" მილანური დებიუტი მაინც შედგეს. „როსონერის" ზედიზედ სამი საშინაო თამაში აქვს მოგებული, ბოლოს მილანელებმა შინ „პარმას" **ინძაგის** გოლით 1:0 მოუგეს. „მილანს" დაშავებული ჰყავს **დიდა**. ბრაზილიელმა მეკარემ ზურგის კუნთი იტკინა და ერთი თვე ვერ ითამაშებს. რაკი **კალაჩიც** დაშავებულია, ხვალ მილანელთა კარს იანვარში „მესინიდან" ნაყიდი **სტორარი** დაიცავს. „ლივორნომ" ზედიზედ ოთხი გასვლითი შეხვედრა წააგო, გამარჯვება კი ორ თვეზე მეტია აღარ უნახავს. პრივილეგირებულ მდგომარეობაშია „რომა", რომელიც „პარმას" საკუთარი ტიფოზების თანდასწრებით უმასპინძლებს. დედაქალაქელებს დისკვალიფიკაციამოხდილი **ტოტი** უბრუნდებათ და მასთან ერთად **მექსე**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. ბოლო ორი გასვლითი შეხვედრიდან რომაელებმა ორივე ფრედ 1:1 დაასრულეს, წინა ტურში კი შინ „სიენას" 1:0 მოუგეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	21	18	3	0	46-17	57
2. რომა	21	14	4	3	43-17	46
3. პალერმო	22	13	3	6	39-27	42
4. ლაციო	21	9	6	6	33-18	30
5. კატანია	22	8	6	8	30-38	30
6. მეპოლი	21	7	8	6	19-19	29
7. უდინეზე	21	8	5	8	23-25	29
8. ატალანტა	21	7	7	7	36-32	28
9. მილანი	21	9	8	4	26-17	27
10. სამპდორია	21	6	6	9	28-30	24
11. სიენა	21	5	10	6	18-22	24
12. ლივორნო	21	5	8	8	21-32	23
13. ფიორენტინა	21	11	4	6	33-21	22
14. კალიარი	21	4	10	7	16-23	22
15. ტორინო	21	5	7	9	17-27	22
16. კიევო	21	4	6	11	21-30	18
17. რევჯინა	21	7	6	8	26-28	16
18. მესინა	21	3	7	11	21-36	16
19. პარმა	21	3	6	12	17-36	15
20. ასკოლი	21	2	6	13	16-33	12



ჯერჯერობით, სან სიროც ცარიელი იქნება



KALCIO

KALCHO DA UEFA

პლატინი კლუბების მხარეზეა

უეფას პრეზიდენტი ცარიელ სტადიონებზე თამაშის იდეას არ იზიარებს

უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** მხარს უჭერს იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ სტადიონებზე უსაფრთხოების ზომები გამკაცრდეს, მაგრამ ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშის იდეას ეწინააღმდეგება. *„ცხადია, ვეთანხმები იტალიის ფეხბურთის ფედერაციას იმაში, რომ პოლიციელის მკვლელობის შემდეგ ჩემპიონატები შეწყვიტა – თქვა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა – მაგრამ გულშემატკივრისთვის დახურულ სტადიონებზე თამაშს რაც შეეხება, არა მგონია, რომ ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იყოს, რადგან ასე კლუბები ზარალდებიან. პრობლემები ხალხმა გამოიწვია, მომხდარზე პასუხი ხულიგანმა ტიფოზებმა უნდა აგონ და არა უდანაშაულო კლუბებმა. მოძალადე გულშემატკივრები სტადიონებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდნენ, მაგრამ ამის გაკეთება მთავრობისა და პოლიციის დახმარებით არის შესაძლებელი, კლუბები ამ ტიპის პრობლემებს მარტო ვერ მოაგვარებენ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის წინ

მოუგებს ოჰმარის ბაიერნი არმინიას?

ჰერტა შალკესთვის უხერხული მეტოქეა...

ბუმინ

პანოვერი-ვოლფსბურგი იხ. 30-15 გვერდზე

დღეს

შტუტგარტი-ვერდერი
შალკე-ჰერტა
ჰამბურგი-ბორუსია (დ)
ლევერკუზენი-აინტრახტი
ბორუსია (მ)-ალემანია
მაინცი-კოტბუსი

ხვალ

ბოხუმი-ნიურნბერგი
ბაიერნი-არმინია

დღეს მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღება გელზენკირხენისკენ იქნება მიმართული, სადაც სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი "შალკე" ბერლინის "ჰერტას" უმასპინძლებს. წინა კვირას ბრემენში მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით გახარებულ შალკელებს სიფრთხილე მართებთ - "ჰერტა" მათთვის არცთუ სასურველი მეტოქეა. მოგეხსენებათ, გელზენკირხენელებს მიმდინარე სეზონში სულ 3 წაგება აქვთ, აქედან ერთი-ერთი პირველ წრეში სწორედ ბერლინში იწვნიეს. საერთოდ კი, აღსანიშნავია, რომ "შალკეს" ბოლო 8 საშინაო მატჩიდან "ჰერტა" მხოლოდ 2-ჯერ ჰყავს დამარცხებული. უკანასკნელი ინფორმაციით **ლევან კობიაშვილს** მოედანზე გასვლა შეუძლია, თუმცა დიდი შანსია, რომ **მირკო სლომკამ** ქართველი ნახევარმცველის სასტარტო შემადგენლობაში გამწესება მაინც ვერ გარისკოს. **დარიო როდრიგესს** სიცხე ჰქონდა და თუ ურუგვაელი მწყობრში ჩადგომას ვერ მოასწრებს, მაშინ მირკოს სხვა გზა აღარ ექნება - კობიაშვილი მარცხენა მცველის პოზიციაზე უნდა ათამაშოს. "ჰერტას" **ილდირაი ბაშთურქი** და **იოზიპ შიმუნიჩი** უბრუნდებიან.

გელზენკირხენელი გულშემატკივრები მხოლოდ თავის საყვარელ გუნდს როდი უქომაგებენ. "შალკეს" ფანები იმედოვნებენ, რომ "შტუტგარტი" "ვერდერს" 3 ქულას არ დაანებებს. შვაბები ჩინებულ ფორმაში არიან და უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრემენულ კლუბს ფრის მიღწევაც გაუჭირდება. "მუსიკოსთა" სასტარტო შემადგენლობაში ბრუნდებიან **ტორსტენ ფრინგსი,** რომელიც "შალკესთან" დისკვალიფიცირებული იყო და ძირითადი გოლკიპერი **ტიმ ვიზე** (ტრავმა ჰქონდა). თამაში შეუძლია **მიროსლავ კლოზესაც,** რომელიც ოთხშაბათს გერმანიის ნაკრებს ვერ დაეხმარა. ამრიგად, აუცილებლად შედგება ბუნდესლიგის ორი ბომბარდირის დუელი: **მარიო გომესი** კლოზეს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი საშინაო შეხვედრიდან "შტუტგარტმა" "ვერდერი" ვერცერთხელ ვერ დაამარცხა (3 ფრე, 2 წაგება). და თუკი VFB დღეს ამას მოახერხებს, მაშინ **არმინ ფეჰის** ბიჭები ბრემენულ გუნდთან ჩამორჩენას 1 ქულამდე შეამცირებენ.

უაღრესად საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს "ჰამბურგისა" და დორტმუნდის "ბორუსიის" დაპირისპირებაც. ბოლოადგილოსანი HSV იძულებულია, მოუგოს გუნდს, რომელიც საკუთარ მოედანზე ბოლო 9 თამაშში ვერცერთხელ (!) ვერ დაამარცხა. ამრიგად, BVB "ჰამბურგისთვის" ძალიან უხერხული მეტოქეა. ჩრდილოელთა ახალმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** უკვე კარგად გაიცნო გუნდი და ერთი კვირა ჰქონდა იმისთვის, რომ თავისი ფეხბურთელების ავანჩავანი გაეგო. ამრიგად, სტევენსს ალიბი აღარ აქვს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ "ჰამბურგს" ამ შეხვედრის შემდეგ ორი ურთულესი ჯახი ელის: "შალკესთან" და "ვერდერთან".

სამი ქულა ჰაერივით სჭირდება "მაინცსაც", რომელიც ბოლოსწინა ადგილზეა, **იურგენ კლოპის** გუნდი, რომელიც მეორე წრეში ცოტათი აზრზე მოვიდა, დღეს ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაში თავის უშუალო კონკურენტ "კოტბუსს" მასპინძლობს. იგივე ეხება მიონხენგლადბახის "ბორუსიასაც" - **იოს ლუჰუკეის** შეგირდები დასავლურ დერბიში აახენის "ალემანიას" უმასპინძლებენ. დღესვე "ლევერკუზენი" "ბაიარენაზე" "აინტრახტს" მიიღებს და სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. "ფარმაცევტებმა" ფრანკფურტელებს ბოლო 7 საშინაო მატჩიდან 6 მოუგეს და იმედი აქვთ, რომ ამ წარმატებულ სერიას არ შეწყვეტენ. "ლევერკუზენს" დისკვალიფიცირებული **ფრაიერი** და ტრავმირებული **შნაიდერი** არ ეყოლება, "აინტრახტს" კი ძირითადი გოლკიპერი **პრიოლი.**

ოტმარ ჰიტცფელდის "ბაიერნი" ხვალ თამაშობს. ბავარიელები ბილეფელდის "არმინიას" მასპინძლობენ და იმედი აქვთ, რომ სამ თამაშში მხოლოდ 1 ქულის მოპოვების შემდეგ, მეორე წრის პირველ გამარჯვებას იზეიმებენ. "არმინიას" რვამატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს სერია არც ხვალ შეწყდება. აღსანიშნავია, რომ "ბაიერნმა" ბოლო 6 საშინაო მატჩიდან ბილეფელდურ კლუბს ექვსივე მოუგეს. ჰიტცფელდი **ბასტიან შვაინშტაიგერს** მოისაკლისებს - ეს უკანასკნელი 5 ყვითელი ბარათის გამოა დისკვალიფიცირებული. თითქმის გარკვეულია, რომ შვაინის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში **ლუკას პოდოლსკი** ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნი" სამი თავდამსხმელით იასპარეზებს. აქვე შეგახსენებთ, რომ რეკოდმაისტერში დაბრუნების შემდეგ ჰიტცფელდი პირველად წარუდგება მიუნხენურ პუბლიკას...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შალკე	20	14	3	3	36-19	45
2. ვერდერი	20	13	3	4	52-24	42
3. შტუტგარტი	20	11	5	4	33-25	38
4. ბაიერნი	20	10	4	6	32-25	34
5. ჰერტა	20	9	6	5	32-31	33
6. ნიურნბერგი	20	6	12	2	28-17	30
7. ლევერკუზენი	20	8	4	8	33-31	28
8. ჰანოვერი	20	7	5	8	25-30	26
9. ბორუსია (დ)	20	6	7	7	24-25	25
10. არმინია	20	5	8	7	26-25	23
11. ვოლფსბურგი	20	5	8	7	18-22	23
12. კოტბუსი	20	5	7	8	22-26	22
13. აინტრახტი	20	4	10	6	25-33	22
14. ბოხუმი	20	5	5	10	22-31	20
15. ალემანია	20	5	4	11	32-42	19
16. ბორუსია (მ)	20	5	4	11	16-26	19
17. მაინცი	20	3	9	8	13-30	18
18. ჰამბურგი	20	1	12	7	19-26	15

ბუნდესგუნდი

გერმანიას ახალი გმირები ჰყავს

შვაინი და პოლდი დამთავრდა, ახლა გომესისა და კურანის დროა?

რა დაემართა შვაინშტაიგერს?

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ **ბასტიან შვაინშტაიგერს** "ბაიერნის" მაისურით კარგი თამაში აღარ ჩაუტარებია. ზამთრის არდადეგებამდე ისე იყო, რომ 22 წლის ნახევარმცველი, რომელმაც მუნდიალზე მთელი გერმანია აღაფრთოვანა, გერმანიის ნაკრებში რეგულარულად კარგად ასპარეზობდა და მხოლოდ საკლუბო დონეზე ვეღარ ახერხებდა გულშემატკივრების აღფრთოვანებას. ახლა კი ვეღარც ბუნდესგუნდში ბრწყინავს. ოთხშაბათს, შვეიცარიასთან ამხანაგურ შეხვედრაში (3:1 გერმანელთა სასარგებლოდ) შვაინიმ ზუსტად ისეთი ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც "ბაიერნის" მაისურით ჩატარებულ უკანასკნელ შეხვედრებში და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან შეფასებაც შესაფერისი მიიღო: 5 ბალი. საფეხბურთო გერმანია უკვე სერიოზულადაა შეშფოთებული - რა სჭირს შვაინს? ფაქტი ისაა, რომ ბასტიანი სულ უფრო და უფრო დიდი სისწრაფით მიექანება ქვესკნელისკენ და ამ მარშირებულ სვლას ბოლო არ უჩანს.

შვეიცარიასთან მატჩის დასრულების შემდეგ შვაინშტაიგერს ტელეკომპანია RTL-ის კორესპონდენტმა ჰკითხა, რატომ თამაშობ ასე ცუდადო, რაზეც ფეხბურთელისგან ასეთი პასუხი მიიღო: *"ნუთუ თქვენ მუდმივად კარგ ხასიათზე ხართ და ყოველთვის ახერხებთ, რომ თქვენს საქმეში საუკეთესო იყოთ?"* ბასტიანი მართალია იმ მხრივ, რომ ფეხბურთელი მუდმივად კარგ ფორმაში ვერ იქნება და მით უმეტეს მის ასაკში, კრიზისი მოულოდნელი არ არის. მაგრამ საქმე ისაა, რომ შვაინის ჩავარდნა ძალიან დიდხანს გაუგრძელდა. ახლა ის მხოლოდ გალა-წარმოდგენებზე და სხვადასხვა ტელეშოუებში გამოიყურება კარგად, მოედანზე კი ვეღარაფერს ახერხებს. აქვე "ბაიერნის" მენეჯერის, **ული ჰაინესის** სიტყვებსაც გაგახსენებთ: *"შვაინის ბოლო თვეებში უკანალში ძალიან ბევრი შაქარი შეაყარეს. ყველანაირად ვეცდები, რომ აზრზე მივიყვანო. მოედანზე უბრალოდ ძალიან ცოტას მუშაობს და ეს უკვე აუტანელია."*

მაგრამ ჰაინესმა დასახულ მიზანს ჯერ ვერ მიაღწია - შვაინშტაიგერი შვეიცარიასთანაც უმაქნისი იყო. მიუხედავად ამისა, ჰიტცფელდმა მისი სანაკრებო გამოსვლა მაინც დადებითად შეაფასა. ალბათ იმიტომ, რომ ამდენი კრიტიკის ფონზე მინიმუმ მას მაინც უნდა დაეცვა თავისი შეგირდი. *"ეპიზოდებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა და საერთო ჯამში მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. ბასტიანს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. პრობლემა ის არის, რომ თავდაჯერება აკლია,"* - თქვა ოტმარმა.

მის დაცვას **ფრანც ბეკენბაუერიც** ცდილობს: *"სულაც არ მიკვირს, რომ ასეთ ახალგაზრდა ფეხბურთელს მცირე ხნით კრიზისი დაუდგა. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ისევ ძველ შვაინშტაიგერს ვიხილავთ."* ხვალ "ბაიერნი" "არმინიას" მასპინძლობს. აქედანვე ცხადია, რომ შვაინი ცუდად არ ითამაშებს. ოღონდ იმიტომ, რომ მას ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს - დისკვალიფიცირებულია...

პოლდი ახლა უკვე მხოლოდ რეკლამებშია პრინცი

"შვაინი და პოლდი" - მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეს გერმანიაში ყველაზე პოპულარული ბრენდი იყო. ზემოთ შვაინშტაიგერზე ვისაუბრეთ, მის საუკეთესო მეგობარ **ლუკას პოდოლსკის** კი გაცილებით რთულად აქვს საქმე. თუკი შვაინი "ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის წევრად მაინც ითვლება, პოლდი მიუნხენურ კლუბში სულ სკამზე ზის. სამაგიეროდ, ლუკასი სარეკლამო კლიპებით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ინერციით, რადგან მუნდიალის შემდეგ მას მოედანზე, ფაქტობრივად, აღარაფერი გაუკეთებია.

ამ კვირაში პოდოლსკის თავის სპონსორებთან სამი საქმიანი შეხვედრა ჰქონდა. ორშაბათს ნამცხვრის რეკლამაში გადაიღეს, სამშაბათს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპონსორის, LG-ის რეკლამაში, გუშინ კი "ბაიერნის" კატალოგის ფოტო-რეპორტიორის წინ პოზირებდა. რეკლამების პრინც პოლდის შვეიცარიასთან დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. "ბაიერნში", მეორე წრის სამივე მატჩში სათადარიგო იყო და მოედანზე მხოლოდ მოგვიანებით შედიოდა. ახლა კი გერმანიის ნაკრებშიც სკამზე ჯდომა ემუქრება, რადგან **კევინ კურანი** და **მარიო გომესი** (შვეიცარიას ორივემ გაუტანა) უდიდეს კონკურენციას უნევენ.

თუმცა ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ლუკასს მაინც არ აკნინებს. *"იმედი მაქვს, რომ ჩეხეთთან მატჩამდე (24 მარტს) ფორმას აღიდგენს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მან 7 გოლი გაიტანა და ასეთ ფეხბურთელს სკამზე ვერ დავსვამ. პოდოლსკის ვენდობი, ისევე, როგორც შვაინშტაიგერს. არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რაოდენ დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე,"* - აცხადებს ლიოვი და ცოტა არ იყოს გასაკვირია, დიდი არჩევნის დროს, საშინელ ფორმაში მყოფ ფეხბურთელს მხოლოდ ძველი დამსახურებების გამო რომ ენდობა.

აღსანიშნავია, რომ ლიოვი ერთადერთია, ვინც პოდოლსკის არ ემდურის. მაგალითად, ბუნდესმეკარე **იენს ლემანი** დაახლოებით ასეთ რამეს ამბობს, ლუკასს შემოლაწუნება სჭირდებაო. "ბაიერნის" კარის დარაჯი **ოლივერ კანი** კი აცხადებს: *"თითოეული ფეხბურთელი, რომელიც ჩვენთან გადმოვიდა, უნდა დაფიქრდეს, რატომ მოიწვიეს "ბაიერნში". ზოგისთვის ისიც საკმარისია, რომ კონტრაქტი გააფორმა. ასეთებს მეტი არც არაფერი სჭირდებათ. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მათზე გაცემული ავანსები უნდა გაამართლონ."*-როგორც ხედავთ, კანი მხოლოდ პოდოლკის არ გულისხმობს.

საერთო ჯამში, ლუკასს ოთხი სარეკლამო კონტრაქტი აქვს: "ადიდასთან", "დე ბუკელაერთან" EA-Sports-სა და "ამრო ბანკთან". ეს კი, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, დაგვეთანხმებით, ძალიან ბევრია...

კიდევ კარგი, რომ გომესის მამა გერმანიაში გადასახლდა...

ამასობაში, გერმანელ გულშემატკივრებს ახალი კერპები ჰყავთ - "შტუტგარტის" თავდამსხმელი **მარიო გომესი** და შალკელი **კევინ კურანი**. გომესს ოთხშაბათს ბუნდესგუნდში დებიუტი ჰქონდა, რომელიც 21 წლის ფორვარდმა გოლითა და შესანიშნავი თამაშით აღნიშნა. მარიო ბუნდესლიგაშიც ძალიან შედეგიანია, 20 ტურში 11 გოლი აქვს გატანილი, რითაც გერმანიის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. ბუნდესგუნდის მაისურით პირველივე შეხვედრაში გატანილი გოლი, წარმოშობით ესპანელი ფეხბურთელისთვის, მიმდინარე სეზონში აქამდე ჩატარებული მატჩების შესანიშნავი გვირგვინი გამოდგა. "ბილდი" წერს, რომ გერმანიას ისევ ჰყავს სუპერმარიო, ოღონდ გომესი და არა **ბასლერი**, რა თქმა უნდა.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, კიდევ კარგი, რომ მარიოს მამა გერმანიაში გადმოსახლდაო. გომესის მამა ესპანეთში დაიბადა და 14 წლის იყო, როცა ბედის საძიებლად გერმანიისკენ აიღო გეზი. მარიოც გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა, ამიტომაც გადაწყვიტა ბუნდესგუნდში თამაში. ალემანი მიმომხილველები წერენ, რომ მათ ქვეყანას ძალიან გაუმართლა. გომესის შესახებ იმას დავამატებთ, რომ მისი საყვარელი ფეხბურთელი და კერპი ბრაზილიელი "ბომბდამშენი" **რომარიოა**.

რაც შეეხება კურანის. მასაც ერთგვარი დებიუტი ჰქონდა, ოღონდ ლიოვის ფორმაციის ნაკრებში. როგორც იცით, კურანი ბუნდესგუნდიდან მსოფლიოს ჩემპიონატის წინ **იურგენ კლინსმანმა** ამოაგდო და სავსებით სამართლიანადაც, რადგან მაშინ "შალკეს" ფორვარდი ძალიან ცუდ ფორმაში იყო. ახლა კი საქმე სულ სხვანაირადაა - კევინი ბოლო დროს შესანიშნავად გამოიყურება. შვეიცარიასთან მოედანზე 83 წუთი დაჰყო და ამ ხნის მანძილზე ყველაფერი გააკეთა, რომ მინდორი უგოლოდ არ დაეტოვებინა. *"გასავათებული ვარ, მაგრამ უზომოდ ბედნიერი, რომ გერმანიის ნაკრებში ისევ ვითამაშე და გოლიც გავიტანე,"* - თქვა კურანიმ საფინალო სასტვენის შემდეგ. *"ისევე, როგორც გომესმა, კევინმაც გამოიყენა თავისი შანსი, რის გამოც მოხარული ვარ,"* - ეს კი ლიოვის სიტყვებია.

ჩეხეთთან მატჩისთვის კურანი, რა თქმა უნდა, აუცილებლად გამოძახებული იქნება. ამბობს, ჩემი უმთავრესი მიზანი ბუნდესგუნდში 22-ნომრიანი მაისურის დაბრუნებააო. ეს ნომერი ახლა **დავიდ ოდონკორს** ეკუთვნის. სწორედ ეს ფეხბურთელი ამჯობინა კლინსმან კურანის ზაფხულში. კევინმა შვეიცარიასთან 31-ნომრიანი მაისურით იასპარეზა...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტურის წინ

მიდლსბრო საჩემპიონო მარათონში ერთვება

ჩელსი იომებს, მენიუს გასეირნება ელოდება...

დღეს

რედინგი-ასტონ ვილა
ჩელსი-მიდლსბრო
ევერტონი-ბლეკბერნი
მანჩესტერ იუნ.-ჩარლტონი
ნიუკასლი-ლივერპული
შეფილ იუნ.-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-უოტფორდი
პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი

ხვალ

ბოლტონი-ფულჰემი
არსენალი-ვიგანი

"მიდლსბროს" საჩემპიონო მარათონში ჩართვის საშუალება ეძლევა - ირიბად, რასაკვირველია. **გარეთ საუთგეიტის** შეგირდები "მენიუს" დიდ სამსახურს გაუწევენ, თუ "ჩელსი" მათთან ქულებს დაკარგავს. ერთი კვირის წინ "ბორომ" "არსენალთან" ღირსეულად ითამაშა - 1:1. "არისტოკრატებს" კი "ჩარლტონთან" გაუჭირდათ - 1:0. ლიდერებს შორის სხვაობა არ შეცვლილა - ექვსი ქულა. "მიდლსბროს" დეკემბრის შემდეგ არ ნაუგია. მისი დაცვის ცენტრში საუცხოოდ თამაშობს **ჯონათან ვუდგეიტი**, რომელმაც "ჩელსის" ყურადღებაც მიიპყრო.

"არისტოკრატებს" უკანა ხაზში პრობლემები აქვთ. **ჯონ ტერი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ნაკრებიდან დაშავებული დაბრუნდა **უეინ ბრიჯი**. **ეშლი კოულსაც** ტრავმა აქვს. **ჟოზე მოურინიოს** დაცვის მარცხენა ფლანგზე ექსპერიმენტის ჩატარება მოუწევს. მუხლი მოიშუშა **ხალიდ ბულარუზმა**, მაგრამ მისი თამაში საეჭვოა. შეიძლება, **არიენ რობენი** დაბრუნდეს. ვერ ითამაშებს **მიხაელ ბალაკი**, რომელმაც გერმანია-შვეიცარიის მატჩისას ტრავმა მიიღო. რადგან ნაკრებები ვახსენეთ, გეტყვით, რომ **დიდიე დროგბამ** ეროვნულ გუნდშიც გამოიჩინა თავი. ოთხშაბათს კოტ დივუარმა გვინეას მისი გოლით მოუგო.

რა ხდება "მიდლსბროში"? დაშავებულია წამყვანი თავდამსხმელი **მარკ ვიდუკა**. ვერ ითამაშებს ახალგაზრდა ნახევარმცველი **ლი კატერმოული**. ძირითადში ბრუნდება ავსტრალიელი მეკარე **მარკ შვარცერი**. განაცხადში პირველად მოხვდება კორეელი ახალწვეული **დონ გუკ ლი**...

საბრალო "ჩარლტონი"... "ჩელსის" შემდეგ **ალან პერდიუს** შეგირდები "მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდებიან. მწყობრშია **უეინ რუნი**. ის ინგლისს ესპანეთთან ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. პორტუგალია-ბრაზილიის მატჩში (2:0) უმნიშვნელოდ დაშავდა **კრისტიანო რონალდო**. გასულ უქმეებზე **ედვინ ვარ დერ სარმა** ცხვირი გაიტეხა. "ტოტენჰემთან" მატჩის მიწურულს "იუნაიტედის" კარში **ჯონ ოში** ჩააყენეს (**სერ ალექსს** სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდა). დღეს ოში თადარიგში იქნება. კარს კი პოლონელი **ტომაშ კუშჩაკი** დაიცავს. ვერ ითამაშებს **მაიკლ ქერიკი**.

"ჩარლტონი" მანჩესტერში ორ დებიუტანტს ჩაიყვანს - **ალექსანდრ სონგსა** და **მაჯიდ ბუგერას**. პერდიუ წამყვან თავდამსხმელ **დარენ ბენტს** თადარიგში დატოვებს. მან ტრავმა ახლახან მოიშუშა. ვერ ითამაშებს ძირითადის ოთხი ფეხბურთელი - **იანგი, ჰრეიდარსონი, რიდი** და **ელ ქარქური**. "მენიუმ" მორიგი სამი ქულის მოპოვება უპრობლემოდ უნდა შეძლოს...

დღეს "ლივერპულის" ამერიკელი ბოსების, **ჯორჯ ჯილეტისა** და **ტომ ჰიკსის** დებიუტი შედგება. მერსისაიდელები "ნიუკასლს" სტუმრობენ. მწყობრშია **სტივ ჯერარდი**, რომელმაც **ჯონ ტერის** არყოფნაში ინგლისის ნაკრებს უკაპიტნა. ესპანეთთან მატჩში მან მცირე ტრავმა მიიღო და მხოლოდ 45 წუთი ათამაშეს. **ჩაბი ალონსო** დისკვალიფიცირებულია. **რაფა ბენიტესი მომო სისოკოს** დაბრუნებას ელოდება. ასეთ შემთხვევაში, ესპანელის ადგილს ის დაიკავებს.

მასპინძელთა შემადგენლობაში ბრუნდება **სელესტინ ბაბაიარო**. მან ტრავმის გამო 11 შეხვედრა გამოტოვა. **გლენ როუდერს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. იძულებით შვებულებაში არიან - **სტივ კარი, ემრე, შეი გივენი, პიტერ რემიჯი, შოლა ამეობი, კრეიგ მური, შარლ ნზოგბია** და, რა თქმა უნდა, **მაიკლ ოუენი**. კარის ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფლანგზე პერუელ **ნოლბერტო სოლანოს** ვიხილავთ. მას ამ პოზიციაზე რამდენჯერმე უთამაშია...

"არსენალი" "ლივერპულს" ოთხი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ერთი მატჩი თადარიგში აქვს. "მეთოფეები" იმ "ვიგანს" უმასპინძლებენ, რომელმაც წაგებების რვამატჩიანი სერია გასულ უქმეებზე, "პორტსმუთთან" შეხვედრაში შეწყვიტა. თუ **არსენ ვენგერის** შეგირდები კვლავ დაკარგავენ ქულებს, "ბოლტონი" უმალ წამოეწევა - თუ შინ "ფულჰემს" დაამარცხებს, რასაკვირველია - და ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის ბრძოლა უფრო გამწვავდება.

"ვიგანს" ორი წამყვანი ფეხბურთელი - **ემილ ჰესკი** და **ლეიტონ ბაინესი** გამოუჯანმრთელდა. ძირითადში ვიხილავთ მეკარე **კრის კერკლანდს**, რომელმაც ინგლისის ნაკრებში მხარის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. რაც შეეხება "არსენალს", ბრუნდებიან ნახევარმცველი **აბუ დიაბი** და მცველი **ემანუელ ებუე**. მათ "მიდლსბროსთან" ერთი კვირის წინანდელი შეხვედრა ტრავმების გამო გამოტოვეს...

"ტოტენჰემი" შეფილდში ითამაშებს. გუნდთან ერთად გაემგზავრნენ **ტეემუ ტაინიო, ჯერმეინ ჯენასი** და **აარონ ლენონი**, რომელთა ასპარეზობა საეჭვოა...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩ. იუნ	26	20	3	3	61-18	63
2. ჩელსი	26	17	6	3	45-19	57
3. ლივერპული	26	15	5	6	39-17	50
4. არსენალი	25	13	7	5	46-21	46
5. ბოლტონი	26	13	5	8	30-27	44
6. რიდინგი	26	12	4	10	39-34	40
7. პორტსმუთი	26	10	8	8	34-25	38
8. ევერტონი	25	9	9	7	31-23	36
9. ბლეკბერნი	26	10	4	12	30-37	34
10. ნიუკასლი	26	9	6	11	32-35	33
11. ტოტენჰემი	25	9	6	10	29-36	33
12. მიდლსბრო	26	8	8	10	30-30	32
13. ასტონ ვილა	26	7	11	8	28-31	32
14. ფულჰემი	26	7	11	8	28-39	32
15. მანჩ. სიტი	25	8	6	11	19-30	30
16. შეფილდი	26	7	6	13	22-35	27
17. ვიგანი	25	7	4	14	26-41	25
18. ვესტ ჰემი	26	5	5	16	18-41	20
19. ჩარლტონი	26	5	5	16	20-45	20
20. უოტფორდი	25	2	9	14	14-37	15

მიხაელ ბალაკი ვერ ითამაშებს

უეფა: ახალი აღმასრულებელი ტეილორია

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე **დევიდ ტეილორი** უეფას გენერალურ მდივნად დაინიშნა. მან ამ უმაღლეს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე **ლარს კრისტენ ოლსონი** შეცვალა, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის, **ლენარტ იუჰანსონის** მარჯვენა ხელი იყო. **მიშელ პლატინი** სტრუქტურული ცვლილებების გატარებას გეგმავს. შედეგად, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება რამდენადმე შეიზღუდება. სამაგიეროდ, პრეზიდენტი უფრო მეტ ძალაუფლებას მიიღებს.

ტეილორი პლატინის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. ის ევროპის ჩემპიონატების 16-დან 24 გუნდამდე გაზრდას ემხრობა. შოტლანდიელი ფუნქციონერი განათლებით იურისტია. ის საფეხბურთო ასოციაციის აღმასკომში 1999 წელს დაინიშნა. უეფა მისთვის უცხო ორგანიზაცია არ არის, რადგან წლების განმავლობაში მის საკონტროლო და სადისციპლინო კომიტეტში მოღვაწეობდა. გუშინვე, უეფას ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად გერმანიის საფეხბურთო კავშირის ყოფილი შეფი **გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი** აირჩიეს

არსენალიც ამერიკულ კვალზე?

"ლივერპულის" გაყიდვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბრიტანულ პრესაში გაჩნდა კიდევ ერთი ინფორმაცია ინგლისური კლუბებით ამერიკელი ინვესტორების დაინტერესების შესახებ. ამჯერად საქმე "არსენალს" ეხება. მართალია, მისი შეძენის სურვილი არავის გამოუთქვამს, მაგრამ ამერიკელი მილიარდერი **სტენ კროენკე** "მეთოფეებთან" ინტენსიური თანამშრომლობის დაწყებას გეგმავს. მომავალში, თანამშრომლობა, შეიძლება, აქტივების შეძენაში გადაიზარდოს.

კროენკე MLS-ის კლუბ "კოლორადო რეპიდსის" მფლობელია. ის "არსენალს" ორი კლუბის დაძმობილებას სთავაზობს. "კოლორადოს", შეიძლება, სახელი გადაერქვას და "არსენალ კოლორადო" ან "კოლორადო არსენალი" დაერქვას. კროენკეს იურიდიულმა მრჩეველებმა იჩქარეს და ეს საგაჭრო ნიშანი უკვე დაარეგისტრირეს. ამერიკელები "არსენალის" ფერების გამოყენებასაც გეგმავენ. "რეპიდსის" ფეხბურთელები, შეიძლება, ისეთ ფორმებში გამოეწყონ, როგორი "მეთოფეებს" ჰაიბერიზე გატარებულ ბოლო სეზონში ეცვათ. კოლორადოელებს 2007 წლის სეზონის დაწყებამდე ლონდონში ჩასვლა სურთ. "არსენალს" ანალოგიური პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს ბელგიურ "ბევერენსა" და კოტ დივუარის საფეხბურთო აკადემიებთან.

საბოლოო განაჩენი

ფეიეენოორდი დაისვენებს

ტოტენჰემი უეფას თასის 1/16 ფინალში უბრძოლველად გავიდა...

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ძალაში დატოვა უეფას გადაწყვეტილება, "ფეიეენოორდის" უეფას თასიდან მოკვეთის შესახებ. სასამართლომ არ დაკმაყოფილა როტერდამული კლუბის საჩივარი და არც მისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმა, 100 ათასი ევრო, შეამცირა. ინციდენტი "ფეიეენოორდის" ფანების მონაწილეობით 30 ნოემბერს, "ნანსისთან" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩისას მოხდა (ჰოლანდიელი ფანები მინდორზე გადაცვივდნენ და თამაში ნახევარი საათით შეწყვიტეს). სასამართლოს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ 1/32 ფინალში "ფეიეენოორდი" "ტოტენჰემს" აღარ შეხვდება. პირველი მატჩი ჰოლანდიაში მომავალ ოთხშაბათს უნდა გამართულიყო, საპასუხო ერთი კვირის შემდეგ, ლონდონში. "მამლები" 1/16 ფინალში უბრძოლველად გავლენ. იქ კი "ბრაგასა" და "პარმას" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

სასამართლოს გადაწყვეტილებას მიესალმა უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**: *"ეს არის შეტყობინება, რომ ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას უმკაცრესი რეაქცია მოჰყვება შესაბამისი ორგანოებისაგან. ბოლოდროინდელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია, ყველა ერთად ვებრძოლოთ ძალადობასა და ხულიგნობას, რომელსაც ჩვენს თამაშთან არაფერი აქვს საერთო."*

"ფეიეენოორდის" ფინანსურმა დირექტორმა **ონო იაკობსმა** განაცხადა, რომ მისი კლუბი უსიტყვოდ ემორჩილება განაჩენს: *"ფეხბურთელები და ნამდვილი ფანები იმათ გამო დაისაჯნენ, ვისაც "ფეიეენოორდზე" ოდნავადაც არ შესტკივა გული. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კლუბის ადმინისტრაციას ძალადობის თავიდან აცილება არ შეეძლო, რადგან მათ, ვინც ამაზრზენად მოიქცა, ბილეთები ჩვენგან არ შეუძენიათ."*

მომხდართან დაკავშირებით "ტოტენჰემს" კომენტარი არ გაუკეთებია. ლონდონელებმა ფანებს შეატყობინეს, რომ მათ, ვისაც "ფეიეენოორდთან" მატჩის ბილეთები უკვე ნაყიდი ჰქონდათ, მომდევნო რაუნდის საშინაო მატჩზე მისვლა შეუძლიათ. "ბრაგა" ან "პარმა" "უაით ჰართ ლეინს" 15 მარტს ესტუმრებიან.

ტრანსფერი

რიკელმე ისევ ბოკაში

ორი მილიონი კლაუსურაში დახმარების სანაცვლოდ

"ვილიარეალმა" **ხუან რომან რიკელმე** "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრა. ფლეიმეიქერი ბაირესში სეზონის ბოლომდე დარჩება. ის გუნდს კლაუსურასა და ლიბერტადორესის თასზე დაეხმარება და სანაცვლოდ 2 მილიონ დოლარს მიიღებს. სხვათა შორის, არგენტინის ჩემპიონატი ამ უქმეებზე უნდა განახლდეს. "ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტი **მაურისიო მაკრი** კმაყოფილებას ვერ მალავს. ის ამბობს, რომ უკეთესი ფეხბურთელის შეძენა უბრალოდ შეუძლებელი იყო. რიკელმეს უმთავრესი პრობლემა უთამაშებლობაა. მას ფორმაში ჩასადგომად გარკვეული ხანი დასჭირდება. ხუან რომანი მინდორზე 17 დეკემბრის შემდეგ არ გასულა. ჩილელმა მწვრთნელმა **მანუელ პელეგრინიმ** მის ადგილზე თანამემამულე ნახევარმცველი **მატიას ფერნანდესი** დააყენა.

რიკელმე "ბოკაში" 1996-2002 წლებში თამაშობდა და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ ქვეყნის ჩემპიონატი და ორჯერ ლიბერტადორესის თასი მოიგო. 2002 წელს, 11 მილიონ დოლარად ის "ბარსელონაში" გაიყიდა, მაგრამ კატალონიაში საუკეთესო თვისებების გამოვლენა ვეღარ შეძლო. მომდევნო სეზონში, როცა "ბარსამ" **რონალდინიო** შეიძინა, ის "ვილიარეალში" გაანათხოვრეს. 28 წლის ფლეიმეიქერმა სანაკრებო კარიერა (ეროვნულ გუნდში 37-ჯერ ითამაშა) შარშან დასრულა. რიკელმემ მიზეზად ის დაასახელა, რომ მუნდიალისას მისმა გაუთავებელმა ლანძღვამ დედამისს ჯანმრთელობა შეურყია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

სავიოლას ქალბატონი მოსწონს

ფორვარდი ბარსელონის დატოვებას აპირებს. ბაჭია იუვენტუსელი გახდებაო...

სეზონის ბოლოს **ხავიერ სავიოლა** „ბარსელონისთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა ენურება და სავარაუდოდ, ხელშეკრულების გაგრძელებას აღარ ისურვებს. ეს დიდად გასაკვირი არც უნდა იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ 26 წლის ფორვარდს მუდამ სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა და „ბლაუგრანას" ძირითადი შემადგენლობისკენ გზა პრაქტიკულად მოჭრილი აქვს. „გაძეტა დელო სპორტის" თანახმად, მისი მეგობარი **ანდრეს დ'ალესანდრო** და არგენტინის ნაკრების სხვა თანაგუნდელები თურმე პირდაპირ აცხადებენ, რომ მომავალი სეზონიდან სავიოლა „იუვენტუსის" მაისურს მოირგებს. „ბაჭია" ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს. ამბობს, ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერიაო, მაგრამ ალბათობა, რომ ივნისში პრიმერა დივიზიონი დატოვოს, ძალიან დიდია. *„ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: „ბარსელონას" არასდროს ვუღალატებ, ვერასრდოს გადავალ „რეალში", თუ წასვლა გადავწყვიტე, მაშინ ჩემი ახალი გუნდი სხვა ქვეყნიდან იქნება"* - განუცხადა სავიოლამ არგენტინულ „ლა ნასიონს" – *„ბარსელონა" ჩემი პირველი არჩევანია, მაგრამ სხვა ვარიანტებიც მაქვს, მათ შორის იტალიიდან: ახლა ველოდები, რა წინადადებას შემომთავაზებს კლუბი და ამის შემდეგ გადავწყვეტ, მივიღო თუ არა. თუ შემოთავაზება არ მომეწონა, სხვაგან წავალ".* „ბარსელონა" ფორვარდს ახალ კონტრაქტს და წლიურ 2 მილიონ ევროს სთავაზობს (იმის ნახევარს, რასაც ახლა უხდის), მაგრამ არგენტინელი მზადაა, ანალოგიური პირობებზე სხვა გუნდი აირჩიოს, ოღონდ კი რეგულარულად თამაშის გარანტიას ჰქონდეს. **რონალდინიოს, ეტოოსა** და **მესის** ფონზე, ასეთ გარანტიას **რიკარდი** ძნელად თუ მისცემს, განსხვავებით **დიდიე დეშამისგან**, რომელიც სავიოლას „მონაკოში" წვრთნიდა (2004/05 სეზონში, 38 შეხვედრა, 16 გოლი) და მას შეუცვლელ ფორვარდად მიიჩნევს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, „იუვენტუსმა" არგენტინელს უკვე გააცნო თავისი პირობები: ხუთწლიანი კონტრაქტი, სეზონში 2,5 მილიონი ევროს ანაზღაურებით და პრემიები ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის შემთხვევაში. „იუვენტუსში" სავიოლას არ განიხილავენ, როგორც **ტრეზეგეს** (რომელიც წასვლაზე ფიქრობს) ალტერნატივას, რადგან ამ ფორვარდს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სტილი აქვს. არგენტინელმა ცოტა ხნის წინ კავშირი გაწყვიტა აგენტ **კაბრერა ბრისუელასთან** და საკუთარი შეხედულების მიხედვით გადაწყვეტს, სად და როგორ გაგრძელებს კარიერას. *„მინდა გუნდში მყავდეს ისეთი ეკლექტური თავდამსხმელები, როგორიც სავიოლაა"* – ასეთი რამ თქვა ცოტა ხნის წინ დიდიე დეშამმა. ბოლო დროს "ბაჭია" დიდებულ ფორმაშია. ამაზე ციფრებიც მეტყველებს: 40 დღეში 9 შეხვედრა ითამაშა ძირითადში და 6 გოლი გაიტანა – 3 ჩემპიონატში, 3 სამეფო თასზე და ერთიც ბოლოს საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში.

პარალელურად „იუვენტუსი" ტრეზეგეს შემცვლელის პოვნაზეც მუშაობს. იტალიური პრესა წერს, რომ ფრანგი ცენტრფორვარდის დღითიდღე სულ უფრო უხალისო და ცხვრიჩამოშვებული ხვდება. ასეთი იყო ის ბოლო სანაკრებო შეხვედრის შემდეგაც, სადაც გულშემატკივრებმა უსტვინეს და მწვრთნელმა მეორე ტაიმში შეცვალა. ტურინელი დირექტორების სიაში პირველ ადგილზე „ვერდერის" 28 წლის მეგოლე **მიროსლავ კლოზეა**. გერმანელის ალტერნატივად „აიაქსის" 23 წლის თავდამსხმელი **იან კლაასა ჰუნტელაარი** განიხილება. კლოზეს სატრანსფერო ფასი დაახლებით 20 მილიონი ევროა, ჰუნტელაარის სანაცვლოდ კი ამსტერდამელები 25 მილიონს ითხოვენ.

გოგა ახალაძე

ხავიერ სავიოლა

ხოსე ერნესტო სოსა

ბაიერნი

მიუნხენი ესტუდიანტესის ფლეიმეიქერს ელოდება

ჰიტცფელდი რეკორდმაისტერში დარჩენას არ გამორიცხავს...

როგორც იცით, "ბაიერნი" ფლეიმეიქერს ეძებს. **სებასტიან დაისლერმა** კარიერა დაასრულა, **მეჰმეთ შოლი** უკვე ძალიან ბებერია და ფეხბურთიდან მიდის, **ბასტიან შვაინშტაიგერმა** კი გამთამაშებლის პოზიციაზე ვერ გაამართლა. რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** დაადასტურა ჩვენი გერმანელი კოლეგების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბავარიელებს არგენტინის აპერტურის ჩემპიონ "ესტუდიანტესის" ფლეიმეიქერის, **ხოსე ერნესტო სოსას** შეძენა უნდათ. ეს უკანასკნელი 21 წლისაა და გარკვეულია ისიც, რომ მიუხხენური კლუბის ბოსებმა "ესტუდიანტესის" შეფებს მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს. "ბილდი" იტყობინება, რომ ბავარიელებს სოსას შეძენა იანვარშიც სურდათ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელის გაყიდვა არგენტინული კლუბის ხელმძღვანელობამ არ მოისურვა - ლიბერტადორესის თასის მოგება გვინდა და ჯერ ვერავის გავუშვებთო.

იმედია, "ბაიერნის" ბოსები ახლა მაინც შეასრულებენ სიტყვას და სასურველ ფეხბურთელს გადაიბირებენ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რეკორდმაისტერს **რუუდ ვან ნისტელროის** შეძენა უნდოდა და მაშინ ჰიონესმა ტრანსფერი ფაქტობრივად გაჩარხულად გამოაცხადა, მაგრამ ჰოლანდიელი თავდამსხმელი საბოლოოდ "რეალში" გადავიდა. "ბაიერნის" სასურველ ფეხბურთელთა სიას სათავეში ედგა **ფრანკ რიბერიც**, მაგრამ ცოტა ხნის წინ ჰიონესმა თქვა, რომ რიბერის მიუხხენში გადასვლის შანსი უკვე ნულის ტოლიაო. მიუხხენელები **აგუეროსა** და **იგუაინსაც** ეპატიჟებოდნენ, მაგრამ დღეს პირველი მადრიდის "ატლეტიკოს" ღირსებას იცავს, მეორე კი "რეალშია". საუბარი იყო "შალკეს" ნახევარმცველ **ლინკოლნზეც**, მაგრამ "ბაიერნს" 8 მილიონი ეძვირა, **ხუან რომან რიკელმე** კი "ვილიარეალმა" "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრა. თუ ჰიონესი სოსას ტრანსფერს დროზე არ მიხედავს, ამ ფეხბურთელსაც დაკარგავს.

■ ■ ■

ამასობაში **ოტმარ ჰიტცფელდმა** განაცხადა, რომ მის სიტყვები, მიუნხენში მხოლოდ ზაფხულამდე დავრჩებიო, მხოლოდ ამ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებაა. "ზუდდოიჩე ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში "გენერალი" ამბობს, რომ გამორიცხული არაა, სეზონის ბოლომდე გადაწყვეტილება შეცვალოს და "ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

კანავარო ისევ იუვეზე ფიქრობს

ფაბიო კანავარო აღიარებს, რომ „იუვენტუსში" დაბრუნების იდეა იზიდავს. „იუვენტუსის" სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, იტალიელი მცველი **ემერსონთან** ერთად მადრიდის „რეალში" გადავიდა, მაგრამ როგორც ირკვევა, ტურინი ისევ მის გულში დარჩა. *„სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად მაგიდას მივუსხდებით და სიტუაციას მშვიდად განვიხილავთ* – უთხრა „ოქროს ბურთის" პრიზიორმა ტურინულ „ტუტოსპორტს" – *მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტ, სად გავაგრძელებ კარიერას".* „ტუტოსპორტი" იმასაც წერს, რომ კანავაროს გადაწყვეტილება შეიძლება, დიდწილად იყოს დამოკიდებული **ფაბიო კაპელოს** მადრიდულ მომავალზე. თუ სეზონის ბოლოს მწვრთნელმა მადრიდული გრანდი დატოვა (ან დაატოვებინეს), მაშინ დიდი იქნება ალბათობა, რომ „სკუადრა აძურის" კაპიტანი მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნდეს. სამეფო კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის ვადა კანავაროს 2009 წელს გასდის, მაგრამ იტალია ენატრება და ამასთან, უნდა, რომ სიტუაცია გაარკვიოს „იუვენტუსის" ტიფოზერიასთან, რომელმაც მადრიდში წასვლისთვის მოღალატე უწოდა. „ტუტოსპორტის" თანახმად, ფაბიოს მეგობრისთვის უთქვამს: *„ვგრძნობ, რომ ტიფოზებთან სიტუაციაში გარკვევა მჭირდება. ტურინში ორი დაუვიწყარი სეზონი გავატარე და მათი კერპი გავხდი. ტურინელ ტიფოზებს არასდროს დავიწყებ, სხვა დანარჩენი კი უბრალო გაუგებრობაა და ერთი გასაუბრებით მოგვარდება."*

34 წლის მცველს თავის მხრივ „ბებერი ქალბატონიც" დღემდე დიდად აფასებს და მიიჩნევს, რომ მისი გამოცდილება ახალგაზრდა ფეხბურთელებს ძალიან წაადგებოდათ. თუმცა „იუვეში" დასაბრუნებლად კანავაროს ხელფასის დაკლება მოუნევს. ამჟამად „რეალის" მას წელიწადში 5 მილიონ ევროს უხდის. „ბიანკონერის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ხუთშაბათს მადრიდში იმყოფებოდა, თუმცა უცნობია, ჰქონდა თუ არა რაიმე მოლაპარაკება „აძურის" კაპიტნის თაობაზე. კანავაროს ამ აღიარებას წინ უსწრებდა ემერსონის განცხადება, რომ „იუვენტუსში" დაბრუნებას ისურვებდა.

ვალენსიური ამბები

რობერტო ფაბიან აიალა "ვილიარეალში" გადადის. 33 წლის მცველს "ვალენსიასთან" კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდება და "სუბმარინებს" უკომპენსაციოდ მიაშურებს. მხარეებმა შეთანხმებაზე უკვე მოაწერეს ხელი. აიალა "ვილიარეალში" 2010 წლამდე დარჩება და კარიერასაც, სავარაუდოდ, იქ დაასრულებს. რობერტო ფაბიანი "მესტალიაზე" მეშვიდე სეზონს ატარებს. მას თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ ფინანსურმა პირობებმა არ დააკმაყოფილა. ვალენსიელთა სპორტული დირექტორი **ამადეო კარბონი** 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს წლიურად მაქსიმუმ 1 მილიონ ევროს უხდის.

აქვე გეტყვით, რომ საგაისოდ, "ვალენსია" "აიაქსის" ორი თავდამსხმელიდან ერთის შეძენას გეგმავს. კარბონი და მისი რაზმი თვალს ადევნებენ **კლაასა იან ჰუნტელაარისა** და **რაიან ბაბელის** პროგრესს. **დავიდ ვილიასა** და **ფერნანდო მორიენტესის** შემდეგ, "ღამურებს" კიდევ ერთი მაღალი კლასის ფორვარდი სჭირდებათ. თუ ვალენსიელები ჩემპიონთა ლიგაში გავლენ, ტრანსფერი გარდაუვალი იქნება. მთავარი მწვრთნელი **კიკე სანჩეს ფლორესი** უპირატესობას ჰუნტელაარს ანიჭებს. ამ ბიჭმა ჰოლანდიის ნაკრებიდან თვით **რუუდ ვან ნისტელროი** ამოაგდო.

ესკერო წასვლას აპირებს

სანტი ესკერო "ბარსელონიდან" აბარგებაზე ფიქრობს. გარემარბი უკმაყოფილოა, რომ არ ათამაშებენ და გამუდმებით თადარიგში უწევს ყოფნა: *"მთელი კარიერა ისეთ კლუბებში მაქვს გატარებული, რომლებიც ჩემს შესაძლებლობებს სათანადოდ აფასებდნენ. დღევანდელ ვითარებასთან შეგუება ძალიან მიჭირს. "ბარსელონასთან" კონტრაქტის გაფორმებას არასოდეს ვინანებ, მაგრამ ჩემს ასაკში (30) თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. სეზონის დარჩენილ მატჩებში "ბარსელონისთვის" თავს არ დავზოგავ, შემდეგ კი სხვა გუნდების შეთავაზებებს მოვისმენ."*

კოლოჩინი სან ლორენსოში?

"სან ლორენსო" "დეპორტივოს" გარიგება შესთავაზა. არგენტინელებს მათი თანამემამულე მცველის, **ფაბრიციო კოლოჩინის** დამატება სურთ. კოლოჩინის მამამ, რომელიც ამავე დროს ფეხბურთელის საქმეებსაც უძღვება, ბუენოს აირესის რადიოს ეთერში განაცხადა, რომ განიხილება ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტის დეტალები. სამხრეთ ამერიკაში სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ დახურულა. ამიტომ ლაკორუნიელებთან კონტრაქტის გაფორმება უპრობლემოდ შეიძლება.

მოსაზრება

ინგლისმა ვერ მოიგო? ვენგერის ბრალია...

არსენალის მწვრთნელი თვლის, რომ სანაკრებო ფეხბურთი მოსაწყენია

უკვე მერამდენედ, **არსენ ვენგერმა** სანაკრებო ფეხბურთის წინააღმდეგ გაილაშქრა. თუ ეროვნულ სიამაყეს გვერდით გადავდებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ნაკრებში თამაში უინტერესოაო, უთხრა "არსენალის" მწვრთნელმა ინგლისელ რეპორტიორებს.

"დიახ, სხვებისგან განსხვავებით, მე არ მეშინია იმის თქმის, რომ სანაკრებო ფეხბურთი ძალიან მოსაწყენი გახდა. ჩემი აზრით, აქ ორი მიზეზია. საკლუბო ფეხბურთი ყოველწლიურად წინ მიდის და ვითარდება, სანაკრებო კი პირიქით, რეგრესს განიცდის" - ასკვნის მოსიე არსენი.

მისი კომენტარი პასუხია "მიდლსბროს" თავმჯდომარე **სტივ გიბსონის** მიერ ამასწინათ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ ეროვნული ჩემპიონატების სტრუქტურა შესაცვლელია, და რომ "არსენალისა" და "ლივერპულის" მსგავს გუნდებს ინგლისის ნაკრებისთვის სარგებელი ვერ მოაქვთ.

ვენგერი კი ასე ფიქრობს: *"საკლუბო ფეხბურთი უფრო სასიამოვნო და საინტერესო საყურებელია, ვიდრე ეროვნულ ნაკრებთა მატჩები. ეს ასეა ინგლისშიც, საფრანგეთშიც, არგენტინაშიც და ბრაზილიაშიც. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ინგლისის ნაკრები ფარერებს ეთამაშება. გულახდილად ვთქვათ, რომ მიუხედავად საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარულისა, ეს თამაში არავის დაინტერესებს. და ეს არანაირად არ ადგება ინგლისის ნაკრებს".*

"არსენალი" კვირას "ვიგანს" შეხვდება და კვლავაც სავსე იქნება უცხოელებით. ვენგერი თავის "საგარეო" პოლიტიკაში უცნაურს და მიუღებელს ვერაფერს ხედავს: *"როცა ფეხბურთელს ვყიდულობ, ბის ეროვნულობას არ ვუყურებ. მთავარი, მოთამაშის კლასია. მაგალითად, მე თქვენ გთავაზობთ, გასინჯოთ ღვინო. თქვენ ჯერ აგემოვნებთ მას, და მხოლოდ ამის შემდეგ კითხულობთ, თუ სადაურია ეს ღვინო. ასე არ არის? ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველაფერი ხარისხზეა დამოკიდებული. მაგრამ ისე ხდება, რომ თუ ინგლისის ნაკრები ვერ იგებს, რატომღაც ეს მე მბრალდება".*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ჰანდბური

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური

გეგმური მოგება

9 თებერვალი, რუსთავი

აზოტი–დინამო 81:58

ეროვნული პირველობის მე-12 ტური გაიხსნა რუსთავში, სადაც ადგილობრივმა "აზოტმა" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა და დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. მატჩზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად რუსთაველთა გამთამაშებელ **ლაშა გამყრელიძეს** მოვუსმინოთ:

- თბილისის "დინამოსთან" დღევანდელი მატჩიც წინა ორის მსგავსი გამოდგა - დამაჯერებელი ანგარიშით გავიმარჯვეთ. სტუმრებმა პირველ მეოთხედში სერიოზული წინააღმდეგობა გაგვინიეს, მაგრამ მეორე ათწუთეულიდან დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და ეს ანგარიშზეც აისახა - 81:58. როგორც ყოველთვის, "აზოტმა" ახლაც გუნდური თამაში უჩვენა, მაგრამ ინდივიდუალურად მაინც ვახტანგ მინაშვილს გამოვარჩევ, რომელიც მასპინძელთა შორის დაცვაში საუკეთესო იყო.

დღეს ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში მე-12 ტურის კიდევ ორი შეხვედრა გაიმართება. "თბილავიამშენი" "მაკაბის" დაუპირისპირდება, თსუ - სტუ-ს.

ვაჟა სიმონიშვილი

	თ	მ	ნ	ქ
1. აზოტი	12	12	0	24
2. ავიამშენი	11	9	2	20
3. თსუ	11	7	4	18
4. დინამო	12	3	9	15
5. სტუ	11	3	8	14
6. მაკაბი	11	2	9	13

დღეს, ვერის პარკში
14:00 ავიამშენი-მაკაბი
16:00 თსუ-სტუ

დავით უგრეხელიძე

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალის შემდეგ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელეს. №1 უკანახაზელისთვის განკუთვნილი ჯილდო "აზოტის" გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემ მოიგო, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელისა - ასევე რუსთაველმა დავით უგრეხელიძემ. დათომ უკვე აღიარა, ეს ჩემი პირადი პირველი ჯილდოა, რაც საქართველოში მოვიგეო. სხვათა შორის, პირველი ქართული ტიტულიც ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ჩემპიონობაა. მართალია სეზონის დასაწყისში "აზოტმა" დუდუ დადიანის თასი მოიგო, მაგრამ მაშინ უგრეხელიძე კლუბში არ ირიცხებოდა - უცხოეთში წასვლაზე ფიქრობდა.

საინტერესოა, როგორ უყურებს ჩვენს ჩემპიონატს სლოვენიაში გამონვრთნილი ქართველი ცენტრი.

- საუბარი პირველი ქართული ტიტულით დავიწყოთ.

- პატარაობაში ტურნირებს ხშირად ვიგებდი, თუმცა რაც პროფესიონალებში გადმოვედი, ქორქია-საკანდელიძის თასი პირველი ქართული ჯილდოა. ამ ტურნირზე "აზოტის" წარმატებამ გამახარა, ხოლო საუკეთესო ფორვარდად დასახელებამ სტიმული შემმატა.

- თვლი, რომ საქართველოში დაბრუნება სწორი ნაბიჯი იყო?

- შეცდომა ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ტყემალზე არ ვიჯექი - თსუ-ში შარშანაც ვთამაშობდი და ჩვენი ჩემპიონატის შესახებ ნათელი წარმოდგენა მქონდა. ახლა ვაცნობიერებ, რომ საქართველოში დარჩენა აუცილებელიც იყო, რადგან სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა. წინა სეზონში "პივოვარნაში" ცოტას ვთამაშობდი, "აზოტში" კი საკმარისი დრო მეძლევა და გუნდის ერთ-ერთ საყრდენს წარმოვადგენ. ყოველივე ამის წყალობით პირადი სტატისტიკა გავაუმჯობესე.

ინტერვიუ
დავით უგრეხელიძესთან

შედარება შეუძლებელია, მივბაძოთ სლოვენიას

- "პივოვარნაში" სათადარიგო ცენტრი იყავი. "სლოვანში" თუ გაკისრებდნენ ლიდერის ფუნქციებს?

- სლოვენიაში ჩასულმა პირველი წელი ადაპტაციას მოვანდომე, მეორეში კი სრულად გავიხსენი. ქვეყნის ჩემპიონატსა და კორაჩის თასზე "სლოვანის" იმდროინდელ სტატისტიკას თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ გუნდში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ვიყავი. მას შემდეგ 4-5 წელი გავიდა და კრკა-სა და "პივოვარნაში" სათადარიგო მოთამაშის სტატუსით მიხდებოდა დაკმაყოფილება.

- მინდა, სლოვენიისა და საქართველოს ჩემპიონატების შედარება გთხოვო.

- შედარება შეუძლებელია. რა დონისაა სლოვენიური პირველობა, ამის ინდიკატორად კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლა გამოდგება - "ოლიმპია" ევროლიგასა და ადრიატიკის თასზე ერთდროულად თამაშობს, ხოლო კიდევ ორი სლოვენიური კლუბი - ადრიატიკაზე. მათ ცუდი შედეგები ნამდვილად არ აქვთ, ევროგრანდებს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ. ქართული გუნდების სიძლიერე როგორ უნდა შეფასდეს, როცა არ თამაშობს ევროტურნირებზე? შიდა ჩემპიონატში მხოლოდ 6 გუნდი გვყავს, მათგან სამი მეორე სამეულს ერთი თავით სჯობს. ასე რომ, გვრჩება მხოლოდ სამი სერიოზული გუნდი, მაშინ, როცა ამდენივე სლოვენიური კლუბი ევროტურნირებზე ასპარეზობს...

- "აზოტი" თუ აპირებს გაისად ევროთასებზე გასვლას?

- ჯერ ვერაფერს ვიტყვი. წინ საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი და ფინალებია...

- ფინალის გახსენებაზე. თასზე "ავიამშენთან" მარცხს რას დააბრალებ?

- ესეც რთული კითხვაა. ნაგების მიზეზებზე ბევრი მაქვს ნაფიქრი, მაგრამ კონკრეტული მიზეზის დასახელება მიჭირს. ფაქტი ერთია - ცუდად ვითამაშეთ და დავმარცხდით.

- როგორ ფიქრობ, "აზოტს" ჩემპიონობის მოპოვება გაუჭირდება?

- ჩემპიონობა კარგია, მაგრამ მანამდე 3 თვეა. მიზნებსა და შედეგებზე წინასწარ საუბარი არ მიყვარს. თუ სათანადოდ მოვინდომებთ და შრომასაც არ დავაკლებთ...

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

მარკოიშვილის სამი ასპროცენტიანი

"ოლიმპიის" ახალმა პრეზიდენტმა ორ დღეში გუნდის "ბორბალი" წაღმა შემოატრიალა: ოთხ სლოვენიურ კლუბს ვალი სასწრაფოდ დაუბრუნა და კალათბურთის ფედერაციისგან თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მიიღო. ახალი მესაჭე ამით არ შემოფარგლულა - "ოლიმპიაში" დააბრუნა და **მიჰა ზიუპანი**, რომელიც ამ კლუბში **ვლადიმერ ბოისას** მხარდამხარ თამაშობდა. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვერ შევიტყვეთ, მიიღო თუ არა ყველა კალათბურთელმა, მათ შორის მარკოიშვილმა, სამი თვის აუღებელი ჯამაგირი.

ასეა თუ ისე, "ოლიმპიამ" ლიუბლიანაში მიმდინარე სლოვენიის თასის გათამაშების საწყისი ეტაპი წარმატებით დაძლია - მეოთხედფინალში "ნოვა გორიცას" 93:78 აჯობა. მანუს თანაგუნდელები სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდნენ - გადამწყვეტი მეოთხედის წინ "ნოვა გორიცა" მეტოქეს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ გადამწყვეტ რაუნდში "ოლიმპიამ" მეტოქე იოლად დაამარცხა (33:22).

მიუხედავად იმისა, რომ **მანუჩარ მარკოიშვილი** 20 ქულას ვერ მიუახლოვდა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ "ნოვა გორიცასთან" ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სამი სამქულიანიდან მიზანისთვის ერთიც არ აუცილებია, 13 ქულას 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. ოლიმპიელთა სნაიპერი **გორან იურაკი** გახდა - 22 ქულა. ნახევარფინალში მარკოიშვილს "ალპოს" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. თავის მხრივ, ალპოელებმა მეოთხედფინალიდან "ელექტრა" გამოთიშეს - 92:82. სლოვენიის თასის ნახევარფინალები დღეს გამართება, ფინალი - კვირას.

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო. პარიზის სუპერტურნირის წინ

შერჩევა გრძელდება, ამჯერად პარიზში

დღეს, პარიზში, იწყება სეზონის პირველი მსოფლიო სუპერთასის ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: ნესტორ ხერგიანი და **დავით ასუმბანი** (60), **მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ლომერ ყორყოლიანი** და **გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (მძიმე). **დღეს 60, 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ იასპარეზებენ.**

ერთ-ერთი დილემა 100 კილოშია: ყიზილაშვილი თუ ყორყოლიანი?

პარიზში **ირაკლი ცირეკიძეც** მიემგზავრება, მაგრამ ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელის** გადაწყვეტილებით, იგი ტურნირზე არ იჭიდავებს და მხოლოდ ერთობლივ შეკრებაზე ივარჯიშებს. ცირეკიძემ უკვე გაინაღდა ადგილი 7-8 აპრილს ბელგრადში, ევროპის პირველობაზე წამსვლელ ნაკრებში.

შესაძლოა, პარიზში ცირეკიძის ბედი კედელაშვილმაც გაიზიაროს ანუ არ იჭიდაოს და მხოლოდ ერთობლივ ვარჯიშებში გამოვიდეს - ზაზას მუცლის კუნთი აწუხებს და თუ ტკივილი ვერ გაუყუჩეს, დაასვენებენ. მისი საკითხი დღეს, უშუალოდ შეხვედრების დაწყებამდე გადაწყდება, მაგრამ თუ იჭიდავა, მხოლოდ ზედა წონაში - 73-ში.

ხაბარელი თავიდან ნესტორ ხერგიანზეც ეჭვობდა და არ გამორიცხავდა, ისიც მხოლოდ ერთობლივი წვრთნებისთვის წაეყვანა. საბოლოოდ, მაინც ჭიდაობა ამჯობინა, რადგან ნესტორმა საქართველოს ჩემპიონატიც გამოტოვა, თბილისის ტურნირზეც საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობა ეტყობოდა და ახლანდელი უქმობა უფრო აწყენდა.

ხაბარელის ვარაუდით, პარიზის ტურნირის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდი ძირითადად გამოიკვეთება. ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა მაინც 60, 81, 100 და მძიმე წონებშია.

ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა მაინც 81-ში შეიქმნა. აქ ორი ძირითადი კონკურენტი გამოიკვეთა - **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი**, რომლებიც ამ ეტაპზე კონკურენტებზე უკეთ ჩანან. ამათში კი რომელი ჯობნის, ძალზე ძნელი სათქმელია. საქართველოს ჩემპიონატი ბაინდურაშვილმა მოიგო და იმის მიუხედავად, რომ ფინალში **გრიგოლ შინჯიკაშვილი** არ გამოუცხადდა, ვერავინ იტყვის, დაუმსახურებლადო. სამბოდან მოსული ბაინდურაშვილი სავსებით სამართლიანად ჩამოყალიბდა ძიუდოისტთა ლიდერად, მაგრამ ის ტურნირი მამრიკიშვილმა ჩააგდო. საპატიო მიზეზიც გააჩნდა - წინა დღით ვაჟიშვილი შეეძინა და დასვენების ნაცვლად, მთელი ღამე სამშობიაროში გაატარა. ცხადია, ასეთ პირობებში შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ გამოავლენდა, მაგრამ თბილისის მსოფლიო თასზე ძველებურად გაიბრწყინა. დღევანდელი კონკურენტები იქ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მამრიკიშვილმა, მეტოქე ბანაკის პროტესტის მიუხედავად, დამსახურებულად მიითვალა წმინდა გდება. თუმცა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ბაინდურაშვილს უსიტყვოდ ჯაბნის და ნაკრებში ადგილი აქედანვე დაიბევა. მათ მეტოქეობას საერთაშორისო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგები გადაწყვეტს. შესაძლოა, ეს პარიზშივე მოხდეს.

60-ში მწვრთნელთა აზრი უფრო ხერგიანისკენ იხრება, მაგრამ თბილისის ტურნირზე ვერც მან დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს ეკადრება. სავარაუდოდ, იგი თანდათან შევა ფორმაში, მაგრამ აქ მწრთნელებს დიდი არჩევანიც არა აქვთ - ამ ეტაპზე მისმა კონკურენტებმა დამაიმედებელი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ დატოვეს.

თბილისის ტურნირზე გამარჯვებამ დიდად გაზარდა ბელგრადში 22 წლის **ლომერ ყორყოლიანის** გამგზავრების შანსი. ფინალში იაპონელ **ტაკამასა ანაისთან** წმინდა მოგებამ ის მაყურებელთა კერპად აქცია. ყორყოლიანის შანსები ყიზილაშვილის უფერულმა ჭიდაობამაც გაზარდა. ნლევანდელი ტურნირების შემდეგ, კონკურენტთა აქტივში თითო ოქროს მედალია - საქართველოს ჩემპიონატი ყიზილაშვილმა მოიგო, თანაც, ფინალში ყორყოლიანი დაამარცხა და თითქოს უპირატესობასაც უნდა ფლობდეს, მაგრამ აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი, ყორყოლიანმა ის ფინალი უფრო გამოუცდელობით წააგო და სუსტად გამოსვლას ვერავინ დასწამებს, აი, ამ მხრივ კი ყიზილაშვილმა მსოფლიო თასზე ყველას გაუცრუა იმედები. თანაც, მას მძიმე ტვირთად აწევს შარშანდელი სეზონის ჩაგდება. საწყენია, რომ ეს მშვენიერი ფიზიკური მონაცემების ფალავანი ჯერაც არასტაბილური მოჭიდავეა. თუ ყორყოლიანმა კონკურენტს პარიზშიც აჯობა, სავარაუდოდ, ხაბარელი საბოლოო გადაწყვეტილებასაც მის სასარგებლოდ მიიღებს.

დაბოლოს, მძიმე წონა, სადაც ცოტა გვაეჭვებს ხაბარელის გადაწყვეტილება - პარიზში, სადაც პირველი შემადგენლობა წაიყვანა, **ზვიად ხანჯალიაშვილთან** ერთად **ადამ ოქრუაშვილი** მიჰყავს და არა უმთავრესი კონკურენტი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი **ლაშა გუჯეჯიანი**. სამაგიეროდ, გუჯეჯიანი 24-25 თებერვალს ჰამბურგში წასაყვან გუნდში დაასახელა, რომელიც უფრო სათადარიგოებითაა დაკომპლექტებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხაბარელმა არჩევანი უკვე გააკეთა ხანჯალიაშვილზე...

შეგახსენებთ, რომ გუჯეჯიანი საქართველოს ჩემპიონია. ხანჯალიაშვილმა ის ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვა, მერე კი თბილისის მსოფლიო თასი მოიგო. სამაგიეროდ, ეს ტურნირი გუჯეჯიანმა ჩააგდო.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი. დევისის თასი

წყვილი მოგება და წყვილში მოგება



პირველი გვერდიდან

ლაბაძე-მაჩადო
7:5, 6:3, 7:6 (3)

გუშინ კორტზე პირველად ჩვენი პირველი და იმათი მეორე ნომერი - **ირაკლი ლაბაძე** და **რუი მაჩადო** გავიდნენ. ირაკლის, მოგეხსენებათ, მარჯვენა მაჯა სტკივა, თანაც ისე ძალიან, რომ თავის, ჩვეულებრივ, ორხელა ბექჰენდს მხოლოდ ცაციით ასრულებდა. მაჩადომ ეს იცოდა და ბურთს ძირითადად მარჯვნივ უგზავნიდა ირაკლის. ჩვენებურიც იგერიებდა, მხოლოდ მოჭრილი დარტყმებით. კარგადაც იგერიებდა, თუმცა მოჭრილი დარტყმა მხოლოდ თავდაცვითი იარაღია, ასე ვერ შეუტევ.

ამიტომაც, ირაკლიმ კარგა ხანს ვერ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება. გარდატეხა მეთერთმეტე გეიმში მოხდა - ირაკლიმ იმარჯვა და 6:5 დაწინაურდა, საკუთარი მოწოდება კი იოლად მოიგო და 1:0 დაწინაურდა.

მაჩადო (891 კლასიფიკაციაში) მეტოქის მეორე ნომერია და ლაბაძეს (171) ბევრად ჩამორჩება, მაგრამ საკმაოდ კარგი ჩოგბურთელის შთაბეჭდილება დატოვა. მასთან მოდუნება არაფრით შეიძლებოდა და ირაკლიმაც მეორე სეტში თავიდანვე სერიოზულად მიჰყო ხელი საქმეს: მეექვსე გეიმში მეტოქის მოწოდება აიღო, შემდეგ თავისიც და 5:2 დაწინაურდა. ცხადი იყო, მეორე სეტსაც სათავისოდ დაასრულებდა, ამიტომ მერვე გეიმში თავი დიდად არ შეუწუხებია და გადამწყვეტი ქულა საკუთარ მოწოდებაზე აიღო - 6:3.

2:0 დიდი უპირატესობაა, თუმცა მაჩადო არ ნებდებოდა. მესამე სეტი ძალიან დაძაბული გამოდგა. პორტუგალიელმა საფარსაც აუღო ალღო და სიზუსტესაც უმატა. ერთი ეგ არის, სუსტი მოწოდება ჰქონდა. თუმცა მესამეში მაჩადომ თავის მოწოდება არაფრით დათმო, ვერც ირაკლისა მოინადირა და სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე დაეკიდა. აქ კი ნამდვილად გამოცდილებამ და ძლიერმა პირველმა ჩაწოდებამ ითამაშა მთავარი როლი - ლაბაძემ შანსი არ დაუტოვა პორტუგალიელს - 7:3 გაიმარჯვა და საქართველოს ნაკრები 1:0 დაწინაურა.

ჩიხლაძე-ჟილი
6:3, 7:6(2), 6:7(4), 6:4

ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ კორტზე **ლადო ჩიხლაძე** (542) და **ფრედერიკო ჟილი** (153) გამოვიდნენ. ჟილი სტუმართა გუნდის ლიდერია და, ცხადია, მისგან უფრო კლასიან თამაშს ველოდით. ლადოს იმედიც გვქონდა - მისი ყუმბარისებური ჩაწოდებები ბევრს უჩენს პრობლემას.

მატჩი ლადომ დაიწყო და პირველი გეიმიც მოიგო. მეორეში პორტუგალიელმა იმარჯვა. მესამე კვლავ ქართველის იყო - 2:1. მეოთხეში ჟილი აწვდიდა და აქ ჩიხლაძემ შესანიშნავად ითამაშა რამდენჯერმე - მიღებაც კარგი ჰქონდა და ხანგრძლივ გათამაშებაშიც აჯობა მეტოქეს. ბრეიკი, 3:1 და, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა პირველი სეტის ბედი.



ფედერიკო ჟილი



რუი მაჩადო

ჩიხლაძემ მეხუთე გეიმიც იოლად მოიგო და მართალია პორტუგალიელის მომდევნო ორი მოწოდება დათმო, თავისაზე ხელი არ აკანკალებია - 6:3.

სიმართლე უნდა ვთქვა, ვიფიქრე, ბევრი ვერაფერი შვილი ყოფილა შენი ჟილი-მეთქი, მაგრამ მეორე სეტმა აზრი შეგვიცვალა. არა, გარდასახვა ფეერიული არ ყოფილა, მაგრამ ისე კი ათამაშდა, როგორ გუნდის ლიდერს შეშვენის, თუმც ბრეიკს ვერაფრით შესწვდა - ძალიან ეძნელებოდა ლადოს უძლიერესი ჩაწოდებების აღება. სამაგიეროდ, ბევრჯერ ისეთი ბურთი მოიგერია, მკვდარს რომ იტყვიან. აშკარა იყო, ჟილი სწრაფ კორტს შეეჩვია, ჩიხლაძის სტილსაც გასაღები მოარგო და თუკი ლადო რამეს არ იღონებდა, შესაძლო იყო, ინიციატივა დაეთმო. ჩიხლაძეც უფრო კონცენტრირებული გახდა და ტაი-ბრეიკამდე ისე მივიდნენ მონოდება არცერთს დაუთმია. ტაი-ბრეიკში ძლიერი მონოდება ბევრს ნიშნავს, თანაც სწრაფ კორტზე და ჩვენებურის გამარჯვებისა უფრო გვჯეროდა. ასეც მოხდა - ლადომ 7:2 მოიგო და შვებით ამოგვასუნთქა.

მესამე სეტის მოგება ყველგან და ყოველთვის რთულია, - უფრო ფსიქოლოგიური დატვირთვის გამო და თანაც ასეთ დროს. შეგიძლია, რომ დღე 2:0 დაასრულო და ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტო. ამას თუ მივანერდით ლადოს მარცხს მესამე პარტიაში - თუმც მოწოდება არც ახლა დაუკარგავს, ტაი-ბრეიკი წააგო - 4:7.

ფსიქოლოგიური ტვირთი ახლა უნდა გეკითხათ - ერთი ხელის მოქნევაზე მყოფი გამარჯვება რომ გამოგეცლება და თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი. ბევრი გამტყდარა ამ დროს და საბოლოოდ წაუგია კიდეც, ამიტომ მეოთხე სეტს შიშით ველოდით. ჩვენდა გასაკვირად და გასახარად კი, ლადომ პირველივე გეიმში მოიგო ჟილის მოწოდება, უმალ თავისიც მიაყოლა და 2:0 დაწინაურდა. მართალია, რამდენჯერმე გაუჭირდა და ლამის გადაულოცა მეტოქეს ბრეიკი, მაგრამ საქმეში კვლავ ყურმბარისებური მოწოდებები ჩართო და სათავისოდ დაასრულა ყველაფერი. მეოთხე სეტის ანგარიში 6:4 დაფიქსირდა, საერთო ჯამში 3:1 იმარჯვა ჩიხლაძემ.

ესეც ასე. კარგი განწყობა ქართველებმა უკვე შევიქმენით და იმედია, მატჩი ასევე დასრულდება. ერთადერთი, რაც გულს და თვალს ეხამუშება - მაყურებელთა მცირე რაოდენობაა, - როგორც ჩანს ბილეთის ფასმა - 5 ლარმა, გულშემატკივარი დააფრთხო, - გუშინ მხოლოდ 2000-მდე მაყურებელი გულშემატკივრობდა თავისიანებს.

მერვედფინალი იკმარა

ჩოგბურთი. ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ (მათ შორის, სამი საკვალიფიკაციო ტურნირში) მარცხი იგემა საქართველოს ექსჩემპიონმა **სოფიო ქვაცაბაიამ**. ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც ჯერჯერობით ურეიტინგოა, მალიორკის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. მერვედფინალში სოფიო ქვაცაბაია მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ **ტატიანა პრიახინს** შეხვდა, მსოფლიოს 502-ე ჩოგანს. ბრძოლა პირველ სეტში იყო, რომელიც გერმანელმა ტაი-ბრეიკში 7:2 მოიგო, საბოლოოდ - 6:7, 2:6 და პრიახინი მეოთხედფინალშია. ქვაცაბაია წყვილთა თანრიგშიც ასპარეზობდა, თუმცა პირველივე წრეში დამარცხდა.

კაჭარავა ნანტში გადავიდა

რაგბი. საფრანგეთის ქართული ლეგიონი უახლოეს დღეებში კიდევ ერთი მორაგბით შეივსება. საქართველოს ნაკრების შუამარბი **დავით კაჭარავა**, რომელიც დღემდე "ყოჩებში" თამაშობდა, ფედერალ 2-ის "ნანტში" გადადის. ამ გუნდში უკვე ირიცხება ორი ქართველი მორაგბე - **ილია მაისურაძე** და **ლევან ჯაველიძე**.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ელიტური პირველი დივიზიონის "კასტრის" რიგებში 2009 წლის ბოლომდე ითამაშებს საქართველოს ნაკრების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე**. მან ახალი კონტრაქტი ერთი კვირის წინ გააფორმა.

ბესიკ ჯანგავაძე

ეს. ალექსიძის სვეტი

ეძიეთ სასურველი პრეზიდენტი

გაუთვითცნობიერებულებს ჰგონიათ ადვილი სპორტული ფედერაციის მართვა, თორემ ახლოს ვინც დგას და ღრმადაა საქმეში ჩახედული, კარგად იცის, რა პრობლემებსაცაა შეჭიდებული ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

თავკაცის უნარი დიდი ძალაა, ძალაზე მეტია მისი შესაძლებლობები. აი, ასეთ კაცს ეძებს ყველა სპორტული ფედერაცია. ადრე, კომუნისტების დროს, ფედერაციის პრეზიდენტობა საპატიო საზოგადოებრივი თანამდებობა იყო. უხვად მოდიოდა დაფინანსება ბიუჯეტიდან, პროფკავშირებიდან, საკავშირო სპორტული სტრუქტურებიდან. არანაირი პრობლემა! სახელი? კი ბატონო! მაგრამ ეს დრო ხომ წარსულში ჩარჩა.

მოთხოვნები ახლა სულ სხვაგვარია. ცხადია, ბიუჯეტის დიდი იმედი არ უნდა გქონდეს, მით უმეტეს, თუ სპორტის სახეობა არაოლიმპიურია. უმჯობესია, შეძლებული თავად იყო. არა, თავად ფედერაციას არ ვგულისხმობთ, ის კომერციული ორგანიზაცია არ არის. ამიტომ, თავკაცი უნდა ჰყავდეს შეძლებული. ჰოდა, ეძებენ კიდეც ასეთებს ფედერაციები. კი, ვინც ეძებს ჰპოვებს კიდეცო, - ნათქვამია, მაგრამ... ყველა ვერ ამართლებს. ზოგი დარწმუნებულია თავის შესაძლებლობებში, მაგრამ თავშეკავებულია, ზოგს ადვილი სატარებელი ჰგონია ფედერაციის პრეზიდენტობის ტვირთი, იმდენად ადვილი, რომ სპორტის ნებისმიერი სახეობის ფედერაციის გაძღოლას დათანხმდება. გავა დრო და ასეთები განბილებულ-გაოცებულებს ტოვებენ ყველას, ვინც ნდობა გამოუცხადა და დაპირება დაუჯერა. მოკლედ, ეკონომიკურად ღონიერი კაცია საჭირო, რომ სხვისი შემყურე არ იყოს ფედერაცია. ის კი, თავის მხრივ, კიდევ დამატებით თუ მოიძევს სპონსორებს, მთლად უკეთესი.

შეძლებულები, დამეთანხმებით, ჩვენში, საბედნიეროდ, უკვე საკმაოდ არიან, მაგრამ სპორტისთვის გამოსადეგები - ნამდვილად სანთლით დასაძებნია. გულქართული პატრიოტი უნდა იყოს უპირველესად, სხვა ყველაფერი თავისთავად მოვა.

რაც ზემოთ ითქვა, მეტნაკლებად ყველაფერი იწვნიეს ჩვენმა ფედერაციებმა. აგერ, ერთი საიმედო პიროვნება ამ დღეებში გამოჩნდა. იმედია, ამჯერად მაინც გაუმართლებს სამბოს ეროვნულ ფედერაციას, რომელიც სასურველი თავკაცის ძიებაში რიგგარეშე ყრილობების ჩატარების რაოდენობით საქართველოს რეკორდსმენი გახდა.

ეძიეთ, ეძიეთ და იპოვნეთ საიმედო პრეზიდენტი!

ძალოსნობა

დაჯილდოება. მარჯვნიდან მეორე - ლიგის გამარჯვებული გია მაჭავარიანი — მამუკა კაკაურიძის ფოტო

საქართველოს ლიგა

მაჭავარიანის 400, გრიქუროვის იმედი და ასანიძის გეგმები

ქუთაისის ძალოსნობის დარბაზში საქართველოს ლიგის პირველი ტური გაიმართა. შეჯიბრებაში 12 მწვრთნელი და 84 ძალოსანი მონაწილეობდა. მოგეხსენებათ, საქართველოს ლიგაზე შეჯიბრება მწვრთნელებს შორისაც იმართება. თითო სპეციალისტს შვიდი სპორტსმენი გამოჰყავს, გამარჯვებული კი ხუთი საუკეთესო ძალოსანის შედეგის მიხედვით ვლინდება.

აღნიშნული შეჯიბრება სინკლერის ცხრილის მიხედვით ტარდება. სპორტსმენის წონა მრავლდება მის შესაბამის კოეფიციენტზე და აწეული სიმძიმის რაოდენობაზე, რომლის მიხედვითაც ვლინდება საუკეთესო სპორტსმენები.

შეჯიბრებაში მონაწილეობას აპირებდა ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**. ქუთაისშიც ჩამოვიდა, თუმცა ბოლო მომენტში მცირე ტრავმა მიიღო და ტურნირში გამოსვლა ვეღარ გარისკა. გარდა ამისა, ქუთაისში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ იასპარეზეს ნაკრების წამყვანმა წევრებმა **კასაბიევმა, სამუკაშვილმა, კუზილოვმა** და **გოგიამ**.

მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, შეჯიბრება საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ტურნირის ფავორიტად ლიგის შარშანდელი გამარჯვებულის, **ავთანდილ გახოკიძის** გუნდი ითვლებოდა. გახოკიძის შეგირდებმა 1810 ქულა დააგროვეს და მათი მწვრთნელი ამჯერადაც აპირველეს. მწვრთნელებს შორის მეორეზე ქუთაისელი **მალხაზ ლომთაძე** (1690) გავიდა, მესამეზე - ჩაქველი **ბასილაია** (1630).

ძალოსნებში პირველობა არავის დაუთმო 105 კილოში მოასპარეზე **გია მაჭავარიანმა** (მწვრთნელი ავთანდილ გახოკიძე). სხვათა შორის, მას ქუთაისი კარგად აქვს დაცდილი, სწორედ აქ დასძლია ატაცში 182 კგ და ეს შედეგი დღემდე ითვლებოდა მის პირად რეკორდად, ახლა კი მაჩვენებელი 5 კილოგრამით გააუმჯობესა - 187 აიტაცა, აკვრაში 215.5 დაუმატა და ორჭიდის ჯამში 402.5 კგ. დააგროვა.

მეორე და მესამე ადგილებზეც გახოკიძის შეგირდები არიან: **თემურ ჩხეიძე** (85 კგ. 152.5+180=332.5) და **თორნიკე კოკაია** (105 კგ. 150+200=350).

მეოთხე ადგილზე გავიდა ქუთაისელი **ვაჟა ღონღაძე** (94კგ. **გია ცირეკიძე**), რომელიც ახალგაზრდული ნაკრების წევრია და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადება. მან ატაცში 160კგ. დასძლია (ახალი პირადი რეკორდი), აკვრაში 172 და ორჭიდში - 332.5 კგ. მეხუთე და მეექვსე ადგილებზე არიან ქუთაისელები: **ალუდა მანაგაძე** (94 კგ. მალხაზ ლომთაძე 145.5+177=322.5)

და ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთი წევრი **გიორგი ბეჟიტაშვილი** (94, მალხაზ ლომთაძე, 150+170=320). ექვსეულს მიღმა დარჩა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, ქუთაისელი **რაულ ცირეკიძე**. მან ატაცში 152 კგ. დაიმორჩილა და პირადი რეკორდიც დაამყარა, თუმცა შემდეგ ტრამვამ შეუშალა ხელი და აკვრაში საწყისი წონა ვერ დასძლია. უნდა გამოვარჩიოთ 56 კილოგრამში მოასპარეზე 14 წლის ჭაბუკის, **გიორგი ლომთაძის** კარგი ასპარეზობა. ამ ბიჭის წონა 53 კილოა და ამის გათვალისწინებით საკმაოდ კარგი მაჩვენებელი დააგროვა 195 (85+110). ლომთაძე ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატისთვის ემზადება.

ვანო გრიქუროვი, მთავარი მწვრთნელი

- წლეულს ეს ჩვენი პირველი შეჯიბრება იყო. შედეგების გაუმჯობესების მხრივ, ქუთაისი საკმაოდ კარგად გვაქვს დაცდილი და უმრავლესობამ ახლაც გაგვახარა. თავი ისახელა გიორგი მაჭავარიანმა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 402.5 კგ დააგროვა - ეს დაახლოებით საპრიზო ადგილის შედეგია მსოფლიო ჩემპიონატზე. მე როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ძალიან კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ გიორგის პირადი მწვრთნელის ავთანდილ გახოკიძის ნაყოფიერმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.

შეჯიბრების საერთო დონეს რაც შეეხება, პროგრესი აქაც შეიმჩნევა. თუ გადავხედავთ ადრინდელ შედეგებს, წინსვლა ნამდვილად არის. ახლა ჩვენი მიზანია, რომ სექტემბერში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატს კარგად მომზადებული შევხვდეთ. იქ მთლიანი გუნდით გამოვალთ და გვინდა, რაც შეიძლება მეტი ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვოთ.

ქუთაისში რამდენიმე წამყვანმა ძალოსანმა ვერ იასპარეზა. არსენ კასაბიევი მკურნალობს, ზვიად სამუკაშვილსაც ტრავმა აქვს - ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო კურსს გადის, არ იყო ალბერტ კუზილოვიც. გიორგი ასანიძეც უნდა გამოსულიყო, კარგადაც იყო მომზადებული, მაგრამ მცირე ტრავმა მიიღო და რომ არ გართულებოდა, ჩავთვალეთ, რომ მისთვის დასვენება აჯობებდა.

გიორგი ასანიძე, ოლიმპიური ჩემპიონი

- საქართველოს ლიგის პირველი ტური ჩვენ ორ ჯგუფად გავყავით. ცოტა ადრე თბილისში რამდენიმე სპორტმენმა იასპარეზა, მაგრამ ძირითადი ბირთვი ქუთაისში გამოდიოდა. აქ იყვნენ ნაკრების წევრები, რომლებმაც სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა მიიღონ მონაწილეობა. იქამდე ძალიან დიდი დროა, მაგრამ მზადება აქედანვე უნდა დაიწყოს. მე მცირე ტრამვის გამო ვერ გამოვედი, მაგრამ ნაკრებს აუცილებლად დავეხმარები. მალე მოსამზადებლად პოლონეთში მივემგზავრები და ორი თვე ნაყოფიერად ვივარჯიშებ. მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად დაკომპლექტებული გუნდით უნდა წავრდგეთ!

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჭრიჟი

ინტერვიუ გიორგი კანდელაკთან

უორენი, მელოუნი, დონ კინგი...

მსოფლიოში გასასვლელად მზად ვართ! დაიწყებს ჯომარდაშვილი

ქართულ პროფესიულ კრივში ბოლო ხანს აშკარა გამოცოცხლებაა. თუკი შარშანდლამდე ჩვენი მოკრივეები საკმაოდ იშვიათად ატარებდნენ საერთაშორისო შეხვედრებს, ახლა უკვე საკმაოდ ბევრი ჩვენებური ჩხუბობს საზღვარგარეთ. როგორც საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი ამბობს, ეს მხოლოდ დასაწყისია, ახლო მომავალში გაცილებით სერიოზულ ძვრებს უნდა ველოდოთ.

- უპირველესად იმას აღვნიშნავ, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ განვაახლეთ სარეიტინგო ორთაბრძოლები. არდადეგები ცოტა გაგვიგრძელდა - დასამალი არაფერია და მცირე ფინანსური პრობლემები გვქონდა. თუმცა, ახლა ყველაფერი კარგადაა. მართალია, ახლა აღარ გვიჭირს, მაგრამ ქართულ კრივში იმხელა პოტენციალს ვხედავ, უფრო დიდი სახსრები რომ გვქონდეს, საკმაოდ მალე მივაღწევდით სერიოზულ წარმატებებს.

- ვის გამოარჩევდით ამჟამინდელი მოკრივეებიდან?

- არაერთი ნიჭიერი მოკრივე გვყავს - კობა ქარქაშაძე, გიორგი უნგიაძე, ლევან შონია... ეს ბიჭები ჩვენი პროფესიული კრივის ხვალინდელი დღეა. სასიხარულოა, რომ რინგს, ამჯერად პროფესიონალებში დაუბრუნდა ვლადიმერ ჭანტურია, რომლის დიდი იმედიც გვაქვს. ქარქაშაძეც ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტია - ორივეგან მსაჯებმა წაართვეს ჩემპიონობა. მერე გადმოვიდა პროფესიონალებში და საკმაოდ დიდი მომავალი აქვს.

ამათ გარდა, განსაკუთრებით გამოვარჩევდი შალვა ჯომარდაშვილსაც. მას უცხოეთიდან საკმაოდ ხელსაყრელი წინადადებები აქვს და ალბათ უკვე გავუშვებთ კიდეც საბრძოლველად, რაც სპორტული და ფინანსური კუთხით, მისთვისაც კარგი იქნება და ჩვენი ქვეყნის პრესტიჟსაც გაზრდის. მთლიანობაში, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ შევუქმნათ მოკრივეებს ისეთი პირობები, რომ თავი ნამდვილ სპორტსმენებად იგრძნონ, სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ არ დადგნენ და ქუჩაში არ აღმოჩნდნენ. ყველაზე რეალურია ჯომარდაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასვლა. მას ამერიკელები საკმაოდ სარფიან კონტრაქტს სთავაზობენ და იმის პირობასაც აძლევენ, რომ რომელიმე პრესტიჟული ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის აბრძოლებენ. რა თქმა უნდა, შალვა ამას საქართველოს სახელით გააკეთებს.

- საქართველოში თუ არის იმის საშუალება, რომ აქ ნავარჯიშებმა მოკრივეებმაც იბრძოლონ პრესტიჟული ქამრებისთვის?

- საქმისადმი სწორად მიდგომის შემთხვევაში, ეს სავსებით რეალურია და გულახდილად რომ გითხრათ, ასეთი გეგმები გვაქვს კიდეც. თუმცა, ეს ასე უცბად ვერ მოხდება. საზღვარგარეთ, სადაც საათივით აწყობილი ინფრასტრუქტურა და ზღაპრული პირობები აქვთ, ამისთვის 3-4 წელი სჭირდებათ, ჩვენ კი მხოლოდ ერთი წელია, რაც პროფესიული კრივის განვითარებას მოვკიდეთ ხელი. ახლა ნელ-ნელა ვაჩვევთ მოკრივეებს 12-რაუნდიან ბრძოლებს. თავიდან, 4-რაუნდიანი ბრძოლებით დავიწყეთ, ახლა 6 რაუნდამდე გავზარდეთ და ასე გავაგრძელებთ. მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ არც ისე დიდი ხანი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენს მოკრივეებს პრესტიჟული ქამრებისთვის ბრძოლის საშუალება მივცეთ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ შემდეგი ხუთშაბათის მერე სარეიტინგო ორთაბრძოლებს ოთხშაბათობით გავმართავთ ხოლმე.

- ცნობილ უცხოელ პრომოუტერებთან რა ურთიერთობა გაქვთ?

- საკმაოდ ახლო ურთიერთობა გვაქვს ჩემს ყოფილ პრომოუტერებთან - ფრენკ უორენთან და ფრენკ მელოუნთან. ასევე ვმეგობრობთ თანამედროვე კრივის უდიდეს მენეჯერ დონ კინგთან. ამას გარდა, სხვადასხვა ქვეყნებთანაც ნელ-ნელა ვამყარებთ კავშირს. ჩვენი მოკრივეები შეკრებაზე გვყავდა გერმანიასა და ინგლისში, მარტის დასაწყისში კი საშუალება გვაქვს, რომ ქართველმა მოკრივეებმა იჩხუბონ სამხრეთ აფრიკაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და ბურკინა ფასოში. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს უკრაინელებთან და რუსებთან და გვინდა, მალე იქაური მოკრივეებიც ჩამოვიყვანოთ და ქართველებთან ვაჩხუბოთ.

კობა ხატისაშვილი



კრის პოლი (თეთრებში) კვლავ მწყობრშია

NBA . რეგულარული ჩემპიონატი

ნიუ ორლეანი პოლმა დაალაგა

ნ. ორლ-მილუოკი 109:101 (2 ო)

27:25, 24:20, 23:19, 16:26, 7:7, 12:4

ნიუ ორლეანი: მეისონი (24 ქ. 7 მ. 3 ჩ), დევიდ უესტი (21 ქ. 19 მ), პოლი (14 ქ. 10 პ. 5 მ. 2 ჩ), დევინ ბრაუნი (12 ქ. 4 პ), ბ. ჯექსონი (12 ქ), ჩენდლერი (11 ქ. 22 მ), ლ. ჯონსონი (10 ქ).

მილუოკი: მო უილიამსი (30 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ), პატერსონი (28 ქ. 16 მ. 5 ჩ. 3 პ), ჩ. ბელი (14 ქ. 4 პ), ბოგუტი (10 ქ. 8 მ), ბოიკინსი (10 ქ. 5 პ. 2 ჩ).

უსაშველოდ ბევრს ნიშნავს "ნიუ ორლეანისთვის" **კრის პოლი**. ახალგაზრდა ფლეიმეიქერის გარეშე, გუნდი არასტაბილურად თამაშობდა, ხოლო კრისის მწყობრში ჩადგომის მერე, "კრაზანებმა" ძველი ფორმა აღიდგინეს და ასე თუ გააგრძელეს, დასავლეთიდან ერთ-ერთი უკანასკნელი საფლეიოფო ადგილის დაკავების რეალური პრეტენდენტები გახდებიან.

შემადგენლობით "ჰორნეტსი" მშვენივრადაა დაკომპლექტებული. პოლს რომ წამით შევეშვათ, ამ ჭრელ გუნდში ბევრი ისეთი ვინმეა, ვისაც წინა გუნდებში თავის გამოჩენის შანსი არ ეძლეოდა, ახლა კი მიდი, თავი გამოიჩინე და იქნებ გრძელვადიან კონტრაქტსაც გამოჰკრა ხელიო - მიმართავს შეგირდებს გუნდის მთავარი მწვრთნელი და მათი წინსვლის უმთავრესი შემოქმედი **ბაირონ სკოტი,** რომელსაც "ნიუ ჯერსიში" თავის დროზე ის დაუწუნეს, რომ მან "ნეტსს" ორი ფინალიდან ერთიც ვერ მოაგებინა. შეგახსენებთ, რომ სკოტის "ნიუ ჯერსი" სუპერსერიებში ჯერ "ლეიკერსთან", მერე კი "სან ანტონიოსთან" დამარცხდა.

"ნიუ ორლეანს" ჰყავს ძალიან ძლიერი დამცველი ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი,** რომელმაც 22 მოხსნით კარიერის რეკორდი დაამყარა. "ბულზში" **ედი კარისთან** შეამხანაგებულმა ტაისონმა გუნდს ის ვერ მისცა, რასაც მისგან "ჩიკაგოს" თავკაცი **სკოტ სქაილზი** ითხოვდა, "ჰორნეტსში" კი იგი ბოლომდე გაიხსნა და ამ ეტაპზე იქნებ ლიგის საუკეთესო დაცვითი ტიპის ცენტრიც იყოს. **ბენ უოლასი** ხომ რეგრესს განიცდის. თანაც, 22 მოხსნით ჩენდლერმა გუნდის ახალი რეკორდიც დაამყარა – იგი ზედიზედ მეცხრე მატჩში აგროვებს მინიმუმ 12 მოხსნას.

მოხსნების მხრივ ასევე კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა **დევიდ უესტმა**, რომელიც წესით, მოედანზე საერთოდ არ უნდა გასულიყო, მაგრამ სკოტთან კონსულტაციის მერე, უესტმა თამაში გადაწყვიტა და მასპინძელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

"დღევანდელი თამაშის მოგება მთლიანად ჩენდლერისა და დევიდის გმირულმა გამოსვლამ განაპირობა. ერთმაცა და მეორემაც მაქსიმუმის მაქსიმუმი გააკეთა და იმედი მაქვს, ეს არ იყო "ჰორნეტსის" საუკეთესო შეხვედრა, რადგან ამ შემთხვევაში, ბაირონი ჰოსპიტალში მოხვედრას ვერ გადაურჩება. მწვრთნელზეც ხომ უნდა ვიფიქროთ", - ხუმრობდა ნამატჩევს ჟურნალისტებთან საუბარში პოლი.

ფენომენალური იყო "ჰორნეტსის" უპირატესობა მოხსნებში – 71:49! მასპინძლებს თამაშიდან ბურთი ოდნავ უკეთ რომ ესროლათ, არცერთი დამატებითი ხუთწუთიულის ჩატარება არ გახდებოდა საჭირო, ისე კი "ჰორნეტსის" ფანებმა ამ სეზონში თავიანთი კერპების მიერ გამართული ყველაზე ფეერიული შეხვედრა იხილეს. სხვათა შორის, ეს "ნიუ ორლეანის" მიერ მიმდინარე რეგულარულში გამართული მეოთხე ოვერტაიმი იყო და პოლმა და კომპანიამ მეოთხეჯერ იმარჯვეს, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

"მილუოკი" კი გასვლაზე ზედიზედ მერვედ დამარცხდა. ჯერაც მთავარი ვარსკვლავის, **მაიკლ რედის** გარეშე მყოფმა გუნდმა, **მო უილიამსის** 30 ქულა ვერ შეირგო და ვერც იმით იხეირა, რომ "ცოცხალი" სროლები მასპინძლებზე ბევრად უკეთ შეასრულა. მეორე დამატებით დროში, სტუმრებმა თავიდან ზედიზედ 9 (!) სროლა გააფუჭეს და მატჩის დარჩენილი დროც (ანუ 87 წამი) ფორმალობად იქცა.

კრის პოლის გუნდი კი მოგებების მხრივ უკვე დაეწია "მინესოტას", "დენვერსა" და "გოლდენ სტეიტს" და რეალურად ჩაერთო საფლეიოფო ადგილისთვის ბრძოლაში. მხოლოდ "ნაგეტსი" ფლობს უპირატესობას "ჰორნეტსთან" შედარებით (ბოლოს და ბოლოს, **ალენ აივერსონი** და **კარმელო ენტონი** ყველაფერს ხომ არ დათმობენ!), ხოლო **კევინ გარნეტისა** და **ბაირონ დევისის** გუნდებთან ბრძოლა კი ნამდვილად რეალურია. ასე რომ, ყველაფერი წინ არის.

დეტროიტი-ლეიკერსი 93:78

28:17, 20:19, 25:23, 20:10

დეტროიტი: პრინსი (20 ქ. 6 მ. 4 პ), რ. უოლასი (18 ქ. 10 მ. 3 ჩ. 3 დ), უებერი (18 ქ. 11 მ. 4 პ), რ. ჰამილტონი (16 ქ. 7 პ. 5 მ), ბილაპსი (6 ქ. 9 პ. 4 ჩ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (18 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ტურაფი (13 ქ. 11 მ. 2 დ), ოდომი (12 ქ. 9 მ), ს. პარკერი (11 ქ), ფარმარი (10 ქ. 5 მ).

როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს **კობი ბრაიანტი,** როგორ ცუდადაც არ უნდა გრძნობდეს თავს **ჩონსი ბილაპსი,** როცა "პისტონზი" "ლეიკერსს" ხვდება, ეს უკანასკნელი ბრაიანტს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. 2004-ში კობიმ რომ სუპერსერია ჩააგდო (მაშინ მთელ "ლეიკერსში" მხოლოდ **შაკმა** იბობოქრა), ეს, პირველ რიგში, ჩონსის დამსახურება იყო, მერე კი ბილაპსი ფინალის უძვირფასესად დაასახელეს.

სხვათა შორის, ბრაიანტს დღემდე არ აუღია არცერთი "ოფიციალური" ინდივიდუალური ჯილდო ("ყველა ვარსკვლავის" MVP არ ითვლება) , ბილაპსი კი ამ მხრივ უკვე შევიდა ისტორიაში.

ჩონსის აღნიშნულ შეხვედრამდე სიცხემ აუწია, მაგრამ "პისტონზის" მთავარი მწვრთნელის **ფლიპ სონდერსის** თხოვნით, იგი მაინც გავიდა მოედანზე, ბრაიანტს ხელ-ფეხი გაუკოჭა და შეტევაში პასიურობის მიუხედავად, სწორედ ბილაპსი დაასახელა **კრის უებერმა** მატჩის გმირად. ბრაიანტმა საბოლოოდ თამაშიდან 13-დან მხოლოდ 5 სროლა შეასრულა ზუსტად და არც მეტი, არც ნაკლები 8 (!) შეცდომა დაუშვა, "დეტროიტმა" კი ზედიზედ მეხუთე მატჩის მოგებით კიდევ უფრო გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა და ამ ეტაპზე სუსტ აღმოსავლეთში აშკარად საუკეთესო კალათბურთს თამაშობს. შედეგიც სახეზეა – სონდერსის ბიჭები კონფერენციაში პირველ ადგილზე იმყოფებიან.

საკრამენტო-ჩიკაგო 86:77

18:23, 19:12, 23:23, 26:19

საკრამენტო: კევინ მარტინი (29 ქ. 4 მ. 2 ჩ), ბიბი (21 ქ. 4 პ), არტესტი (10 ქ. 8 მ. 3 პ), ბ. მილერი (7 ქ. 12 მ. 6 პ. 2 დ).

ჩიკაგო: დენგი (20 ქ. 10 მ. 3 პ. 3 ჩ), ჰაინრიხი (18 ქ. 4 მ. 4 პ), ბ. უოლასი (6 ქ. 13 მ. 2 დ).

ზურაბ თალაკვაძე

გაცვლის რეალური კანდიდატები

ვის გინდათ გარბახოსა?

22 თებერვლამდე გუნდებს გაცვლების გაკეთება შეეძლებათ, მერე კი სატრანსფერო ფანჯარა სეზონის ბოლომდე ჩაირაზება და კლუბებს თავის ხელთ არსებული კონტინგენტით მოუწევთ ფონს გასვლა. ჩვენს დღევანდელ მიმოხილვაში ვისაუბრებთ იმ მოთამაშეებზე, რომლებიც დამდეგი ტრანსფერების ყველაზე რეალურ კანდიდატებად მოიაზრებიან. მათში ერთადერთი სუპერვარსკვლავია (ისიც ევროპული ეპოპეის ხარჯზე), მაგრამ ფლეი ოფების ისტორია ცალსახად გვიჩვენებს საბოლოო შედეგზე მეგავარსკვლავეების გვერდით ნაკლებად მასშტაბური, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურების ზეგავლენას. ასე რომ, დაიმახსოვრეთ ეს გვარები და გაიხენეთ ეს მოთამაშეები, მაშინ, როდესაც კარს ფლეი ოფი მოგვადგება.

ტიმ ტომასი
(კლიპერსი)

წლევანდელი სტატისტიკა: 46 მატჩი, 26.1 წუთი, 10.4 ქულა, 4.9 მოხსნა, 2.1 პასი, 1.6 ზუსტი სამქულიანი, 0.7 ჩაჭრა, 1.2 შეცდომა.

ტომასის აყვანა ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველთვის ვიღაცას სურს. ამ ეტაპზე ნიჭიერი, მაგრამ თავნება და ზარმაცი ფორვარდი "კლიპერსის" სათადარიგოა, თუმცა სულ უფრო ხშირად ისმის იმაზე საუბარი, რომ ტიმის აყვანა "სან ანტონიოს" სურს. **გრეგ პოპოვიჩი** "კლიპერსს" სავარაუდოდ **მაიკლ ფინლის** შესთავაზებს, ოღონდ გაცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ "სპურსი" ფინლის კონტრაქტის 25 პროცენტს გადაიხდის, დანარჩენ თანხას კი მაიკლი თავისი ყოფილი გუნდისგან, "დალასისგან" აიღებს. ასე რომ, "კლიპერსი" ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული დარჩება. ფინლის 10-11 ქულის გაკეთება ახლაც თავისუფლად (ოღონდ არა "სან ანტონიოში") შეუძლია, ხოლო ფინანსურად კი კალიფორნიელები არაფერს წააგებენ.

სმაშ პარკერი
(ლეიკერსი)

წლევანდელი სტატისტიკა: 49 მატჩი, 31.0 წუთი, 11.7 ქულა, 2.5 მოხსნა, 2.4 პასი, 1.4 ზუსტი სამქულიანი, 1.65 ჩაჭრა, 1.8 შეცდომა.

აბა, ვინ უნდა დაკავშირებოდა "ლეიკერსს" **სმაშ პარკერის** საკითხზე, თუ არა "ნიუ იორკ ნიქსი", რომელსაც პარკერის ამპლუის ბარე 4 საკმაოდ მაღალი დონის მოთამაშე ჰყავს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ "ნიქსის" მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტი **აიზია ტომასი,** იქნებ ყველა დროის ყველაზე უჭკუო მეტრანსფერეა და ამით ყველაფერია ნათქვამი. პარკერს შარშან, საკმაოდ წარმატებული სეზონი ჰქონდა, თუმცა წელს, როდესაც "ლეიკერსში" **ფილ ჯექსონი** სათამაშო დროს ყველაზე თანაბრად ანაწილებს, სმაში უკმაყოფილებას ვერ მალავს და მეტ დროს ითხოვს. ჯექსონი თანახმაა პარკერი აიზიას დაუთმოს, ოღონდ სანაცვლოდ **ჩეინინგ ფრაის** ითხოვს, რაც "ნიქსისთვის" გარიგების რეალობად ქცევის შემთხვევაში, ტრაგედია იქნება. ფრაი **დევიდ ლისთან** ერთად, "ნიქსის" ორადორი ნათელი წერტილია იმ თვალსაზრისით, რომ ერთიცა და მეორეც ახალგაზრდები არიან და მათ ირგვლივ (**ედი კარისთან** ერთად) სოლიდური გუნდის გაკეთებაა შესაძლებელი. თანაც, ფრაი მძიმე ფორვარდია, ანუ იმ აპლუის მოთამაშე, ვისზეც მთელ ლიგაში უდიდესი მოთხოვნილებაა.

კრის დიუჰონი
(ჩიკაგო)

წლევანდელი სტატისტიკა: 45 მატჩი, 24.5 წუთი, 7.0 ქულა, 4.1 პასი, 2.4 მოხსნა, 1.0 ზუსტი სამქულიანი, 0.8 ჩაჭრა, 1.3 შეცდომა.

როგორ უნდა გაიზარდოს **დიუჰონის** სათამაშო დრო გუნდში, სადაც უკანა ხაზში **კირკ ჰაინრიხი** და **ბენ გორდონი** არიან? დიუჰონი საკმაოდ კარგი გამთამაშებელია, მაგრამ იგი ხშირად ცდება სროლის შესრულებისას და **სკოტ სქაილზის** უნდობლობასაც ეს ფაქტორი განაპირობებს. შარშან, კრისი თითქმის გადასული იყო "მინესოტაში", მაგრამ "მგლების" ბოსმა **კევინ მაქჰეილმა** ბოლო წამს "გაყინა" ტრანსფერი და **რენდი ფოიეს** შენარჩუნება ამჯობინა. დიუჰონის თაობაზე "ბულზის" ოფისი "ლეიკერსმა", "ატლანტამ" (**სპიდი კლექსტონი** აშკარად ვერ ამართლებს) და "შარლოტმა" აიკლეს ზარებით. გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა დიდია იმის ალბათობა, რომ ეს ახალგაზრდა კარიერას წელსვე სხვა გუნდში გააგრძელებს.

მარკ ბლაუნტი
(მინესოტა)

წლევანდელი სტატისტიკა: 49 მატჩი, 32.1 წუთი, 13.3 ქულა, 6.4 მოხსნა, 0.8 პასი, 0.9 დაფარება, 0.5 ჩაჭრა, 2.0 შეცდომა.

ბლაუნტი კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. უკანასკნელ 10 შეხვედრაში მან ცხრაჯერ 10 და მეტი ქულა დააგროვა, მაგრამ ბლაუნტის მთავარი სისუსტე მოხსნაზე პასიურობაა. გუნდის ძირითადი ცენტრი, ერთ მატჩში საშუალოდ 6 მოხსნაზე მეტს ნამდვილად უნდა აგროვებდეს. თანაც, ბლაუნტს საკმაოდ დიდი სათამაშო დრო ეძლევა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მარკი კარგი შემტევია, დაცვაშიც არა უშავს, მაგრამ თუ მისი მთხოვნელი კალათბურთელს არ გააქტიურებს, მაშინ ზუსტად იგივე სურათს მიიღებს, რაც მინეაპოლისშია – კარგი შემტევი და პრინციპში, მეტი არაფერი. მარკის შეძენის სურვილი "დენვერ ნაგეტსმა" გამოთქვა, კოლორადელთა გარდა კი, "მგლებს" ბლაუნტის ყოფილი გუნდი "ბოსტონი" და "ფილადელფიაც" დაუკავშირდნენ.



ხორხე გარბახოსა (15)

ხორხე გარბახოსა
(ტორონტო)

წლევანდელი სტატისტიკა: 46 მატჩი, 28.5 წუთი, 8.5 ქულა, 5.3 მოხსნა, 2.1 პასი, 0.7 ზუსტი სამქულიანი, 1,22 ჩაჭრა, 1.0 შეცდომა.

ესპანელი ვარსკვლავი "რეპტორზში" თითქმის მთელ შავ სამუშაოს ასრულებს. **კრის ბოშის** უხვქულიანობა სწორედ გარბახოსას ჭკვიანურ თამაშსა და გამოცდილებას მოაქვს. ევროპული კალათბურთის ბოლო დეკადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი დიდი სიამოვნებით დარჩებოდა "რეპტორზში", მაგრამ მას კონფლიქტი აქვს კანადელთა სლოვენიელ ცენტრ **რაშო ნესტეროვიჩთან,** გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სემ მიტჩელმა** კი ყველა გააოგნა, როდესაც აღნიშნა – თუ ამ ორში არჩევანის გაკეთების ნებას მომცემენ, რაშო "ტორონტოში" დარჩებაო. ასე რომ, გარბახოსას სხვაგან გადასვლა უკვე რეალურია. მისი აყვანის სურვილი გამოთქვა "მილუოკიმ", თუმცა დარწმუნებული იყავით, ესპანელს სხვა მსურველებიც გამოუჩნდებიან.

მსოფლიო ჩემპიონატი

პერსონის მეორე ოქრო

ანია პერსონი

სანამ ხორვატი **იანიცა კოსტელიჩი** შვებულებას აიღებდა, კომბინაციის რბოლებში მას ბადალი არ ჰყავდა. შესაბამისად, ამ დისციპლინაში სწორედ მან მოიპოვა ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ბოლო ორ-ორი ოქროს მედალი. მაგრამ მან ამ სეზონის გამოტოვება ინება, რითაც ოქროს მოპოვების რეალური შანსი შვედ **ანია პერსონს** გადაულოცა. მანაც ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა.

ეგაა, მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში კომბინაცია სუპერკომბინაციამ შეცვალა, რითაც სლალომისტებს კიდევ უფრო გაურთულდათ საქმე - თუ კომბინაციაში მათ დაშვების ცდაზე არცთუ გამორჩეული შედეგების სლალომის ორი ცდით გამოსწორების საშუალება ჰქონდათ, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და უპირატესობა უფრო უნივერსალურ მოთხილამურეებს ეძლევათ. ისე კი, კომბინაციის მთავარი არსი სწორედ ისაა, რომ მასზე წარმატებას უნივერსალებმა უნდა მიაღწიონ.

კოსტელიჩიცა და პერსონიც სწორედ უნივერსალები არიან. მათსავით არავის ეხერხება დაშვებისა და სლალომის თანაბრად, მაღალ დონეზე სრიალი. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ პირველობისთვის ბრძოლა სწორედ ამ ორს შორის სწარმოებს ხოლმე და როცა კოსტელიჩი ტრავმებით გატანჯულ ძვლებს ასვენებს, ჰეგემონია შვედის ხელში გადავიდა.

პერსონმა ეს ჰეგემონია არეს მსოფლიო ჩემპიონატის სუპერკომბინაციის პირველივე ცდაზე (დაშვებაზე) დაამყარა. მან თითქმის წამით აჯობა უახლოეს მდევრებს, ამერიკელებს, **ლინდსი კილდოუსა** და **ჯულია მანკუზოს**.

ლიდერს თითქმის ორი წამით ჩამორჩა მისთვის პოტენციურად ყველაზე საშიში მეტოქე, ავსტრიელი **მარლის შილდი,** ვინც უფრო სლალომის სპეციალისტია (ამ სეზონში, მსოფლიო თასზე ხუთი ეტაპი მოიგო), თუმცა ბოლო ხანებში დაშვებაშიც აუმჯობესებს შედეგებს. სხვათა შორის, წინა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც იტალიის ბორმიოში ჩატარდა, კომბინაციაში მეორე და მესამე ადგილები სწორედ პერსონმა და შილდმა დაიკავეს, ტურინის ოლიმპიადაზე კი ისინი პირიქით განლაგდნენ. რა თქმა უნდა, პირველი ადგილი კოსტელიჩმა "დაჯავშნა".

სლალომში ავსტრიელმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა და ორი წამიდან ერთი ამოქაჩა, რითაც კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დაიკავა ადგილი. მან ოდენ 0.04 წამი წააგო მანკუზოსთან. შვედმა კი აუღელვებლად ისრიალა და არც გასჭირვებია ლიდერობის შენარჩუნება. ვერცხლის მოპოვების შანსი ჰქონდა კილდოუს, მაგრამ შუა გზაზე მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, ათეულშიც ვერ შევიდა.

"ჩემი ოცნება ოქროს მედლის მოპოვება იყო. ახლა კი ორი მაქვს და უბედნიერესი ადამიანი ვარ. მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სეზონი ჩემთვის ძალიან ძნელად მიმდინარეობს", - განაცხადა პერსონმა, ვინც არეში ოქროს მეორე მედალი მოიპოვა და ამით გააუმჯობესა ლეგენდარულ თანამემამულე **ინგემარ სტენმარკის** ძველისძველი მიღწევა - მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე მერვე მედალი მოიპოვა (სტენმარკს შვიდი აქვს).

მერაბ ლორთქიფანიძე

არე (შვედეთი).
ქალები. სუპერკომბინაცია

1. ანია პერსონი (შვედეთი) 1:57.69; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:58.50; 3. მარლის შილდი (ავსტრია) 1:58.54; 4. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:58.74; 5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 1:59.60; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:59.91; 7. მარია რიში (გერმანია) 2:00.02; 8. ნიკე ბენტი (შვედეთი) 2:00.15; 9. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 2:00.74; 10. ემილი ბრაიდონი (კანადა) 2:00.86...

ტურ დე ფრანსი

ლენდისი ტურზე არ გამოვა

ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა, ამერიკელმა **ფლოიდ ლენდისმა** გამოაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში არ მიიღებს მონაწილეობას ფრანგულ ველომარათონში, რომლის მოგების შემდეგაც, შარშან დოპინგ-სკანდალში გაეხვა. სწორედ აღნიშნული სკანდალის გამოა, რომ ლენდისს რბოლებში მონაწილეობისგან თავის შეკავება უწევს.

აღნიშნული გადაწყვეტილება ველომრბოლმა საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსთან (AFLD) შეთანხმების შემდეგ მიიღო. კერძოდ, ლენდისმა პირობა დადო, რომ ამ სეზონში არანაირ რბოლაში არ მიიღებს მონაწილეობას იმ შემთხვევაში, თუ AFLD აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მიერ ველომრბოლის საქმის განხილვამდე არ განიხილავს ამავე საქმეს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ ლენდისის საქმის განხილვა მაისში დანიშნა, AFLD კი იმავე საკითხის განხილვას უფრო ადრე აპირებდა. მოსალოდნელი იყო, რომ ფრანგები ლენდისს, როგორც მინიმუმ, საფრანგეთში ორგანიზებულ რბოლებში მონაწილეობას აუკრძალავდნენ და არ იყო გამორიცხული, რომ მათ ამ ნაბიჯს სხვა ევროპული ქვეყნებიც მიბაძავდნენ. ამ შემთხვევაში, ლენდისი მაინც ვერ შეძლებდა პრესტიჟულ რბოლებში ასპარეზობას.

"ჩვენ მივიღეთ მისტერ ლენდისის ადვოკატის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ისინი გვთხოვენ, რომ გადავდოთ მისი საქმის განხილვა მანამ, სანამ ამ საქმეს ამერიკაში განიხილავდნენ. მას სურს, რომ ჯერ უდანაშაულობა დაამტკიცოს აშშ-ში და მერე ჩვენთან. ამასთან, ის პირობას დებს, რომ ამ სეზონს მთლიანად გამოტოვებს და შესაბამისად, არც ტურზე იასპარეზებს. ჩვენ ვითვალისწინებთ მის თხოვნას და მისი საქმის განხილვას გადავდებთ", - ნათქვამია AFLD-ის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

"გთხოვთ, გადადოთ ჩემი საქმის მოსმენა მანამ, სანამ იმავე საკითხზე აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო იმსჯელებდეს. ამას პირველ რიგში, ყველანაირი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ვითხოვ. ჩემის მხრივ, ამ თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირობას ვდებ, რომ ამ სეზონის ბოლომდე მონაწილეობას არ მივიღებ საფრანგეთში ორგანიზებულ პროფესიულ და სამოყვარულო რბოლებში", - ნათქვამია ლენდისის მიერ AFLD-თვის გაგზავნილ თხოვნაში.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ტურის მე-16 ეტაპზე ლენდისმა სრული ფიასკო განიცადა - სოლიდური უპირატესობა ერთ სამთო ეტაპზე დაკარგა. თუმცა, მომდევნო ეტაპზე ნამდვილი სენსაცია მოახდინა - თითქმის 9-წუთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ლიდერობაც დაიბრუნა. ამ ეტაპის შემდეგ, მისგან აღებულ სინჯში კი შემონმებამ ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი რაოდენობა აღმოაჩინა.

ცნობისთვის, ტესტოსტერონი მამაკაცური ჰორმონია და მას სპორტსმენები გამძლეობის გასაუმჯობესებლად იყენებენ. გარდა ამისა, ტესტოსტერონი აჩქარებს ვარჯიშის შემდგომ, სპორტსმენის მიერ ძალების აღდგენას.

ლენდისი ირწმუნება, რომ არანაირი აკრძალული პრეპარატი არ გამოუყენებია. მოგვიანებით, მისმა დაცვამ აღმოაჩინა, რომ ლაბორატორიაში, რომელმაც ტესტები ჩაატარა, სინჯების ნომრებია არეული და შესაბამისად, არც ლენდისის სინჯიდან მიღებული შედეგია სწორი. თუ ის ვერ შეძლებს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას, მაშინ ტურის ჩემპიონის წოდებასაც დაკარგავს და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისჯება. თუ თავს გაიმართლებს, მაშინ მერმისიდან ექნება კარიერის განახლების უფლება (თავისივე პირობის შესაბამისად).

აღსანიშნავია, რომ შარშანდელი ტურის მოგებიდან ცოტა ხანში, ლენდისმა უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა მარჯვენა მენჯის სახსარზე, რომელიც ქირურგებმა პროთეზით შეუცვალეს. აღნიშნული სახსარი მას სამი წლით ადრე გაკეთებული ოპერაციის შედეგად დაუზიანდა. იმ ოპერაციის დროს, სახსრის სისხლით მასაზრდოებელი ძარღვი დაუზიანდა, რის გამოც სახსარი დროთა განმავლობაში გაილია. ამ ტრავმას ძლიერი ტკივილები სდევდა თან, რასაც ლენდისი გამაყუჩებლებით შველოდა. თუმცა, სახსარი სრულფასოვნად მაინც არ მუშაობდა. ასეთი ფეხით მოიგო მან ველოსპორტში ყველაზე პრესტიჟული რბოლა...

მერაბ ლორთქიფანიძე

ფლოიდ ლენდისი

ფორმულა 1

ალონსო მაკლარენის ბოლიდს აკრიტიკებს

ესპანეთის ხერესში გამართული მორიგი ტესტების შემდეგ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, **ფერნანდო ალონსომ** თავისი ახალი გუნდის - "მაკლარენის" ბოლიდი გააკრიტიკა. ესპანელის განცხადებით, მისი მანქანა ჯერ შორს არის სრულყოფილებისგან.

"ჯერჯერობით, ამ მანქანით გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია, - მოჰყავს ალონსოს სიტყვები გაზეთ "მარკას". - *ერთადერთი, რაც მასში მომწონს, შეფერილობაა. დრო გადის, მაგრამ ბოლიდი ჯერ მზად არ არის".*

ამასთან ერთად, "რენოდან" "მაკლარენში" გადასული ალონსო ამბობს, რომ სულ უფრო და უფრო ეჩვევა ბრიტანულ საჯინიბოს და რომ მას მუშაობაში პრესის გადამეტებული ყურადღება უშლის ხელს.

უილიამსმა სპონსორი შეინარჩუნა

სადაზღვევო კომპანია "ალიანსმა" "უილიამსთან" კონტრაქტი გააგრძელა. ამ კომპანიისთვის დამდეგი სეზონი მერვე იქნება ფორმულა 1-ში.

მხარეები არ მალავენ, რომ კმაყოფილები არიან ამ თანამშრომლობით. "ალიანსისა" და "უილიამსის" პრეს-სამსახურებმა ერთობლივი პრეს-რელიზი გაავრცელეს, სადაც ერთმანეთის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებენ.

ოლიმპიზმი

ჩერნოგორია ოლიმპიურ ოჯახში შედის

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაკმაყოფილა ჩერნოგორიის თხოვნა და ეს ქვეყანა თავის რიგებში მიიღო.

"ჩერნოგორიის რესპუბლიკა აკმაყოფილებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა მოთხოვნას და ის ჩვენი დიდი ოჯახის მორიგი წევრი გახდება", - განაცხადა კომიტეტის პრეს-ატაშემ **ჰისელა დევისმა**.

ოფიციალურად, ჩერნოგორიის ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მოხდება, რომელიც ივლისში გვატყობინებენ.

ტურინი წაგებაში დარჩა

ტურინის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, **ვალენტინო კასტელანიმ** გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც გამოაცხადა, რომ 2006 წლის თამაშებისას ბიუჯეტში 25 მილიონი ევროს ოდენობის დეფიციტი დაფიქსირდა. მარტივად რომ ვთქვათ, თამაშების ორგანიზატორები წაგებაში დარჩნენ.

მიუხედავად ამისა, კასტელანი მოყვანილი ციფრებით მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან 25 მილიონი, ოლიმპიადის საერთო ბიუჯეტის მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენს.

ტურინის მთავრობა ამ დეფიციტს ქალაქის ხარჯზე დაფარავს.

ჩოგბურთი

სერენა ნაკრებს უბრუნდება

ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** ფედერაციის თასზე თამაშის სურვილი გამოთქვა. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს, ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **ზინა გარისონმა** ამცნო.

"ძალიან გვიხარია სერენას ნაკრებში დაბრუნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ბრწყინვალე სტილში მოიგო ამ სეზონის "დიდი სლემის" პირველი ტურნირი", - განუცხადა სააგენტო "როიტერს" ზინა გარისონმა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ფედერაციის თასზე თამაშს დათანხმდა სერენას უფროსი და - **ვინუს უილიამსი**. ამერიკის ნაკრების დანარჩენი ორი წევრის ვინაობა მოგვიანებით გამოცხადდება.

შვეიცარიას ჩოგბურთელები აღარ დარჩა

ამ უიქ ენდზე, დევისის თასის მერვედფინალური მატჩები იმართება. უკიდურესად მძიმე სიტუაციაში ჩავარდა შვეიცარიის ნაკრები, რომლის მეტოქე **რაფაელ ნადალის** ესპანეთი გახლავთ.

როგორც იცით, შვეიცარიელთა რიგებში თამაშზე უარი განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა - **როჯერ ფედერერმა**. მის არყოფნაში, ნაკრების პირველი ნომერი 21 წლის **სტანისლას ვავრინკა** გახდა, მაგრამ ორი დღის წინათ ამ ჩოგბურთელმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და დღეს მას ოპერაციას გაუკეთებენ. ვავრინკა სამი თვე ვერ შეძლებს ჩოგბურთის თამაშს.

გუშინ, ვავრინკას ესპანელი **დავიდ ფერერის** წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. მისი ადგილი ნაკრებში მსოფლიოს 278-ე ჩოგანმა, დებიუტანტმა **სტეფან ბოლიმ** დაიკავა.

პოკერი

ბეტმენი გაღადგომას არ აპირებს

პოკერის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** უარყო გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ის თავისი პოსტიდან გადადგომას აპირებდეს.

"გაზეთებში წავიკითხე ჩემი სავარაუდო გადადგომის შესახებ. ჟურნალისტები აქტიურად მირჩევენ კომისრის პოსტის დატოვებას. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ამგვარი საუბრების არანაირი საფუძველი არ არსებობს", - ამბობს გერი ბეტმენი.

კრივი

ვინ შეხვდება მასკაევს?

ზემძიმე წონის მოკრივეებმა - **ოლეგ მასკაევმა, სამუელ პიტერმა** და **ვიტალი კლიჩკომ** მოლაპარაკებები გამართეს. რუსი მასკაევი WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახლავთ, ამერიკელი პიტერი ამ ვერსიით ტიტულისთვის ბრძოლის აუცილებელი პრეტენდენტია, ხოლო უკრაინელი ვიტალი კლიჩკო, WBC-ის საპატიო ჩემპიონად ითვლება.

მასკაევის მენეჯერ **დენის რაპაპორტის** სიტყვებით, ოთხსაათიანი მოლაპარაკებების მთავარი საკითხი გახლდათ ის, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მასკაევის მორიგი მეტოქე. მოკრივეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, თუმცა, სამუელ პიტერმა სარფიანი ნინადადება მიიღო. ამერიკელი მოკრივე 2.5 მილიონ დოლარს მიიღებს იმის სანაცვლოდ, თუ მასკაევთან შეხვედრის უფლებას კრივში დაბრუნებულ კლიჩკოს დაუთმობს.

"თუ პიტერს ჭკუა აქვს, ამ წინადადებაზე უარი არ უნდა თქვას. მას შეუძლია ამ ფულით მომავალი ცხოვრება აიწყოს და მხოლოდ 2.5 მილიონი დოლარის პროცენტებით იარსებოს. პიტერის მენეჯერებს მიაჩნიათ, რომ თუ კლიჩკო მასკაევს დაამარცხებს, შემდეგ სამუელთან შეხვედრას აღარ ისურვებს. თუ ისინი ჩვენს ნინადადებას არ მიიღებენ, ეს იქნება კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სულელური გადაწყვეტილება. ჩემს კლიენტს კი, პიტერთან შეხვედრა მოუწევს", - ამბობს რაპაპორტი.

ᲙᲐᲠᲛᲔᲚᲝ ᲝᲚ ᲡᲢᲐᲠᲨᲘ

"დენვერის" ხულიგანი ვარსკვლავი **კარმელო ენტონი,** კარიერაში პირველად, "ოლ სტარის" მატჩში ითამაშებს. NBA-ს კომისიონერმა **დევიდ სტერნმა,** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, დასავლეთ კონფერენციის ვარსკვლავთა გუნდში, ენტონთან ერთად, **ჯოშ ჰოვარდიც** ("დალასი") დაამატა. ისინი ტრავმირებულებს - **იაო მინსა** ("ჰიუსტონი") და **კარლოს ბუზერს** ("იუტა") შეცვლიან. მინი და ბუზერი 18 თებერვლისთვის გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებენ. ენტონი მატჩში საშუალოდ 30.8 ქულას აგროვებს და ამ მხრივ, ის ასოციაციის ლიდერია.

ᲐᲠᲔᲜᲐᲡᲘ ᲜᲝᲕᲘᲪᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

"ᲝᲚ ᲡᲢᲐᲠᲖᲔ" სლემ-დანკის კონკურსის მონაწილეების გამოცხადების შემდეგ, NBA-ის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი ტრადიციული შეჯიბრის - სამქულიანები ტყორცნების მონაწილეები დაასახელა.

სხვებთან ერთად, ამ კონკურსში პირველობისთვის ორი ვარსკვლავი - "ვაშინგტონის" **გილბერტ არენასი** და "დალასის" **დირკ ნოვიცკი** იბრძოლებენ. გასულ წელს, სამქულიანების შეჯიბრში, სწორედ ეს ორი კალათბურთელი ებრძოდა ფინალში ერთმანეთს და მაშინ გერმანელმა 18:16 მოიგო.

წელს არენასი რევანშის აღებას აპირებს. აი, რას წერს "ვაშინგტონის" ლიდერი NBA.com-ზე თავის ბლოგში: *"მოუთმენლად ველოდი ცნობას იმის შესახებ, თუ რომელი კალათბურთელები აპირებდნენ ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებას. გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ამ სიაში ნოვიცკიც იყო. კარგი დაპირისპირება უნდა გამოვიდეს, მაგრამ იმედი მაქვს, ამჯერად პრიზს მე წავიღებ სახლში".*



ჯონ ამეჩი

NBA

ᲐᲛᲔᲩᲘ ᲒᲔᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი წევრი - **ჯონ ამეჩი** პირველი პროფესიონალი კალათბურთელი გახდა, ვინც პედერესტობა აღიარა.

36 წლის ამეჩიმ კარიერა სამი წლის წინათ დაასრულა და ამერიკის პროფესიული სპორტის (იგულისხმება სათამაშო სახეობები - კალათბურთი, ჰოკეი, ამერიკული ფეხბურთი და ბეისბოლი) ისტორიაში მეექვსე სპორტსმენი გახდა, ვინც თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ საჯაროდ გამოაცხადა. ამეჩის ამგვარი აღიარება ბევრმა ცნობილმა სპორტსმენმა მოიწონა, მათ შორის, ჩოგბურთელმა **მარტინა ნავრატილოვამ** და კალათბურთელმა **გრანტ ჰილმა**.

რაც შეეხება NBA-ის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს, "კლივლენდის" ფორვარდ **ლებრონ ჯეიმსს**, ის უკმაყოფილოა იმით, რომ აქტიური კარიერის მანძილზე, ამეჩი თავის ორიენტაციას მალავდა.

"პარტნიორების წინაშე გულახდილი უნდა იყო, რადგან გუნდში ურთიერთობა ნდობაზეა დამყარებული. თუ ადამიანი თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას მალავს, ე.ი. ის არ ენდობა თანაგუნდელებს. ასეთ სიტუაციაში რა შიდაგუნდურ ატმოსფერო ზე უნდა იყოს საუბარი. გაუგებარია, რას უნდა ელოდო ასეთი ადამიანისგან", - განაცხადა ლებრონმა.

უფრო დაწვრილებით საკუთარი თავის შესახებ ამეჩი ავტობიოგრაფიულ წიგნში (Man in the Middle) წერს, რომელიც შეყვარებულთა დღეს, 14 თებერვალს გამოვა გაყიდვაში.

ამეჩი ევრონული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაშია შესული - XXI საუკუნეში სწორედ მან მოიპოვა NBA-ში პირველი ქულა.

10 თებერვალი. შაბათი

I არხი

15:30 ჩოგბურთი. დევისის თასი. საქართველო-პორტუგალია (LIVE).

მზე

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ასტონ ვილა (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მიდლსბრო (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

08:35 კრივი. რინგ-საიდი.
09:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
09:50 სპორტინფორმი.
10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.
11:45 სპორტინფორმი.
12:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-მონრეალი.
13:45 ჩოგბურთი.
15:25 მძლეოსნობა.
15:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ჩიკაგო.
18:03 სპორტ-დოსიე
18:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰერტა.
22:50 სპორტ-დოსიე.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-რეალი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია (LIVE).
02:55 ფიტნესი.
03:23 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:54 სპორტ-დოსიე.
04:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-რეინჯერსი (LIVE).
06:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.

EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
13:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
13:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
17:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:45 ჩოგბურთი.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
20:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
23:00 ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. კოლორადო სპრინგსი. აშშ.
23:30 ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. კოლორადო სპრინგსი. აშშ.
00:00 ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. კოლორადო სპრინგსი. აშშ.
00:30 ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. კოლორადო სპრინგსი. აშშ.
01:00 ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. კოლორადო სპრინგსი. აშშ (LIVE).
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია.
03:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია.
04:15 კრივი. WBO. ზემძიმე წონა. ს. ლიახოვიჩი (ბელარუსი)-ბრიგსი (აშშ). ფინიქსი. აშშ.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ორადგილიანი. I ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
12:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. საფრანგეთი-არგენტინა.
13:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ავსტრია-დანია.
14:30 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. I ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
15:15 ახალი ამბები.
15:45 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
16:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
17:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. პოლონეთი-სლოვაკეთი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ლიუბლიანა (სლოვენია) (LIVE).
19:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
20:00 სუპერკროსი.
21:00 რესტლინგი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი (LIVE).
00:00 კიკ ბოქსინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ლიუბლიანა (სლოვენია).
03:15 ახალი ამბები.

11 თებერვალი. კვირა

I არხი

15:20 ჩოგბურთი. დევისის თასი. საქართველო-პორტუგალია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი (LIVE).

მზე

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვიგანი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

08:20 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
09:11 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰერტა.
11:23 მძლეოსნობა. ვალენსიის გრან-პრი. ესპანეთი.
14:10 ფიტნესი.
14:35 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბრაგანტინო.
16:20 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-რეინჯერსი.
18:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია.
19:50 სპორტკლუბი.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო (LIVE).
01:55 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-კორინთიანსი.
03:40 ფიტნესი.
04:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია.
05:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰერტა.
07:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

EUROSPORT

11:30 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
12:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია.
13:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია.
13:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ანტოლცი. იტალია (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
17:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მას-სტარტი. ანტოლცი. იტალია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 მძლეოსნობა. IAAF-გრან-პრი. კარლსრუე. გერმანია (LIVE).
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
23:00 ზამთრის სახეობები. ტელეეურნალი.
23:30 კრივი. WBC. ზემძიმე წონა. ო. მასკაევი (რუსეთი)-ოხელო (უგანდა). მოსკოვი. რუსეთი.
01:00 სუმო.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
02:30 ავტოსპორტი. დეიტონას 24-საათიანი რბოლა. აშშ.
03:30 ახალი ამბები.
03:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
04:15 აფროსნობა.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. I ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
13:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
14:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია (LIVE).
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-ვიბორგი (დანია) (LIVE).
19:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
20:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
21:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-ვიბორგი (დანია).
22:30 ახალი ამბები.
23:00 ლაკროსი.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-ვიბორგი (დანია).
01:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
03:00 ახალი ამბები.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 2:5
1:0, 0:4, 1:1
გოლები: 1:0 ბოჩენსკი-4 (მარა-15, პ. ბერეჟერონი-33), 1:1 რეი უიტნი-22 (ლეტოვსკი-4, ბრინდამორი-44), 1:2 რეი უიტნი-23 (ე. სტაალი-26, ჯასტინ უილიამსი-24), 1:3 რეი უიტნი-24 (ბრინდამორი-45, ლეტოვსკი-5), 1:4 ჯასტინ უილიამსი-28 (რეი უიტნი-40, ე. სტაალი-27), 2:4 ბოჩენსკი-5 (აქსელსონი-13, ბ. სტიუარტი-10), 2:5 ბრინდამორი-16 (ჯასტინ უილიამსი-25, ფ. კაბერლე-1).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 3:6
0:3, 1:2, 2:1
გოლები: 0:1 ლარსენი-7 (მელანბი-17, ჰოლიკი-12), 0:2 ვიაჩ. კოზლოვი-19 (მარიან ჰოსა-37, დე ვრისი-15), 0:3 ექსელბი-1 (კოვალჩუკი-27, დე ვრისი-16), 0:4 მარიან ჰოსა-32 (მეტროპოლიტი-16, ვიაჩ. კოზლოვი-38), 1:4 ლაპერიერი-3 (მაკლინი-13, არნასონი-22), 1:5 ვიაჩ. კოზლოვი-18 (მარიან ჰოსა-38, მელანბი-18), 2:5 ლეოპოლდი-2 (პ. შრასტენი-29, ჰეიდუკი-19), 3:5 პ. შრასტენი-16 (ბრუნეტი-28, საკიკი-37), 3:6 მარიან ჰოსა-33 (ვიაჩ. კოზლოვი-39, სატონი-9).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 4:2
0:0, 2:0, 2:2
გოლები: 1:0 პერშინ-15 (სკოულა-10, რადივოევიჩი-9), 2:0 უაიტი-9 (ბოგარდი-1, რადივოევიჩი-10), 3:0 დემიტრა-14 (ბერნსი-11, პ. ნუმელინი-15), 3:1 გელნასი-9 (ჰორტონი-24, უეისი-18), 3:2 ჰორტონი-17 (უეისი-19), 4:2 ბერნსი-2 (უაიტი-22, რადივოევიჩი-11).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-Ლ.ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 4:3 (Ო)
0:1, 3:2, 0:0, 1:0
გოლები: 0:1 კოპიტარი-14 (სოპელი-16, რ. ბლეიკი-13), 1:1 გორდონ-3 (პეტინგერი-13, ჰიუეარდი-8), 2:1 კლიმერი-7 (ზუბრუსი-30, ოვეჩკინი-38), 2:2 ფრილოვი-29 (კამალერი-30, დ. არმსტრონგი-28), 3:2 ჯ. კლარკი-23 (ზუბრუსი-31, გორდონი-14), 3:3 ვიშნოვსკი-14 (დ. არმსტრონგი-29, კამალერი-31), 4:3 ზუბრუსი-19 (იურჩინა-2, შ. მორისონი-7).

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 1:0
0:0, 1:0, 0:0
გოლი: 1:0 გერინი-22 (ჩაიანეკი-20).

ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲞᲘᲠᲝᲜᲢᲝ 4:2
1:1, 1:0, 2:1
გოლები: 1:0 ლეგვანდი-19 (ერატი-36), 1:1 პონიკაროვსკი-15 (სუნდინი-28, ანტროპოვი-8), 2:1 სალივანი-21 (კარიე-42, არნოტი-20), 3:1 დუმონი-11 (სალივანი-36, რადულოიუ-12), 3:2 კილგერი-9 (დევეროუ-7, ბატალია-14), 4:2 ფიდლერი-7 (არნოტი-21).

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:5 (Გ)
2:1, 0:1, 2:2, 0:0
გოლები: 0:1 ჯ. სტაალი-20 (კრისტენსენი-7, ულეტი-20), 1:1 განიე-25 (ფორსბერგი-25, ჟიტნიკი-15), 2:1 განიე-26 (ნუბლი-17, ფორსბერგი-26), 2:2 ულეტი-12 (რაიან უიტნი-30, ფლერი-3), 2:3 რეკი-19 (რაიან უიტნი-31, გონჩარი-35), 2:4 კრისტენსენი-11 (კ. არმსტრონგი-15, ტელობტი-6), 3:4 ნუბლი-20 (განიე-15, ჯონსი-11), 4:4 ნუბლი-21 (ჟიტნიკი-16, ფორსბერგი-27).
ბულიტები გაიტანე: კროსბი (პიტსბურგი).

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲣᲡᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 2:1
0:0, 0:1, 2:0
გოლები: 0:1 ლომბარდი-16 (ბუსელიუსი-26, მოსი-5), 1:1 ვიბორნი-12 (ნეში-19, ა. ერიქსონი-17), 2:1 მიდინი-13 (ფიოდოროვი-18, ჭერდიოვი-14).

ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 4:1
1:0, 2:1, 1:0
გოლები: 1:0 ფილიპსი-7 (ნილი-12, ვოლჩენკოვი-13), 2:0 პიტლი-32 (სპეცა-29, ვოლჩენკოვი-14), 3:0 შეფერი-10 (ალფრედსონი-33, ფიშერი-18), 3:1 ლატენდრესი-11 (ბულიტი), 4:1 სპეცა-21).

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲘᲚᲔᲜᲓᲘᲠᲡᲘ 2:0
0:0, 1:0, 1:0
გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-19 (პარიზე-22, მარტინი-19), 2:0 პანდოლფო-8 (მადენი-15).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ჩინეთი-ყაზახეთი	1:0

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

საუთენდი-ქუინზ პარკი	5:0

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

პანოვერი-ვოლფსბურგი	2:2

II ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲚᲘ�გᲐ

აუგსბურგი-უნტერაუხინგი	2:1
ბრაუნშვაიგი-კიოლნი	0:1
კაიზერი-პანზა	1:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

აჯაჩო-კრეტეი	5:0
ბრესტი-დიჟონი	0:0
გრენობლი-ამიენი	0:1
გენიონი-ბინგამი	2:0
ისტრი-შატრუ	3:1
ლიბერნი-მონპელიე	2:2
რენ

ბაირამ დუდუკში!

მამუკა ჩიხლაძე

აი, ეს სათაური გავმაზეთ გუშინ. არა, გუშინწინ. ახლა ირკვევა, რომ პარასკევს ბოლო გვერდზე ტომპიოლერის გარჩევა უნდა გავიდეს! ეს და ირაკლი შაბათს იქნება.

ეხლა, იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ეს ფრაზა? თურქოლოგებს ვკითხეთ და არაფერს - ბაირამ დღესასწაულია და დუდუკ - საყვირი. თურმე აზერბაიჯანელები ხმარობენ ასეთი მნიშვნელობით - მიდი, იბაირამე!

ვკითხეთ გერმანელ თურქებს, ერთი ინგლისელი თურქიც მოინახა და ესე რომ დაგიწეროთ სათაურში, ხომ არ გეწყინებათ-თქვა! არა კაცო, ისეთი არაფერიაო. მაინც თავი შევიკავეთ, რადგან...

მოფიქრება არ გინდა? ძველთბილისურ ჟარგონზე ეს თურმე ნიშნავს... რაღაც ისეთს... ესე იგი, ამ კინტოების გამო ჰედლაინი ვეღარ გამიშვია. რომელი საუკუნეა? სხვისი არ ვიცი და მე ასეთი მნიშვნელობით ვხმარობ - რომელიმე სპორტსმენი კარგად რომ ამოსცხებს ბურთს, შიგ ცხრიანში ჩააჭედებს და ჩვენ კი ამოვთქვამთ: შიგ ბაირამ დუდუკში არ გაუდო?! აი, ქართულად ამას ნიშნავს და თუ ვინმეს მაინცდამაინც სექსუალური, ის... ალუზიები მოუვა თავში, მე რა შუაში ვარ...

დღეს რაღა ფასი აქვს, მაგრამ იყოს. ახლის მოფიქრების თავი აღარა მაქვს.

მეორე სტერეოტიპი. ვინ ამბობდა, გოგუა ჯიგრიანი ბიჭი კია, მაგრამ გადარეული და კასტალომიაო? ყველა თამაშში ერთი გაძევება ზედ გვაქვსო. რამდენჯერ გააძევეს გოგუა ნაკრების თამაშში? ხუთჯერ? ორჯერ - შარშანწინ თურქეთთან და შარშან ალბანეთთან. და ეს გოლი რამდენ ბარათს გადაწონის? ფინტი ჰაერში, გაქვავებული მცველი, ხაზთან ჩასვლა, ყოვნი და ჩაწოდება. კასტალომი კი არა, შემსრულებელია - და ეგეთ შესრულებას ყველა ვარსკვლავი ხელს მოაწერდა. შემოვიდა და ხუთ წუთში თამაში მოიგო. Heart of Midlothian... და ხიმკი! ხიმკში ვინ გაუშვა, გამოიკვლიონ.

"ცოტა გამოცდილება და ვიტალაა გამოცხადებული". ეს მე არ მითქვამს. ეს თქვა მოაზროვნემ - იუზერი, მომხმარებელია ასეთი, თბილისის ფორუმზე, ინტერნეტში. მე ერთი წინადადება მაქვს, მაგრამ... ჯერ ადრეა, მერე წამოვაყენებ. მოკლედ, ხუთ წუთში მოიგო და რა თამაში?

დიდი არაფერი, სხვათა შორის...

ნახვრეტებიანი დაცვა (პირველ ტაიმში მაინც), განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგი, ცქიტიშვილმა ყველა ბურთი დაკარგა, მაგან და მენთეშაშვილმა ერთი შეტევაც ვერ წამოიწყეს, ამის გამო გვრდითა ორი კაცი და ორი წინაც თითქმის მშივრები დარჩნენ, დემემ მთელი თამაში ნერვები უშალა იმათ 2 ნომერს, მარტო ჯარიმაზე ეთამაშა და ბოლოს მხოლოდ ყვითელი დასტყუა - არადა, ცოტა კლასიანად რომ მოქცეულიყო, ერთი-ერთზე თუ არ გავიდოდა, გააგდებინებდა მაინც - ორი ნაბიჯით წინ რომ წაქცეულიყო. და ყველაზე მეტად მუჯირის პასი გამიკვირდა ბოლოს. დაშამათება უნდოდა! შეიძლება მაგ დროს პასის მიცემა? შეიძლება, თუ 100 პროცენტით დარწმუნებული ხარ, ელიავამ რომ ქნა და ორი კაცი მოსვა, ისე! თუ არა და უნდა გაგლიჯო მეკარე, თან ამისთანა დარტყმის პატრონი ხარ...

მაგრამ თურქებმა რაღა ქნეს? არაფერი. იტალიურად უნდოდათ წაპროფესორება და ფეხის გაუნძრევლად მოგება - გააგორებ, გამოაგორებ, ათი ჩაწოდება საჯარიმოში, ერთი წკაპ და მოგებული ხარ. არ გამოუვიდათ. ერთი მომენტი ჰქონდათ მთელ თამაშში - ისიც ლომაიამ... მაგრად მოიგერია, მაგრამ შეიძლება, ორმოცდაათმეტრიანი გაგორებული პასი თავდამსხმელს საჯარიმოში მიაღებინო? როგორ უნდა დაგასწროს? სირაძე კარგია, ვერაფერს ვიტყვი, იმაზე ხომ უკვე ვთქვი.

მაშასადამე, დიდი არაფერი თამაში, თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილავთ. მარტო ფეხბურთს, თერთმეტი-თერთმეტზე. მაგრამ მთელი მუღამი თუ მარილი თუ... ეშხი სწორედ ამ კონტექსტშია. სავსე სტადიონი, ანთებული თვალები, მოედანზე შევარდნები, ჩხუბი 22X22, ბრძოლა ყველა ბურთზე... როდის გვინახავს ეგეთები, რაგბის თუ არ ჩავთვლით? ურუგვაისთანაც დიდი არაფერი თამაში იყო, მაგრამ კი მოიგო მეორე თუ მესამე შემადგენლობით ორივე და რას ერჩი? ოლვიზ რიმემბერ კოკა კოლა, ბლიად პლიზ!

ის ჩალმიანი კაციც მაგარი იყო. ნაჭერი რომ ჰქონდა მოხვეული, ოღონდ უკუღმა. ვიღაც თუქ... (ეს არ შეიძლება!) "მომსახურე პერსონალს" რომ გაანასკვინა. მაშ, ფათიხ (ვაჰ, აშაღლანურ სლენგზე ესეც მგონი რაღაც უკუღმართს ნიშნავს)... თერიმი იმპერატორია და... სულთანი იყოს, მაგრამ უნზერ თრაინერ ისთ პრახადიმეც, ხომ? ეგრე თქვეს ბიჭებმა... დრაი მილიონ გეჰალტ! ახლა კიდევ ჰონორარი უნდა გამოვუწეროთ! ამიანა რამდენს მიუკაკუნებს... თან ჰონორარიდან სოცანარიცხები არ იქვითება! ერთი დემეს თუ გადაუხადა ნაგებული ხუთი თუმანი მაგ... არა, სომხებს რას გვერჩოდ...

არა, არა! ავიჭერი. მანანა, უნ კაფე, სილვუპლე! ხო, სომხებს რას გერჩოდათ, მაგის თქმა მინდოდა! როგორ შეიძლებოდა ეგრე თქმა, იბიომათ! ან აზერბეიჯანლებს რას ერჩოდა, წაიკითხეთ გუშინ? ის როლფი ხო აფერისტია და მაგისი ძმა? და ამ ზიგფრიდამ ხო მაგარი ნისპრავედლივი წერილი დაწერა! და ვინაა ვაფშე ეს ლენცი, გერმანელია? მასე მეც მოვაწერ რასაც მინდა! კლემონ პუატრენო და არაფერზე ატვეჩაი არ ვიქნები, მაგრამ ეგ ხომ არაკაცული საქციელი იქნება... გადამთიელებმა უნდა გვასწავლონ ჩვენ ადნოკასანიე... საქართველო ქართველებისთვის! მონოფიზიტობა ან სიკვდილი... ბატონო თენგიზ, ეს ოთხი სვეტი კიდევ რა ამბავია, ჯარში ვართ? შათაუტ! თუ რა გვარია ის მეორე, ვინც უნდა დაწეროს? ჰო, ბერიაშვილმა დაამთავროს... რაღა მიულერმა ჩაიჯიბოს მუქთა ჰონორარები...

მოკლედ, ახლა ის დროა, რომ...

უამისოდ ურუგვაის და თურქეთს ფასი არ ექნება. თუ გინდა, დაგენიძლავებით, რომ ერთ გოლს ის გაიტანს.

შოტლანდიას უნდა...

მოვუგოთ.

კაცი მინდვრის კიდეზე

ირაკლი გერიაშვილი

- ბურთი მრგვალია, ხან აქეთ გაგორდება, ხან - იქით.

ამ საფეხბურთო ჭეშმარიტების ქადაგებით დაიწყო პირველი ვარჯიში მოწვეულმა მწვრთნელმა.

კაპელოსი რა გითხრათ, მაგრამ გამოხედვაში, სულ ცოტა, ჟორდანიობის პრეტენზია მაინც ჰქონდა.

- კიდევ კარგი, მოვინვიეთ, - გადმომჩურჩულა ჩემმა დეიდაშვილმა და ჩაიფხუკუნა.

ჩვენი გუნდი თბილისის ჩემპიონატის "მეორე ლიგაში" თამაშობდა და მთლიანად ნათესავებით, მეზობლებითა და ძმაკაცებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენს ჭიას ვახარებდით. რა ვიცი, იქნებ ვცდებოდით და ვაშავებდით კიდეც რამეს, მაგრამ ბირჟაზე დგომასა და ასფალტის ფურთხით მორწყვას მაინც ეს ვარჩიეთ.

ერთი-ორი ვარჯიში კი ვუყურეთ ამ ჩვენს ახალ მწვრთნელს და მერე მაუდის ფაბრიკის სტადიონზე საიუველირო ქარხნის გუნდთან თამაშიც რომ წავაგეთ, ბიჭებმა მითხრეს, მოდი, ისევ შენ იყავი მწვრთნელიო. დავთანხმდი. ის სეზონი მოთამაშე მწვრთნელად "ვიმუშავე". როგორც მოგეხსენებათ, ყველა პროფესიას აქვს შავი და თეთრი მხარეები, მაგრამ სანამ მინდორზე ვიყავი, ვერც თეთრისა და ვერც შავისა ვერაფერი გავიგე.

ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენი გუნდი უჩემოდ გავიდა სათამაშოდ. რა დაგიმალოთ და, მინდორზე ბევრი ოფლი მიღვრია, ისე დავღლილვარ, განძრევის თავიც აღარა მქონია, მაგრამ, აბანოსი არ იყოს, თეთრისა და შავის ამბავი ერთხელ და სამუდამოდ სწორედ იმ დღეს გავარკვიე. თეთრისა ნაკლებად. ნაკლებად კი არა, სულ არ იყო. აი, შავი კი... თხუთმეტი წუთი არ იყო გასული, რომ პირი ისე გამიმწარდა, თითქოს მთელი ძირი ალოე დამაღეჭინეს.

აღარ მინდა-მეთქი. რათა, კაცოო, ხომ მოვიგეთო. შენთვის ლამაზად ზიხარ ტრიბუნაზე, ფეხი ფეხზე გადაიდე და გვიყურე, თუ გინდა, გალსტუკსაც ჩამოგკიდებთო.

ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე.

როცა მწვრთნელზე, მწვრთნელობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე ოცდახუთი წლის წინანდელი კადრი მიდგება თვალწინ. "კარლ ცაისთან" მატჩის ბოლო წუთებზე მინდვრის კიდესთან უმოძრაოდ მდგარი ნოდარ ახალკაცის არეული სახე. ჩემს მეტმა შეიძლება ბევრმა არ იცის, რამდენი წლის სიცოცხლე დაკარგა "დინამოს" მწვრთნელმა იმ რამდენიმე წუთში.

უხეში იყოო, ჟურნალისტებს არ სწყალობდაო, მთავრობის დიდ კაცებს ვარჯიშზე არ უშვებდაო... არ ვიცი, შეიძლება ეგრეც იყო, მაგრამ ნოდარ ახალკაცი "დინამოს" ბაზაზე, თავის ბიჭებთანაც მინახავს. თბილი, თბილი, ისეთი თბილი, რომ... პირი ღია დამრჩა. ბიჭებს ეხუმრებოდა, ეფერებოდა...

ეეჰ, მოგონებებმა წამიღო. არადა, გუშინწინ საქართველოს ნაკრები თურქეთს ეთამაშებოდა. თუ ვინმე ეხლა ამ მატჩის გამოწვლილვით ანალიზს ელოდება, ვურჩევ, ეს წერილი გვერდზე გადადოს. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ სათქმელი არაფერია. სწორედაც რომ არის. თუნდაც ის, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა და, ცხადია, მთლიანად გუნდმაც უფრო სწრაფად დაიწყო ფიქრი; თუნდაც... თუმცა ამას სხვებიც მშვენივრად მოახერხებენ, მე კი ჩემი სათქმელი მაქვს.

ცოდვა გამხელილი ჯობს. არ ვიცი რატომ, მაგრამ მე უფრო მეთაურებს - ქართველების გერმანელ მეთაურსა და თურქების მეთაურს ვაკვირდებოდი.

მშვენივრად მესმის იმ კაცისა - თურქების მწვრთნელზე გეუბნებით - მინდორს რომ ვერაფრით მოაცილეს. ძალიან ძნელია, ერთი ადგილით დაეწებო სკამს, როცა შენი გუნდი თამაშობს. გახსოვთ, ლობანოვსკი პიანინოზე შემოდგმული მეტრონომივით რომ ყოფდა მატჩს წუთებად, წუთებს კი წამებად? გარეგნულად შედარებით თავდაჭერილია გერმანელი მწვრთნელი, მაგრამ იცის კი ვინმემ, რა ხდება იმის იქით, რა ღირს ეს თავდაჭერილობა? და საერთოდ, რით იზომება მწვრთნელის ვარგისიანობა - ცოდნით? გამოცდილებით? უშუალოდ მინდორზე გატარებული საათების რაოდენობით?

ნოდარ ახალკაცის შემთხვევაში ერთიც იყო, მეორეც, მესამეც...

ჭკუა და გამოცდილება არც კლაუს ტოპმიოლერს აკლია... მაგრამ არის კიდევ რაღაც, რითაც ეს კაცი ნოდარ ახალკაცს მაგონებს.

ნეტავი რით? თამაშის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვფიქრობდი ამაზე. ისევ და ისევ ვიხსენებდი ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემორჩენილ კადრებს:

მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი... ტაბლოზე 1:0 ანთია... მინდორს დაღლილი, მაგრამ ბედნიერი ტოვებს სირაძე... თავისი მწვრთნელისკენ მიდის... სარბენ ბილიკზე მდგარი ტოპმიოლერი გულში ჩაკრული გოლის ავტორით... როგორღაც მამაშვილურია ეს მოხვევა და თბილი, ისეთი თბილი...

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოვიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა